



საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

THE SHOTA RUSTAVELI THEATRE AND FILM
GEORGIA STATE UNIVERSITY



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION,
SCIENCE, CULTURE
AND SPORT OF GEORGIA

ხელოვნების მკვლევართა XIII საერთაშორისო კონფერენცია

The 13th International Conference of Arts Researchers



ხელოვნება და თანამედროვეობა ART AND MODERNITY

2-3 ივლისი
July

თბილისი 2020 TBILISI

აბსტრაქტები • ABSTRACTS



სელოვნებს მკვლევართა XIII საერთაშორისო კონფერენცია

სელოვნება და თანამედროვეობა

2-3 ივლისი

2020

ანოტაციები

13th International Conference of Arts Researchers

ART AND MODERNITY

July 2 - 3

2020

ABSTRACTS



თბილისი

2020

Tbilisi

კრებული წარმოადგენს ხელოვნებს მკვლევართა XIII საერთაშორისო კონფერენციის ანოტაციებს. 2020 წლის კონფერენციის პრიორიტეტული თემაა „ხელოვნება და თანამედროვეობა“. კონფერენცია მოიცავს თავისუფალი თემატიკის სექციებსაც.

The collection presents the abstracts of the XIII Scientific Conference organized by the Faculty of Art Sciences, Media and Management. “Art and Modernity” is the main issue of the 2020 conference. The conference includes free thematic sections as well.

ორგანიზატორები:

ნატო გენგიური, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ხელოვნების მკვლევართა კონფერენციის დამფუძნებელი.

ზვიად დოლიძე, პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი.

ნანა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი

Organizer:

Nato Gengiuri, PhD, Full Professor, Head of Quality assurance of the Art Sciences, Media and Management Faculty, Founder of the Conference of Arts Researchers

Zviad Dolidze, PhD, Full Professor, Dean of the Art Sciences, Media and Management Faculty

Nana Dolidze, PhD, Associated Professor, the Art Sciences, Media and Management Faculty, Head of the Culture Department of The Ministry of Education, Sciences, Culture and Sport of Georgia

ლიტერატურული რედაქტორი: **მარიამ იაშვილი**

დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპიძე**

კორექტორი: **მანანა სანადირაძე**

Literary Editor: **Mariam Iashvili**

Bookbinder: **Ekaterine Okropidze**

Proof-reader: **Manana Sanadiradze**

ISBN 978-9941-9706-3-4

სარჩევი

თეატრმცოდნეობა

მარინე (მაკა) ვასაძე

შექსპირის „ჰამლეტის“ თანამედროვე ინტერპრეტაციები17

ლორეტა ვასკოვა

რეჟისორის როლი დოკუმენტურ თეატრში19

ანარ იერკუბაი

ბ. აბღშრაფაპოვის სარეჟისორო გადაწყვეტილებები სკამტაკლში „ჩვენი კლასი. ცხოვრების გაკვეთილები“20

ანა კვინიაძე

ბენდერი და თანამედროვე ქართული თეატრი21

მაია კიკნაძე

„თეატრალური პრიტიკოსების მრთი ანტიკატრიოტული ჯგუფის შემსახე“
(მე-20 საუკუნის 40-იანი წლების პარტიულ შეფასება საბჭოთა სათეატრო კრიტიკას)22

მარია მამაცაშვილი

მსოფლიო თეატრის ისტორიის სწავლების გეგმა24

გუბაზ მეგრელიძე

მსოფლიო კანტომიმა და ქართული თეატრი25

მანანა ტურიაშვილი

„ხალხის მტერი“, როგორც ახალი დროების შესატყვისი საზოგადოების მოღველი27

თამარ ქუთათელაძე

სკამტაკლის ძველქმეტი29

ლაშა ჩხარტიშვილი

თანამედროვე თეატრის უახლესი გამოწვევების რამდენიმე ასკმეტი ტმენიკური პროგრემის პირობებში30

თამარ ცაგარელი	
XXI საუკუნის გამოწვევები სათმატროს ხელოვნებაში	32
გიორგი ცქიტიშვილი	
ქანობა – პირობითი მცნება	33
ელჩინ ნადირ ჯაფაროვი	
XX საუკუნის თმატრი თმატრიდან არა თმატრისკენ	35

კინომცოდნეობა

ზვიად დოლიძე	
თანამედროვე ისტორიული ფილმი: პრობლემები, ტენდენციები, თავისებებებები	38
თამთა თურმანიძე	
დაკარგული მაგიის კიებაში	39
მაია ლევანიძე	
ადამიანები ურბანულ გარემოში ოთარ იოსელიანის შემოქმედების პირველი მტაკი	41
ნადეჟდა მირიჩევსკა	
თანამედროვე კონცეფციების ტრანსფორმაციები გულგარულ ანიმაციაში	42
ლელა ოჩიაური	
სინასტიკა და შემოქმედებლობა – ქართული კინოს „ახალი ტალღის“ ობიექტივში	43
გიორგი რაზმაძე	
კოსტუმოდერნისტული ინსტუმენტები კინოში	45
ქეთევან ტრაპაძე	
მთიკური კარადოქსის ნიშნები ეკრანზე	46
მარიან ცუცუი	
რუმიწული კინემატოგრაფისტების ოთხი აღრეული ღვაწლი თანამედროვეობისათვის	47
გიორგი ღვალაძე	
„მონანიება“ გარდაქმნა და საჯაროობა	49

თუო სატიაშვილი „სიმიონდის კუნძული“ თანამედროვე კინოს „ნელ ლანდშაფტზე“	51
--	----

ხელოვნებათმცოდნეობა

მისაილ ბარაზნა 1990-2010 წლების ხელორუხის მხატვრული ფოტოგრაფია	54
---	----

ნატო გენგური თანამედროვეობა და საბჭოთა არქიტექტურული დანატოვარი საქართველოში – კინოთეატრების არქიტექტურა	56
--	----

ირმა დოლიძე უცნობი კოლექციის შესახებ	57
--	----

ეკატერინა კენიგსბერგი თანამედროვე ხელორუხის შემოქმედებითი სტრატეგიები. ხელოვანი იზორ კაუშკურევიჩი: გმირისა და საკუთარი თავის პითოლოგიზირება	59
--	----

ცისია კილაძე სიბოლისტური ტენდენციები 1920-იანი წლების ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში	61
---	----

ანი კლდიაშვილი წარსული აწმყოს კონტექსტში (ლია ბაგრატიონის ერთი გამოფენის ინტერპრეტაციის ცდა)	63
--	----

სოფიო პაპინაშვილი ბიოგრაფიული მხარის მხროვული სამხატვრო გამოცდილება და თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდი	64
--	----

ვიქტორია სუკოვატია ვილქვლმ კოტარბინსკი, უკრანული მოდერნის დავიწყებული გენიოსი	66
--	----

ქრისტინა ფრაიგანგი შემოქმედებითი და არქიტექტურული კასუსი კლიმატურ ცვლილებებზე	67
--	----

ნათია წულუკიძე მორალური ვალდებულება და ეთიკური ღირებულება	69
--	----

მედიის კვლევები

ნინო გელოვანი სატელევიზიო სერიალი – ბართობის წყარო თუ..?	72
ნანა დოლიძე ხელოვნება და ციფრული ტექნოლოგიები, როგორც აუდიტორიასთან ურთიერთობის ინსტრუმენტი კანდემიურ და პოსტკანდემიურ ეპოქაში	73
თეა სხიერელი ბრენდული კონტენტის ტიპოლოგია და მსატვირთელ-გამომსახველობითი საშუალებები	75
ლადო ტატიშვილი საბჭოთა იდეოლოგია და გადასახლებული ჯაზი	76
გიორგი ჩართოლანი ტელევიზიული კლიპიდან ტელევიზიულამდე	77
რევაზ ჭიჭინაძე ხელოვნება პოსტმედიურ ეპოქაში	80

ქორეოლოგია

ლუბა ნაჭყებია ქორეოგრაფია/ქორეოლოგია და საბუნებისმეტყველო მმართველობები	84
ანანო სამსონაძე თანამედროვეობა და ხალხური ქორეოგრაფია (ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მაგალითებზე)	85
ივორ სტეფანუკი ვოლნის ცეკვების ლოკალური თავისებურება	87

მუსიკისმცოდნეობა

მარინა ქავთარაძე
„არ გამოსვიდეს ინტერნეტიდან, არ დაუშვას
შეცდომა“ ანუ პრიზისი
როგორც შესაძლებლობა90

ვეანტა ლვინჯილია
კომპოზიტორის შემოქმედებითი ნება და
სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი
(საკითხის დასმის წესით)92

თამარ ჩხეიძე
შემონღური აზროვნება, როგორც ძართული
ტრადიციული სამგალობლო ხელოვნების
იკანენტური თვისება94

თავისუფალი თემების საქცია

თეატრმცოდნეობა

მანა დობორჯეინიძე
მსკანელი სიურეალისტი და „ტრერო“96

თინათინ კორძაძე
„გუშინდელი“ დღეს98

თინათინ ქათამაშვილი
წარმოსახვის განვითარება მსახიობის
ოსტატობის სწავლების პროცესში99

კინომცოდნეობა

შუია მანჯაგიძე
უხმო კინო ხმოვანება და ხმოვანი კინოს
საწყისები102

მენეჯმენტი

დილაგარდისა დავითულიანი
ლილი კოჭლამაზაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
მქსტრემალური ტურიზმი
საქართველოში103

ნიკო კვარაცხელია
ხის საკულტო ნაგებობები დასავლეთ
საქართველოში, როგორც საჩვენებელი
ობიექტი ტურიზმში105

მაგდალენა კატანა მენდესი
დიდი ბრიტანეთის კრეატიული ქალაქები –
იღმა და კრეატიული განვითარება107

გიორგი ფსაკაძე
ირინა ტყეშელაშვილი
კრეატიული და შემოქმედებითი ქალაქები – იღმა
თუ „გამჭირვალე“ მართველობა?111

მალსაზ ღვინჯილია
არამატერიალური მემკვიდრეობის „ახალი
სიცოცხლე“ თანამედროვე ქართულ ტურიზმში
(პოსტპანდემური ტურიზმი საქართველოში)115

ნინო წითლანაძე
„შემოქმედებითი ინდუსტრიების ცნება და მისი
კლასიფიკაციის მეთოდოლოგია
საქართველოში“116

CONTENTS

THEATRE STUDIES

Marina (Maka)Vasadze MODERN INTERPRETATIONS OF SHAKESPEARE’S HAMLET	118
Loreta Vaskova THE ROLES OF A DIRECTOR IN THE DOCUMENTARY THEATER	119
Anar Yerkebay DIRECTORIAL DECISIONS OF B. ABDURAZZAKOV IN THE PERFORMANCE “CLASSMATES. LIFE LESSONS”	120
Ana Kvinikadze GENDER AND CONTEMPORARY GEORGIAN THEATRE	121
Maia Kiknadze “ABOUT ONE ANTI-PATRIOTIC GROUP OF THEATER CRITICS” (Party assessment to soviet theatre criticism dated by 40s of the 20 th century)	122
Marika Mamatsashvili HOW TO TEACH THE HISTORY OF WORLD THEATRE	123
Gubaz Megrelidze WORLD PANTOMIME AND GEORGIAN THEATER	125
Manana Turiashvili “AN ENEMY OF THE PEOPLE”, AS A MODEL OF A SOCIETY CORRESPONDING TO MODERN TIMES	126
Tamar Kutateladze THE SUBTEXT OF THE PLAY	128
Lasha Chkhartishvili SEVERAL ASPECTS OF THE LATEST CHALLENGES OF CONTEMPORARY THEATER IN TERMS OF TECHNICAL PROGRESS	129

Tamar Tsagareli	
CHALLENGES OF THE XXI CENTURY IN THE ART OF THEATER	131
George Tskitishvili	
GENRE – A CONDITIONAL PRECEPT	132
Elchin Nadir Jafarov	
THEATRE OF THE XX CENTURY. FROM THE THEATRE TOWARDS A NON-THEATRE	134

FILM STUDIES

Zviad Dolidze	
THE CONTEMPORARY HISTORICAL FILM: PROBLEMS, TENDENCIES, PECULIARITIES	135
Tamta Turmanidze	
SEEK FOR THE LOST MAGIC	136
Maia Levanidze	
PEOPLE IN AN URBAN ENVIRONMENT THE FIRST STAGE OF OTAR IOSELIANI’S WORK	137
Nadezhda Marinchevska	
TRANSFORMATIONS OF MODERNISTIC CONCEPTS IN BULGARIAN ANIMATION	138
Lela Ochiauri	
CRUELTY AND TOLERANCE - IN THE LENS OF “NEW WAVE” OF GEORGIAN CINEMA	140
Giorgi Razmadze	
POSTMODERNIST INSTRUMENTS IN CINEMA	141
Ketevan Trapaidze	
EXAMPLES OF ETHICAL PARADOX ON THE SCREEN	141
Marian Țuțui	
FOUR EARLY CONTRIBUTIONS OF ROMANIAN FILMMAKERS TO MODERNITY	143
Giorgi Ghvaladze	
„REPENTANCE“ TRANSFORMATION AND PUBLICITY	144
Teo Khatiashvili	
“CORN ISLAND” ON THE “SLOW LANDSCAPE” OF MODERN CINEMA	146

ART STUDIES

Mikhail Barazna ART PHOTOGRAPHY OF BELARUS IN THE 1990-2010S	148
Nato Gengiuri MODERNITY AND SOVIET ARCHITECTURAL HERITAGE IN GEORGIA	150
Irma Dolidze ON UNKNOWN COLLECTION	151
Ekaterina Kenigsberg CREATIVE STRATEGIES OF MODERN BELARUS. ARTIST IGOR KASHKUREVICH: MYTHOLOGIZING THE HERO AND HIMSELF	153
Tsisia Kiladze SYMBOLIC TRENDS IN GEORGIAN MODERNIST PAINTING OF THE 20-TH YEARS	154
Ana Kldiashvili THE PAST IN THE CONTEXT OF THE PRESENT (Attempt to Interpret Lia Bagrationi's last Exhibition)	156
Sopio Papinashvili EUROPEAN ART EXPERIENCE AND THE TBILISI ACADEMY OF ART STUDY PERIOD OF GIORGI SESIASHVILI	157
Viktoriya Sukovataya WILHELM KOTARBINSKI, THE FORGOTTEN GENIUS OF UKRAINIAN MODERN	158
Christian Freigang ARTISTIC AND ARCHITECTURAL RESPONSES TO CLIMATE CHANGE	160
Natia Tsulukidze MORAL OBLIGATION AND ETHICAL VALUES	161

MEDIA STUDIES

Nino Gelovani TV SERIES - A SOURCE OF ENTERTAINMENT OR ...?	163
Nana Dolidze ART AND DIGITAL INDUSTRY – THE ONLY WAY OF COMMUNICATION WITH AN AUDIENCE IN PANDEMIC AND POST-PANDEMIC WORLD	164
Tea Skhiereli BRAND CONTENT TYPOLOGY AND ART TOOLS	165
Lado Tatishvili SOVIET IDEOLOGY AND EXILED JAZZ	166
George Chartolani FROM A TV PLAY TO A TV SERIES	167
Revaz Tchitchinadze ART IN THE POSTMEDIA AGE	169

COREOLOGY

Luba Nachkebia CHOREOGRAPHY / CHOREOLOGY AND NATURAL SCIENCES	171
Anano Samsonadze MODERNITY AND FOLK CHOREOGRAPHY (On the examples of the Georgian Folk Choreography)	172
Igor Stepaniuk REGIONAL SPECIALTIES OF VOLYN ART OF DANCING	174

MUSIC STUDIES

Marina Kavtaradze PANDEMIC AND MUSIC, OR CRISIS AS AN OPPORTUNITY	176
Gvantsa Ghvinjilia COMPOSER'S CREATIVE WILL AND THE SCIENTIFIC AND TECHNOLOGICAL PROGRESS (raising a point)	177

Tamar Chkheidze MNEMONIC THINKING AS AN IMMANENT FEATURE OF GEORGIAN TRADITIONAL CHANTING	179
--	-----

FREE THEMES SECTION

THEATRE STUDIES

Maia Doborjginidze SPANISH SURREALIST AND “TRERO”	181
Tinatín Kordzadze “PEOPLE FROM YESTERDAY” TODAY	183
Tinatín Katamashvili DEVELOP IMAGINATION IN THE PROCESS OF TEACHING ACTING SKILLS	184

FILM STUDIES

Mzia Manjavidze SILENT FILM SOUND	187
---	-----

MANAGEMENT

Dilavardisa Davituliani Lili Kochlamazashvili EXTREME TOURISM IN GEORGIA	188
Niko Kvaratskhelia WOODEN RELIGIOUS BUILDINGS IN WESTERN GEORGIA AS A DEMONSTRATION OBJECT IN TOURISM	190
Magdalena Katana Mendes CREATIVE CITIES IN THE UNITED KINGDOM - AN IDEA AND PRACTICAL DIMENSION	192
Giorgi Pkhakadze Irina Tkeshelashvili CREATIVE CITIES – AS AN EFFECTIVE INSTRUMENT OF A LOCAL SELF-GOVERNMENT	195

Malkhaz Ghvinjilia	
“NEW LIFE” OF INTANGIBLE HERITAGE IN MODERN GEORGIAN TOURISM (Post-pandemic tourism in Georgia)	198
Nino Tsitlanadze	
“THE CONCEPT OF CREATIVE INDUSTRIES AND ITS CLASSIFICATION METHODOLOGY IN GEORGIA”	199

თეატრმცოდნეობა

მარინე (მაკა) ვასაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შექსპირის „ჰამლეტის“ თანამედროვე ინტერპრეტაციები

შექსპირის გმირების პრობლემები შორეულ წარსულს არ ეკუთვნის. ისინი მუდამ ცოცხლობენ ადამიანის ფსიქიკასა და ქცევის ფორმებში. თეატრის ფუნქციაა ამ დრამების გაცოცხლება, რაც გულისხმობს ნაცნობ ეროვნულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ კონტექსტში მათ გადმოტანასა და ასახვას. ბოლო პერიოდში ქართველმა მაყურებელმა შექსპირის „ჰამლეტის“ არაერთი საინტერესო ინტერპრეტაცია იხილა. მათ შორის გამოვყოფ ორი ლიეტუველი და ორი ქართველი, მსოფლიოში სახელგანთქმული რეჟისორების, ნეკროშიუსის, კორშუნოვასის, სტურუას და წულადის ოთხი განსხვავებული კონცეფციის „ჰამლეტს“.

ყველა დადგმაში, რაც მინახავს, აჩრდილს სხვადასხვა დატვირთვა აქვს მინიჭებული. სწორედ აჩრდილის მიზეზით დატრიალდება პიესაში ტრაგედია. რობერტ სტურუას აჩრდილი მონსტრის მსგავსი არსება იყო. ნეკროშიუსის მამა ჰამლეტი ტრაგიკული არსება გახლდათ, რომელიც შურისძიებისკენ მოუწოდებს ვაჟიშვილს, ფინალში კი, როცა ხვდება, რომ სწორედ მისი მიზეზით, მის შურისძიებას შვილი შესწირა, გულგანგმირული ბლავილით დასტირის შვილის ცხედარს. კორშუნოვასის მამის აჩრდილი განასახიერებს „მსახიობს“, რომელიც მისივე მკვლელის – კლავდიუსის – სახეა. ლევან წულადის კონცეფციით, აკაკი ხიდაშელის აჩრდილი ამპარტავანი ტირანია, რომელიც ერთი ხელის მოსმით ანადგურებს ყველას და ყველაფერს, არ ედარდება, რომ შურისძიებას საკუთარი შვილი შესწირა.

ბედთან შეგუებული სტურუასეული ჰამლეტის ქცევები, დამოკიდებულება სამყაროში არსებული ბოროტების, ღალატის მიმართ თითქოს უცნაურია. ის აღარ კითხულობდა, წყეულმა ბედმა რად არგუნა გაწყვეტილი კავშირის შეკვრა, ეს გარდაუვალ ფაქტად ესახებოდა და ამიტომაც იღებდა.

ეიმუნტას ნეკროშიუსის „ჰამლეტში“ სიყვარული მსხვერპლად ეწირებოდა შურისძიებას, რომელსაც ჰამლეტი იძულებით სჩადიოდა. შურისძიების გრძნობაზე მეტად სპექტაკლში წინა პლანზე სიყვარული იდგა. უპირველესად, სიყვარული გმირებისადმი, რომელსაც რეჟისორი ძერწავდა, და ამის შემდეგ უკვე ჰამლეტის სიყვარული სხვებისადმი...

ოსკარას კორშუნოვასი „ჰამლეტს“ თეატრალურ „სათაგურს“ უწოდებს – „მახეს“ – რომელსაც ერთ-ერთი მთავარი გმირი ჰამლეტი მხოლოდ მეფის სინდისის „დასაჭერად“ კი არ აგებს, არამედ საკუთარი ილუზიების „მოსამწყვდევადაც“ იყენებს.

ლევან წულაძისეული კონცეფციით, ჰამლეტი ხან მხიარული ახალგაზრდაა, ხან ნაზი შეყვარებული, ხან შურისძიების გრძნობით აღვსილი ადამიანი, ხან კი ბინძური სამყაროს ყურებით „ტვინში დაჭრილი“ შემოღობამდე მიყვანილი კაცია.

რობერტ სტურუამ, ეიმუნტას ნეკროშიუსმა, ოსკარას კორშუნოვასმა, ლევან წულაძემ თავისებურად, საინტერესოდ, განსხვავებულად დანახული „ჰამლეტის“ დადგმები განახორციელეს ოცდამეერთე საუკუნეში.

ლორეტა ვასკოვა,

რეჟისორი,

ლიტვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის დოქტორანტი

რეჟისორის როლი დოკუმენტურ თეატრში

მოხსენებაში განხილულია რეჟისურის თავისებურებები დოკუმენტური თეატრის სპექტაკლის შექმნის პროცესში. კვლევა ეფუძნება ლორეტა ვასკოვას ვერბალური თეატრის სამ სპექტაკლს („პერსონალი“, 2016; „ბავშვობის ასი წელი“, 2018; „სუპერგმირები“, 2019) და სადოქტორო დისერტაციას – „დოკუმენტური თეატრი: სიტყვის შექმნის მეთოდები“.

სტატიაში გაანალიზებულია სამი ძირითადი მიმართულება (ჟურნალისტიკა, დრამატურგია და სოციალური აქტივობა), რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია რეჟისორისთვის დოკუმენტური თეატრის წარმოდგენის შექმნის პროცესში. ასევე გაანალიზებულია, დოკუმენტურ თეატრში მომუშავე რეჟისორის წინაშე არსებული, არაერთი პრობლემური საკითხი.

კვლევის პროცესში იბადება ისეთი კითხვები, როგორებიცაა: რა გავლენა აქვს ეთიკურ განზომილებას რეჟისორის/აქტივისტის როლზე და რამდენად ზღუდავს ამგვარი პრიორიტეტი რეჟისორის არჩევანს? ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა რეჟისორს ინტერვიუების დროს?

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოხსენებაში განხილულია ძირითადად ეთიკური თვალსაზრისით განპირობებული სამი კონკრეტული როლი.

წინამდებარე პრობლემებსა და საკითხებს თავიანთ ნაშრომებში იკვლევენ ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიც არიან: ნიკოლას რიდუტი და ემანუელ ლევინასი.

ანარ ერკები,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი,
ტ. ჟურგენოვის ყაზახეთის ხელოვნების ნაციონალური
აკადემიის ასოცირებული პროფესორი,
ალმა-ათი, ყაზახეთი

**ბარჯუ აბდურაზაკოვის სარეჟისორო
გადაწყვეტილებები სემპტაკლში
„ჩვენი კლასი. ცხოვრების გაკვეთილები“**

თანამედროვე დრამატურგია ნებისმიერი დასისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ კვლევას, არამედ თეატრის შესაძლებლობას. ყოველწლიურად, სხვადასხვა ქვეყნის თეატრებს რეპერტუარში შეაქვთ თანამედროვე ავტორების ნამუშევრები. ამ ნაწარმოებების ინტერპრეტირებისას მრავალი ტენდენცია იკვეთება და, აქედან გამომდინარე, მდიდრდება თეატრალური პროცესი. ეს ცვლილებები, თავის მხრივ, აისახება არა მხოლოდ სპექტაკლების გამომსახველობით ფორმებსა და ჟანრებზე, არამედ მათ შინაარსზე. აქტუალურია გლობალური სამყაროს ჭრილში გადაწყვეტილი ნაწარმოებები ოჯახურ თემატიკაზე. ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლია ტადეუმ სლობოდზიანეკის „ჩვენი კლასი. ცხოვრების გაკვეთილები“, რომელიც ბაიტენ ომაროვას „ჟას სახნას“ თეატრის რეპერტუარშია.

1941 წლის ივნისში, პოლონეთის ქალაქ ედვანის მკვიდრებმა ცეცხლი წაუკიდეს ასობით ებრაელს, რომლებიც მათთან ერთად იზრდებოდნენ, სწავლობდნენ, მეზობლად ცხოვრობდნენ და თამაშობდნენ. ომის შემდეგ პროკურატურაში საქმე აღიძრა, საბოლოოდ სიმართლე გამომჟღავნდა და უსამართლობა დასრულდა. ამ მოვლენებისადმი მიძღვნილი სიმღერის – „ჩვენი კლასი. ისტორია XIV გაკვეთილში“, საფუძველზე დრამატურგმა ტადეუმ სლობოდზიანეკმა პიესა დაწერა. პრემიერა შედგა ისრაელის თეატრ „ჰაბიამში“. ერთი წლის შემდეგ ლონდონის ნაციონალურ თეატრში დაიდგა, ხოლო, 2010 წელს – ვარშავის ვალეს თეატრში განხორციელდა. იმავე წელს, პიესა, პოლონეთის უმაღლესი

ლიტერატურული პრემიით – „ნიკე“ – დაჯილდოვდა. ამ ნაწარმოების მიხედვით, სპექტაკლი ტაჯიკმა რეჟისორმა – ბარზუ აბდურაზაკოვმაც დადგა.

ანა კინიკაძე,

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: მარინე (მაკა) ვასაძე

გენდერი და თანამედროვე ქართული თეატრი

გენდერული კვლევები სოციალურ მეცნიერებებში სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს. დროის ცვლასთან ერთად ტერმინის „გენდერი“ შინაარსიც იცვლებოდა და ახალ მნიშვნელობას იძენდა. თუ იგი ადრე მხოლოდ სქესის გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენდა, 1955 წლიდან სექსოლოგმა ჯონ მონიმ ის ბიოლოგიური სქესისა და სოციალური როლების გასამიჯნად გამოიყენა.

თანამედროვე მსოფლიოში დღითიდღე აქტუალური ხდება ადამიანის „სოციალური სქესი“ ანუ გენდერი – განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. სოციალური მეცნიერების ლექსიკონში კვითხულობთ, რომ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე გენდერის ცნება მყარად მკვიდრდება, როგორც სქესთა შორის სოციალურად კონსტრუირებული განსხვავებების შესატყვისი, რომლებიც ისტორიულად და გეოგრაფიულად ცვალებადია და რომელთაც ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს და შესაბამისად, სულ უფრო გაძლიერდა თვალსაზრისიც, რომ გენდერი აუცილებლად ბინარული (ქალი ან კაცი) არ არის, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში არსებობს (ან შეიძლება არსებობდეს) ორზე მეტი გენდერი.

საინტერესოა, როდის და როგორ აისახა სქესის სოციოკულტურული ფენომენი ქართულ თეატრში? როგორც ვიცით, კულტურული ცვლილებები ერთ დამეში არ ხდება

და მას წინ უძღვის მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური პროცესები. საქართველოში გენდერი, როგორც სოციალური მეცნიერება და ანალიზის საგანი მეტ-ნაკლებად 90-იანი წლებიდან აღიქმება და ეს ხდება მაშინ, როცა საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები იწყება.

გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი თემა საკმაოდ დიდია, ჩემს მოხსენებაში მინდა შევეხო უახლეს ქართულ თეატრს გენდერული კუთხით და რამდენიმე სპექტაკლის მაგალითზე განვიხილო მისი როლი გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში.

მაია კიკნაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„თეატრალური პრიტიკოსების მართი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ“

(XX საუკუნის 40-იანი წლების პარტიული შეფასება
საბჭოთა სათეატრო კრიტიკას)

საბჭოთა კავშირის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელობა განსაზღვრავდა. პარტია აწესებდა წესებს, პრიორიტეტებსა და ხელოვნათა წრეებს სამოქმედო გეგმას სთავაზობდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გამარჯვებული ქვეყანის მთავრობა ხელოვნებს მოუწოდებდა, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობაში თავისი წვლილი შეეტანათ და ხშირად ერვნებიანთ „ბედნიერი“ საბჭოთა მოქალაქის ცხოვრება.

საბჭოეთში, ხელოვნების ყველა დარგს თავისი დანიშნულება ჰქონდა. იქმნებოდა სპეციალური დებულებები, განკარგულებები მუსიკის, მხატვრობის, კინოს, ლიტერატურისა და თეატრის მუშაკებისთვის, რომლებსაც თანამედროვე

ცხოვრება ისე უნდა აესხახათ, როგორც პარტიამ განსაზღვრა. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი გახლდათ 1946 წლის 26 აგვისტოს საკავშირო კპ(ბ) დადგენილება – „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დებულება თეატრებს უწუნებდა სარეპერტუარო პოლიტიკას და, ამავე დროს, მიზნად უსახავდა სამოქმედო გეგმასაც.

თეატრის იდეოლოგიაზე საუბრისას, პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სათეატრო კრიტიკაზე მსჯელობას. დებულების მიხედვით, კრიტიკა ბოლშევიკური უნდა ყოფილიყო და მას გარკვეული ვალდებულებები გააჩნდა. თეატრალური კრიტიკისადმი პარტიის ყურადღება განპირობებული იყო ამ დარგის პროპაგანდისტული ბუნებით.

1949 წლის 28 იანვარს სამთავრობო გაზეთმა „პრავდაში“ გამოაქვეყნა წერილი – „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ“, რომელშიც დაგმობილი იყო თეატრალურ კრიტიკოსთა ანტიპატრიოტული მოღვაწეობა, მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული სექციის მუშაობა. პარტიის აზრით, თეატრალური კრიტიკა ყველაზე ჩამორჩენილი მიმართულება იყო ლიტერატურაში, რადგან ის ბურჟუაზიული შეხედულებების ერთგული დარჩა. კრიტიკოსები – იუზოვსკი, გურევიჩი და სხვები ავლენდნენ კონსერვატიულ, ანტიპატრიოტულ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელოვნებისადმი. წერილმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოშიც.

გაზეთ „პრავდაში“ დასმული შენიშვნები უნდა გაეთვალისწინებინა თითოეული რესპუბლიკის ხელოვანს. თბილისში, ამ თემაზე საუბარი გაგრძელდა მწერალთა კავშირში, თეატრალურ საზოგადოებაში. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა იმსჯელეს და გააკრიტიკეს აღნიშნულ წერილში მოხსენიებული თეატრალური კრიტიკოსები. ისაუბრეს სათეატრო კრიტიკის მნიშვნელობასა და ქართული სათეატრო კრიტიკის ნაკლოვანებაზე. დასახეს ქართული სათეატრო კრიტიკის გამოსწორების გზები.

მარია მამაცაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

მსოფლიო თეატრის ისტორიის სწავლების გზები

ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მოულოდნელობებით, ტექნიკური პროგრესის ელვისებური ზრდით გამოირჩევა. აჩქარებული დრო აბსოლუტურად განსხვავებული მოცემულობის წინაშე გვაყენებს. თაობებს შორის დისტანციაც ღრმავდება. ამას ემატება სასკოლო განათლების, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტური სისტემა. ამიტომაც თეატრის ისტორიის სწავლებისას პედაგოგები დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებით.

ვფიქრობ, თეატრის ისტორიის დადგენილი პერიოდიზაციის მიხედვით სწავლება მოძველდა. აუცილებელია, სწავლების მეთოდის გადახედვა. ბევრჯერ წავაწყდი წინააღმდეგობას პირველკურსელებთან. მათ არ ესმით და ვერ უღრმავდებიან ანტიკური ხანის თეატრს, ისინი ხშირად მთხოვენ – ვესაუბრო დღევანდელ თეატრზე.

თეატრი თვითონ მუდმივად აახლებს საკუთარ გამომსახველობით ფორმებს. მაგრამ ამას დაგროვილი გამოცდილების და ცოდნის საფუძველზე ახერხებს. ამიტომაც გამიჩნდა მოსაზრება – გავითვალისწინოთ კურსის უმრავლესობის მზაობა ამა თუ იმ საკითხის გაგებისათვის, და სწორედ მათი საერთო ცოდნის წინარე ფონის საფუძველზე ავაგოთ ჩვენი ლექცია-სემინარების კურსი. აუცილებელი არ არის ჩვენი მეცადინეობები დავიწყოთ მაინცდამაინც ანტიკური ეპოქის ისტორიული ხანიდან.

პირველ კურსზე შეგვიძლია ვისაობროთ მაგ.: შექსპირზე, ან თუნდაც მოლიერზე, რადგან, მიმაჩნია, რომ ეს დრამატურგები უფრო გასაგებია დღევანდელი თაობისთვის, უფრო ახლოა მათ მენტალობასთან. მათ ეცინებათ, როცა ბედისწერის

ჩარევის აუცილებლობაზე ვესაუბრებით, ან როგორ გაიგებენ ანტიგონეს გადაწყვეტილებას ბოლომდე, როცა არ იციან, რა არის არჩევანი, როგორ გავლენას ახდენს ის მოვლენებზე და კერძოდ ადამიანზე!

ჩემი მოხსნების მიზანი, რომელიც უკავშირდება სასწავლო კურსის გადახედვას, მის მორგებას მოცემულ აუდიტორიაზე – მდგომარეობს შემდეგში:

- ხელოვნების განსხვავებული დარგების კომპლექსური ზემოქმედების ძალით გაავამდიდროთ სტუდენტების ესთეტიკური მსოფლალქმა და ცხოვრებისეული გამოცდილება;
- ვასწავლოთ საკუთარი შეხედულებების და შეფასებების გამოხატვა;
- მივცეთ მიმართულება ესთეტიკური კატეგორიების გაგებისათვის.

გუბაზ მეგრელიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მსოფლიო პანტომიმა და ქართული თეატრი

პანტომიმა, რომელსაც საფუძველი საზოგადოების განვითარების ადრეულ ხანაში ჩაეყარა და რომლის პირვანდელი ფორმა საოცრად პრიმიტიული იყო, დროთა განმავლობაში წარმოუდგენლად მაღალ საფეხურზე ავიდა. დღეს, როდესაც ვუყურებთ მარსელ მარსოს, ჩარლი ჩაპლინს, ჟან ლუი ბაროს, ფიალკას, ჰენრიხ ტომაშევსკისა და ამირან შალიკაშვილს (რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული პანტომიმის თეატრის შექმნა), ვხვდებით, რომ პანტომიმამ უდიდესი ევოლუცია განიცადა.

აღმოსავლეთი ძველი თეატრალური ხელოვნების სამშობლოა. ინდოეთსა და ჩინეთში ხშირად გვხვდება სანახაობები, სადაც თითისა და ხელის თითოეულ მდგომარეობასა და მოძრაობას

თავისი შესატყვისი ტექსტი აქვს, უმთავრესად მაყურებელი მის შინაარსს სწორედ ამ პირობითი ნიშნებით იგებს. ამგვარი პირობითი შესტების ფორმები და განმარტებები მრავალგვარია.

ევროპული პანტომიმის სამშობლოდ ძველი საბერძნეთი ითვლება. იქ პანტომიმმა ანტიკურ მითებთან და რელიგიურ დღესასწაულებთან ერთად დაიბადა. ანტიკური ცეკვა კი, პანტომიმური ხასიათის იყო. ამას პლატონიც აღნიშნავდა. პირველი პანტომიმური წარმოდგენები სრულდებოდა დიონისესა და დემეტრას დღესასწაულებზე. რომში, კეისრების დროს, პანტომიმმა არნახული პოპულარობით სარგებლობდა.

შუა საუკუნეებში აღმოცენდა იტალიური ხალხური „ნიღბების კომედია“, ანუ როგორც მას უწოდებენ – „კომედია დელ არტე“. იტალიური თეატრის მსახიობების სინთეზური ტექნიკა მათ საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინათ არა მარტო სიტყვები, არამედ პანტომიმმა, სიმღერა, ცეკვა, აკრობატიკა.

პანტომიმას საქართველოშიც ჰყავდა წინაპარი. ქართული პანტომიმის ფესვები ხეთური წარმოშობის მისტერიებშიც შეიძლება მოვიძიოთ. ამგვარი მისტერიის ასახვა გვხვდება თრიალეთში ნაპოვნ ვერცხლის ცნობილ თასზე. მისტერიებში ცეკვებს დიდი ადგილი ეკავა. ნიღბიანი მონაწილეების შუაში იდგა მიმოსი, რომელიც მოძრაობებითა და მიმიკით გადმოსცემდა გუნდის მიერ ნამღერი ამბის შინაარსს. ამგვარი სახის ცეკვები საქართველოს ზოგიერთი კუთხის სოფლებში XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდა. მაგალითად, სვანეთში – ბუნების გაღვიძებისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე სრულდებოდა ცეკვა „მელიაი ტულეფი“. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არსებობს ხალხური სანახაობა „დათვ-ბერიკული“. საინტერესო მასალები მოიპოვება ხალხურ თეატრალიზებულ სანახაობებში „ბერიკაობა“ და „ყეენობა“.

პანტომიმის ელემენტები ქართულ ხალხურ ცეკვებშიც შეიძლება მოინახოს. მაგალითად, ცეკვა „ხორუმში“ ბევრი სტილიზებული შესტები და სიუჟეტური ბაზის განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტია. ასეა ცეკვები: „ფარიკაობა“, „ხვესურული“ და სხვა.

ქართული თეატრის ისტორიაში პირველი პანტომიმური სპექტაკლები კოტე მარჯანიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. 1922 წელს რუსული დრამის თეატრში – „ახალი თეატრი“ კ. მარჯანიშვილმა დადგა ვ. მეტცელის „მიმზიდველი სინათლე“, 1926 წელს რუსთაველის თეატრში – „მზეთამზე“, ხოლო ქუთაისის თეატრში 1930 წელს დადგა „ხანძარი“.

კოტე მარჯანიშვილის შემდეგ, პანტომიმის აღორძინებამ საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნე დაიგვიანა, სანამ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მსახიობმა ამირან შალიკაშვილმა პანტომიმის ჯგუფი არ ჩამოაყალიბა, რაც 1976 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი და ერთადერთი სახელმწიფო თეატრი იყო. ეს უკვე ცალკე კვლევის საკითხია

მანანა ტურიაშვილი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
„თეატრალის ფონდის“ ხელმძღვანელი,
დამოუკიდებელი მკვლევარი

„ხალხის მბერი“, როზორც ახალი დროშის შესატყვისი საზოგადოების მოდელი

2015 წელს მარჯანიშვილის თეატრში, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, ბერლინის თეატრმა „შაუბიუნემ“ (Schaubühne). ქართველ მაყურებელს წარუდგინა აღიარებული რეჟისორის, თომას ოსტერმაიერის სპექტაკლი „ხალხის მტერი“ (ჰენრიკ იბსენის პიესა, 1882). ეს თეატრალური მოვლენა იყო ის იშვიათი შემთხვევა, როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებელი გულწრფელად უკრავდა ტაშს, დიდ ხანს არ დაიშალა და რეჟისორთან შეხვედრას ელოდა.

- პიესის ანალიზზე დაფუძნებული რეჟისორის მიერ

შექმნილი თანამედროვე ადამიანთა ურთიერთობის მოდელი: მკვლევარი და მეამბოხე, ოჯახი, მმართველი, პრესა და „უზილავი დირიჟორი“ – პერსონაჟი, რომელიც სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს აკვირდება და ფინანსურ მოგებაზე გაწვრთნილს, წარმოდგენაში გადამწყვეტი როლი ეკისრება;

- რა გზას გადის კურორტის ექიმი თომას სტოკმანი ინფიცირების წყაროს აღმოჩენის, ქალაქის ფოგტთან თუ პრესასთან მსჯელობისა და კამათის, დასკვნების გასაჯაროების მცდელობის და ა.შ. დაწყებიდან კულმინაციამდე, როცა ის საჯარო სიტყვას წარმოთქვამს და პოლიტიკური არსებობისა თუ სამოქალაქო საზოგადოების ინფიცირების რეალურ მიზეზებზე, თანამედროვე ადამიანის პრობლემებზე ტრიბუნიდან „პირდაპირ“ ესაუბრება მაყურებელს.
- გასული საუკუნის 90-იან წლებში რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის მიერ გამოყენებული ფორმულა: „მე, შენ, ჩვენ, აქ, ახლა, ჩვენ შორის, როგორც სპექტაკლის მთავარი ხერხი...“ გერმანელ მსახიობთა იმავე თამაშის წესით: „აქ, ახლა“-ს პრინციპით მომზადებული მაყურებელი მზადაა ჩაერთოს იმ პაექრობაში, სადაც ვლინდება ხალხის მტერი და პასიური დამკვირვებელიდან გარდაიქმნება აქტიურ მონაწილედ. გერმანული დასის მცდელობა – „შეცვალოს“ მაყურებელი საკუთარი „მეს“ ეგოისტური მოთხოვნის დასაძლევად და უჩვენოს მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის გზა;
- წარმოდგენის პერსონაჟები, რომლებიც ცვლიან ადამიანთა ბედს სპექტაკლში, მაგრამ ვერ ახერხებენ მაყურებელში „ცვლილებას“ და პერსონაჟი, ვინც ვერ ისრულებს საწადელს, ბრძოლის მიუხედავად, პროფესიულ და მოქალაქეობრივ ვალს ვერ იხდის, დროებით ახერხებს მაყურებლის შეცვლას; „I AM WHAT I AM“ – პირველი ფრაზა, რომელსაც კითხულობთ სპექტაკლის დაწყებამდე, ეკრანზე და რომელიც გაისმის დოქტორ სტოკმანის საჯარო გამოსვლაში. თანამედროვეობაში ამ სლოგანის

- წარმოშობის ზოგადი წყაროები და მნიშვნელობა;
- ქალის როლი პიესაში და მისი სახეცვლილი ფორმით „დაბრუნების“ მიზეზები თომას ოსტერმაიერის სპექტაკლში. გერმანულ სპექტაკლში მომავალი თაობა წარმოდგენილია თომასის ჩვილი პირმშოს სახით, რომელსაც, უდავოა, სცენაზე შექმნილი ვითარების არაფერი ესმის;
 - თომას ოსტერმაიერის მიერ ჰენრიკ იბსენის პიესის მიღწევა და ნაწარმოებიდან ამოკრეფილი დეტალები, ასახული კოსტიუმებსა და დეკორაციაში, ზუსტია და XXI საუკუნესთან შესაბამისი.

თამარ ქუთათელაძე

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

სამატაკლის ქვეთქსტი

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თეატრალური რეჟისურის კლასიკური ფაზის ფორმირების პროცესთან ერთად, სპექტაკლი დაეფუძნა გამოკვეთილ რეჟისორულ კონცეფციას, რომელიც არაერთგვაროვანი ქვეთქსტით გაჯერდა. საბჭოური ეპოქის ურთულეს პერიოდში ჩამოყალიბებული სათეატრო ხელოვნების მეტაფორული აზროვნებით გადატვირთული სანახაობა XXI საუკუნეშიც ინარჩუნებს პრესტიჟულ პოზიციებს. რეჟისორი მოიაზრება თავისი დროის საზოგადო მოღვაწედ, გამორჩეულ პიროვნებად, მარად თანამედროვე და „ახალგაზრდა“ ფილოსოფოსად. თეატრი გახდა „ნიშა“, სადაც სპექტაკლის დამდგმელი, თანამოაზრე გუნდთან თანამშრომლობითა და უმთავრესად შეფარვით, გარკვეული მინიშნებებით „ყვება“ ახალ იგავს.

XX და XXI საუკუნის ზოგიერთი დადგმა შეიცავს არაერთ წინასწარმეტყველურ პასაჟს. XX საუკუნის არაერთი რეჟისორული კონცეფცია დღევანდელი თვალსაწიერიდანაც თანამედროვე და შთამბეჭდავია. მათში ისევ შესამჩნევია რეჟისორის გამოგნებელი ფანტაზია, იშვიათი პროფესიული კულტურა, თანადროულ სახელოვნებო პროცესთა ტენდენციებისადმი კრიტიკულ-შემოქმედებითი მიდგომა, გამოკვეთილი პოზიცია ხელოვნების ფორმისა და არსის, არსებული რეალობისადმი.

XX საუკუნიდან თეატრალური სივრცე იქცა თავისებურ არენად თამამი ექსპერიმენტებისთვის. ვიზუალური „ხატის“ შესრულებისას – სცენაზე აშენებულ კონსტრუქციასა თუ ფერწერულ დეკორაციაში, ცალკეულ საგანთა თუ კოსტიუმთა თამაშში, მათ ფერადოვან შეხამებებში, პირქუშ ფერებში, განზოგადებებსა თუ პლასტიკურ „მოდულაციებში“, დიდი სიფრთხილით, მაგრამ ოსტატურად იკვეთება რეჟისორის აზრი, მისი ამბოხი.

ნაშრომში წარმოდგენილია XX და XXI საუკუნის რუსულ და ქართულ თეატრში რეჟისორების: ვ. მეიერჰოლდის, ე. ვახტანგოვის, ი. ლუბიმოვის, ს. ახმეტელის, კ. მარჯანიშვილის, მ. თუმანიშვილის, რ. სტურუას, გ. მარგველაშვილის მიერ განხორციელებული სპექტაკლების რამდენიმე მნიშვნელოვანი პასაჟი.

ლამა ჩხარტიშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე თეატრის უახლესი გამოწვევების რამდენიმე ასაქმტი ტექნიკური პროგრამის პირობებში

პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების და განვითარების მანძილზე სათეატრო ხელოვნება მუდმივად იღვა გამოწვევების

პირისპირ, მისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა წინააღმდეგობებითაა სავსე, რომელთა დაძლევა თეატრისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. სწორედ სათეატრო ხელოვნების წინაშე არსებული გამოწვევები და შექმნილი წინააღმდეგობრიობა, იგივე კრიზისული პერიოდი, ხშირ შემთხვევაში, თეატრს უძუშავებდა, ერთი მხრივ, თვითგადარჩენის ინსტინქტს, ხოლო მეორე მხრივ, განახლების რეფლექსს.

დროთა განმავლობაში, მუდმივად ისმოდა სკეპტიკური მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ თეატრი, როგორც ხელოვნება და სოციალური ინსტიტუცია, კარგავს აქტუალობას, თავისი მნიშვნელობის მასშტაბს, თუმცა თეატრი ყოველთვის ახერხებდა არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას.

თეატრი ყოველთვის ექსტრემალურ პირობებში იბადებოდა, სწორედ ჩიხში აღმოჩენის შემდეგ იქმნებოდა ნამდვილი თეატრი. განსაკუთრებით, გარდამტეხი აღმოჩნდა თეატრისთვის XX და XXI საუკუნეები, როცა კინომ, ტელევიზიამ და ინტერნეტმა სერიოზული კონკურენცია გაუწია მას. თეატრმა ორბიტაზე გაჩენილი კონკურენტები თავის სამსახურში ჩააყენა და მსოფლიო ცივილიზაციის ტექნიკური მიღწევები ეფექტურად გამოიყენა თავის სასარგებლოდ, რითიც სათეატრო ხელოვნებამ განიცადა საგრძნობი წინსვლა, გაფართოვდა მისი შესაძლებლობები და სანახაობრივად გახდა უფრო მრავალფეროვანი. ტექნიკური პროგრესის შეჭრამ თეატრში კი არ დაუკარგა სათეატრო ხელოვნებას მთავარი კოლორიტი, თუ პეწი – „ცოცხალი ხელოვნების“ სახით, არამედ პირიქით, უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადა ის. მსახიობის ხელოვნება, როგორც გამოსახვის მთავარი საშუალება, დარჩა მაგისტრალური და დომინანტი თეატრში, რომელსაც ფონი შეუქმნა ტექნიკური პროგრესის სხვადასხვა პროდუქტმა და ის, უსულო საგანი, გახდა მსახიობის პარტნიორი სცენაზე. მსახიობის გვერდით გაჩნდა გამოსახულება (ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში), რომელიც მოგვევლინა სრულყოფილ და სრულუფლებიან პერსონაჟად და მსახიობის

პარტნიორად. ამ გამოწვევამ, რომელიც სათეატრო ხელოვნების აპრობირებულ ხერხად იქცა, გამორჩეული ადგილი დაიკავა თანამედროვე თეატრში.

ტექნიკური პროგრესის ბუმმა ჩვენს საუკუნეში შვა ახალი ტიპის თეატრი, რომელსაც დღეს დასავლეთში „ჰიბრიდულ თეატრს“ უწოდებენ. ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში მსახიობს უამრავი გამოწვევის მიღება მოუხდა, მას გაუჩნდა ახალი პარტნიორი სცენაზე უსულო საგნის, უფრო სწორად გამოსახულების სახით, რომელიც სერიოზულ კონკურენციას უწევს მას.

თამარ ცაგარელი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

XXI საუკუნის გამოწვევები სათეატროს ხელოვნებაში

XXI საუკუნე, როგორც უკვე აშკარად ჩანს, მისი დაწყების პირველივე წლებიდან, თავისი მიზნებითა და მასშტაბებით, არსებობის მანძილზე იქნება კაცობრიობის ყველაზე დინამიკური განვითარების ასწლეული. ეს იქნება საუკუნე აქამდე არნახული სისწრაფით განვითარებადი სამეცნიერო ტექნოლოგიების, თვისობრივად ახალი ფორმის ურთიერთობების დამყარების ადამიანებს, საზოგადოებებს, სახელმწიფოებსა და ცივილიზაციებს შორის. ცვლილებები იმდენად მძლავრი, შეიძლება ითქვას „აგრესიული“ ხასიათის გახლავთ, რომ აშკარად შეიმჩნევა გარკვეული დაბნეულობაც, ყოველი მიმდინარე ეტაპის მახასიათებლების წესიერად გააზრებასაც კი ვერ ვასწრებთ, ისე გვიწევს უკვე სრულიად ახალ გამოწვევებზე რეაგირება.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში და,რა თქმა უნდა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში ლამის არის ყოველდღიურად მიმდინარე

ცვლილებები ჩვენს კურსდამთავრებულს კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობის პერმანენტულ რეჟიმში ამყოფებს. ეს არ გახლავთ ადვილი პროცესი, ზოგჯერ რეჟისორის, მსახიობის, სცენოგრაფის და ყველა სხვა თეატრალური პროფესიის წარმომადგენლის პროფესიული უნარ-ჩვევები საკმაოდ მნიშვნელოვან და კონცეპტუალური ხასიათის განახლებას საჭიროებს. თავისთავად ეს ყოველთვის საჭირო იყო, მაგრამ ახალი გამოწვევების წარმოქმნის დღევანდელი ტემპები ბევრად მაღალია ადრინდელზე.

თეატრალური ხელოვნების სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ ის დატვირთულია მრავალი წლის, მთელი რიგი ქვეყნების შემთხვევაში კი საუკუნეების მანძილზე დაგროვებული ტრადიციებით, მეთოდოლოგიით, ფორმით და სტილით, ამიტომაც გასააზრებელი და დასაფიქრებელია თანამედროვე ეპოქაში სათეატრო ხელოვნების, როგორც „ტრიბუნის“ არსებობა და არსი.

გიორგი ცქიტიშვილი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

შანრი – პირობითი მცნება

ყოველ ეპოქას აუცილებლად შეაქვს ცვლილებები არა მხოლოდ საზოგადოების, სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ მორალურ-ზნეობრივ ცხოვრებაში, არამედ ხელოვნებაში. მანამდე არსებული, თითქოს მყარად დამკვიდრებული ფერისცვალებას განიცდის. ზოგჯერ, ამგვარი ტრანსფორმაცია არსებითი და ძალზე თვალშისაცემია, ხანდახან კი შედარებით მსუბუქი, შეიძლება ითქვას, ოდნავ შესამჩნევი. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვეობა ყოველთვის საკუთარ მოთხოვნებს წამოაყენებს ხოლმე, რომელთა უპირობო

შესრულება, მართალია, გარკვეული დროის საქმეა, თუმცა აუცილებელია; ვინაიდან, დროს უკან ვერ დააბრუნებ; მას ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე.

თანამედროვე მსოფლიო თეატრისათვის, ზოგადად ნიშანდობლივია ერთი საერთო თვისება. ჟანრი, როგორც ასეთი, თავის მკაფიო, განსაზღვრულ კონტურებს კარგავს და უფრო პირობითი მოვლენა ხდება. თუ ადრე ძალზე სკრუპულოზურად გახლდათ გასაზღვრული ჟანრის მცნება, თანამედროვე თეატრში ყველა გამმიჯნავი საზღვარი, შეიძლება ითქვას, მოისპო, წაიშალა. დღეს, თავისი კლასიკური სახით, თთქმის ვეღარ შეხვდებით წმინდა წყლის ტრაგედიას, დრამას, კომედიას. თანამედროვე თეატრში, ამ მიმართულებით, თითქოს ერთგვარი აღრევა მოხდა. დღეს, რაც უფრო სინთეზურია, ეკლექტურია წარმოდგენა, მით უფრო მეტ მაყურებელს იზიდავს. ბუნებრივია, ზემოაღნიშნული ტენდენცია ზოგადად დღევანდელი მსოფლიო თეატრისათვისაა დამახასიათებელი და არა რომელიმე ერთი კონკრეტული ქვეყნის თეატრალური ხელოვნებისთვის. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული თეატრია.

ნაშრომში ავტორი ანალიზებს ორ სპექტაკლს: ჰაინრიხ ფონ კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანნი?“ (თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი. დამდგმელი რეჟისორები – რობერტ სტურუა და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. 2015 წ.) და უილიამ შექსპირის „იულიუს კეისარი“ (თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი. დამდგმელი რეჟისორი – რობერტ სტურუა. 2015 წ.). ამ ორი წარმოდგენის განხილვის მეშვეობით, მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ სცენაზე გადატანისას, როგორ გაქრა ლიტერატურული პირველწყაროს, პიესის თავდაპირველი ჟანრი. სარეჟისორო ინტერპრეტაციის შედეგად, კლაისტის კომედია სოციალურ-პოლიტიკურ ფარსად, გროტესკად, სატირად იქცა; ხოლო შექსპირის მიერ ისტორიულ თემაზე შექმნილი ტრაგედია, პოლიტიკურ ტრაგი-ფარსად, რომელშიც ირონია და სარკაზმი დომინირებს. ამ მიზანს ავტორი რამდენიმე საკვანძო,

მნიშვნელოვანი, მეტაფორული მიზანსცენის გაანალიზების, ამოხსნის მეშვეობით, საკმაოდ არგუმენტირებულად, დასაბუთებულად აღწევს. მკითხველს ორივე წარმოდგენის თაობაზე საკმაოდ მკაფიო შეხედულება უწყობდობა, რადგან ნაშრომში მიღწეულია უმთავრესი – ნათლადაა გამოკვეთილი სპექტაკლების სარეჟისორო კონცეფცია; ის სათქმელი, რომელიც მაყურებელთა დარბაზისთვისაა განკუთვნილი. წარმოდგენების დამდგმელთა ჩანაფიქრის სიღრმისეული გაშიფვრა, ავტორს საშუალებას აძლევს, სახიერად გააცოცხლოს, მკითხველის წინაშე თვალსაჩინოდ აღადგინოს ორივე სპექტაკლის ვიზუალური გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მეშვეობით ჩვენთვის ერთნაირად გასაგები, იოლად აღსაქმელი ხდება ორივე წარმოდგენის ფორმა და შინაარსი.

ელჩინ ნადირ ჯაფაროვი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაქო, აზერბაიჯანი

XX საუკუნე – თეატრიდან ანტითეატრისკენ

ცნობილია, რომ XX საუკუნეში, ხელოვნების ყველა სფეროში, მათ შორის თეატრშიც, გამოსახვის ახალი ფორმებისა და ხერხების ძიება დაიწყო.

საუკუნის დასაწყისში თეატრალური მოღვაწეები (დრამატურგები, რეჟისორები, თეატრის თეორეტიკოსები და ა. შ.) გააზრებულად თუ ინტუიციურად გამოხატავდნენ სამყაროს ახალ ხედვას. ძიებების შედეგად თეატრი ანტითეატრად გარდაიქმნა.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია XX საუკუნეში შექმნილი ახალი სათეატრო ტენდენციები, ფორმები, ხერხები იდეები და მათი შედეგები.

კინოგრაფია

ზვიად დოლიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე ისტორიული ფილმი: პრობლემები, ტენდენციები, თავისებურებები

ისტორიული ფილმი ყოველთვის აინტერესებს ფართო მკითხველს, რადგან მასში გადმოცემულია ან ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ან რომელიმე ისტორიული პიროვნების ცხოვრება (ანდა ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი). ამ უკანასკნელს ბიოგრაფიულ კინოსურათებს უწოდებენ. ზოგიერთი მკვლევრისათვის ისტორიული ფილმი ცალკე ჟანრია, ზოგისათვის – სათავგადასავლო კინოს სუბჟანრი. მას სხვადასხვა წელს სხვადასხვანაირად მოიხსენიებდნენ, მაგ., გერმანელებისათვის იგი კოსტიუმირებული დრამაა, იაპონელებისათვის ჯიდაიგეკი, იტალიელებისათვის ეპიკური დრამა და „პეპლუმი“ დ. ა. შ.

ისტორიული ფილმი, კინოს გაჩენის პირველივე დღიდან, მოექცა კინემატოგრაფისტების ყურადღების ცენტრში, ვინაიდან მასში დაინახეს სარფიანი კომერციული შემოსავლის მიღების საშუალება. თავისთავად, პირველ ხანებში, როდესაც ფილმის ქრონომეტრაჟი მხოლოდ 2-3 ან ცოტა მეტი წუთი იყო, ისტორიულ კინოსურათებში აჩვენებდნენ ერთ, კონკრეტულ ფაქტს, ისიც შემოკლებული სახით. შემდეგ, როცა თანდათანობით გაიზარდა ქრონომეტრაჟი, კინემატოგრაფისტებს მიეცათ შანსი, გაეფართოებინათ თხრობა. ამან კი, თავის მხრივ, გაზარდა ასეთი კინოპროდუქციის შექმნის სურვილი...

თანამედროვე ისტორიული ფილმი ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, ამაში იგულისხმება მაღალბიუჯეტო კინოპროექტებისათვის ინვესტიციების მოძებნა, რაც არც ისე ადვილია და რისკებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ბევრი პოტენციური დამფინანსებელი ერიდება დიდი თანხის ჩადებას ამგვარ ნამუშევარში, მოსალოდნელი

კომერციული კრახის შიშით. კინოს ისტორიას არაერთი მსგავსი შემთხვევა ახსოვს.

ისტორიულ ფილმებში ხშირად ირღვევა ისტორიული სინამდვილე. ამას მათი ავტორები (ან მათი ლობისტი კრიტიკოსები თუ მკვლევრები) ხსნიან ეკრანიზაციის ან ორიგინალური კინოსცენარის გამძაფრებით, ან სხვა მიზნით გადაღებულ აუცილებელ ნაბიჯად, რაც, ფაქტობრივად, წინააღმდეგობაში მოდის ისტორიულ რეალობასთან. თუმცა ისიც ცნობილია, რომ თავად ისტორიულ რომანებშიც არის დამახინჯებული სინამდვილე, რითაც მკითხველი შეცდომაში შედის და ჰგონია, რომ, რაც მასში წერია, ასეა სწორი.

ამასთან დაკავშირებით, კარგა ხანია მიმდინარეობს მსჯელობა და კამათი კინომცოდნეობით წრეებში, მაგრამ ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება ვერა და ვერ მოხერხდა. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირი გამართლება, ვერც ერთი ნიშნით, ვერ მოეძებნება ლიტერატურისა და ხელოვნების (ამ შემთხვევაში, კინოს) ნაწარმოებში ისტორიული რეალობის შეცვლის ტენდენციას.

თამთა თურმანიძე,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დაკარგული მაგიის კიევაში

თავის დროზე ძმებმა ლუმიერებმა თომას ედისონს იმით აჯობეს, რომ მათი გამოგონება – სინემატოგრაფი მასობრივ მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი, მაშინ როდესაც ედისონის კინეტოსკოპის ფილმების ყურება მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო. მაგრამ დღეს სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა. ეკრანი, რომლის მეშვეობითაც კინო ჩვენს ყოველდღიურობაში შემოდის, სულ უფრო მეტად პატარავდება და პრაქტიკულად ჩვენივე სმარტფონის ხელა ხდება – როდესაც გინდა გამოერთავ, შეაჩერებ, გადაახვევ და ა.შ.

თუ გამოვტოვებთ საუკუნეების მანძილზე შექმნილ სხვადასხვა კამერა ობსკურებს, ლატერნა მაგიკებსა და ლეონარდოს ალბომში ჩახატულ კინოაპარატს, თავისი რეალური არსებობის 125 წლის განმავლობაში ასეთ უცნაურ ვითარებაში კინო ალბათ არასდროს მოხვედრილა, თუმცა კრიზისულ მდგომარეობაში ადრეც ყოფილა.

კინოს გარდაცვალების და მაგიის გაფანტვის შესახებ პირველად, ჯერ კიდევ მისი განმოვანების შემდეგ ალაპარაკდნენ, როდესაც უამრავმა მსახიობმა თუ რეჟისორმა ვერ აუწყო ფეხი ცვლილებებს და კინოსამყაროს მიღმა დარჩა. შემდეგში, კინოს კრიზისზე ლამის ყოველი ათწლეულის დასაწყისში საუბრობდნენ. ჯერ იყო ტელევიზია, რომელმაც ადამიანებს მისცა საშუალება სახლიდან გაუსვლელად მიეღოთ სანახაობის დღიური ნორმა, მერე ნელ-ნელა განვითარდა ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც, უსაზღვრო შესაძლებლობებთან ერთად, კინოს თითქოს მისი ინდივიდუალობის ნაწილს ართმევენ.

თანამედროვე რეჟისორთა უმეტესობა საშინელი სინეფილია, ისინი პატივს მიაგებენ წარსულის „კუმირებს“, მათი ფილმები კი, კლასიკური კინემატოგრაფის უხვი ციტირებით არის აღსავსე, თუმცა ბოლო წლებში დიდი კინოს ნოსტალგია მხოლოდ ციტირებით აღარ შემოიფრაგლება.

2016 წელს ეკრანებზე გამოვიდა ძმები კოენების ფილმი „დიდება კეისარს!“, სადაც ამერიკელმა რეჟისორებმა მათთვის დამახასიათებელი ირონიით წარმოაჩინეს 50-იანი წლების ჰოლივუდში დიდი სტუდიების ეპოქის დასასრული და მაკარტიზმის ხანის „ალქაჯებზე ნადირობა“. საერთოდ, ბილი უაილდერის სახელგანთქმული „სანსეტ ბულვარიდან“ მოყოლებული, როდესაც კინო საკუთარ თავზე ფილმს იღებს, ამას ყოველთვის საკმაოდ ირონიულად აკეთებს. მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ ყველაზე ნოსტალგიური ფილმი დიდი ეპოქის დასასრულის შესახებ კვენტინ ტარანტინომ გადაიღო, რომლის „ერთხელ ჰოლივუდში“, პრაქტიკულად, კინემატოგრაფისადმი ძალიან პირადულ სიყვარულის ახსნას წარმოადგენს.

მაია ლევანიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ადამიანები ურბანულ გარემოში – ოთარ იოსელიანის შემოქმედების პირველი ეტაპი

„სამოციანელები“, თაობა, რომელმაც შექმნა „ქართული კინოს ფენომენი“, რეჟისორები, რომლებმაც დაიწყეს ეროვნული ხასიათის შტრიხების ძიება, დაუბრუნდნენ ქართული კულტურის საუკეთესო ტრადიციებს და, ამავდროულად, საუბარი დაიწყეს თანამედროვე ყოფაში არსებულ მწვავე მორალურ-ზნეობრივ პრობლემებზე. თაობა, რომელმაც დაანგრია „სოცრეალიზმის“ ერთგვაროვნება და დასავლური კინოს გავლენით შექმნა საკუთარი ეროვნული კინოკულტურა.

ოთარ იოსელიანი სწორედ ამ თაობის წარმომადგენელია. მისი განსაკუთრებული თხრობის მანერა, ქრონიკალურ-დოკუმენტური სტილი, თემები, რომლებიც ერთგვარ ლეიტმოტივად გასდევს მის შემოქმედებას: სამყაროს იდეალისტური აღქმა, ტრადიციები და თანამედროვეობა, ურბანულ გარემოში ადამიანის გაუცხოების პრობლემა, განსაზღვრავს კიდევ ამ ავტორის თვითმყოფადობას.

ოთარ იოსელიანის ქართული პერიოდის ფილმებში: „აპრილი“ „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“, ყველაზე მკვეთრად იკითხება ეს პრობლემები.

ნადეჟდა მირიჩევსკა,
ხელოვნებათმცოდნეობის უნივერსიტეტი,
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია

თანამედროვე კონცეფციების ტრანსფორმაციები ბულგარულ ანიმაციაში

ისტორიულად ანიმაცია ახლო კავშირში იყო 20-იანი წლების ავანგარდულ მოძრაობასთან. მათმა აბსტრაქტულმა ფილმებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ავანგარდისტიკის მცდელობაში „სუფთა კინოებისა“ და „ვიზუალური მუსიკის“ გამოყენებისათვის.

მოსვენებაში გაანალიზებულია ავანგარდის გავლენა ბულგარულ ანიმაციაზე. ტოტალიტარული რეჟიმის წლებში, მოდერნისტული ესთეტიკით ფილმის გადაღება, იდეოლოგიური შეზღუდვების წინააღმდეგ აჯანყების გაბედულ ჟესტს წარმოადგენდა. ბულგარულ ანიმაციას ჰქონდა პერიოდები, როცა იგი ავანგარდულ მოტივებთან და სტილებთან ან, შედარებით ახლოს ან, შედარებით – შორს იმყოფებოდა. ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში იგი არასდროს იყო კლასტროფობიურად ჩაკეტილი „სოციალისტურ-რეალისტურ“ ან თავისებურ – ადგილობრივ სტრუქტურაში. ამის საპირისპიროდ, ტოდორ დინოვის, ივან ანდონოვის, სტოიან დუკოვის, ივან ვესელინოვისა და სხვების ფილმებში არსებული მოდერნისტული გრაფიკა, ხშირად ევროპული მოდელებით შთაგონებული, 1960-იანი წლების დაუწერელი ცენზურის საზღვრების პროვოცირებას ახდენდა.

1970-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1980-იანი წლების დასაწყისში ანრი კულევისა და ნიკოლაი ტოდოროვის ავანგარდისტულმა ფილმებმა უფრო რადიკალურად შეუთავსეს ბულგარული კულტურული ტრადიცია დასავლეთ ევროპულს. 1982 წელს ფილმში „სტვირი“ მათ პირდაპირ ჩართეს ეირონიმუს ბოსხის, ანრი რუსოს, პაბლო პიკასოს, მარკ შაგალის, რენე მაგრიტისა და სალვადორ დალის ვიზუალური ნაწილები.

თანამედროვე ბულგარული ანიმაცია, იდენტობის თავისებური კრიზისის გადალახვის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ (ბერლინის კედლის ნგრევით გამოწვეული), კვლავ დაუბრუნდა ავანგარდის ევროპულ კულტურულ შემკვიდრებას. ახალი თაობების წარმომადგენლებს, რომლებიც საკუთარ თავს მსოფლიოს მოქალაქეებად მოიაზრებენ, უფრო თამამად შეაქვთ წვლილი სხვადასხვა ნეო-ავანგარდულ სტილში.

მოხსენებაში გამოიკვეთილი და განიხილულია ვესელა დანჩევას, ივან ბოგდანოვის, ბორის დესპოლოვის, ანდრეი პაუნოვის, ველისლავა გოსპოდინოვას, დიმიტარ დიმიტროვის, თეოდორ უშევისა და სხვათა ნამუშევრები.

ბულგარული ანიმაცია ამდიდრებს ნეო-ავანგარდულ ესთეტიკას, რაც ზოგჯერ გარდაიქმნება წარმოსახვის პოსტმოდერნისტულ ნაზავად, თუმცა არ იზიარებს რეგიონის ადგილობრივ ფასეულობებს. თანამედროვე ბულგარულ ანიმაციაში მოდერნისტული სტილებისა და იდეების გარდასახვა, 2009 წლის შემდეგ, ცენზურის წინააღმდეგ აჯანყების შედეგი კი არა, არამედ, თავისუფალი თვითგამოსატყვის ფორმაა, ნიჭითა და შთაგონებით რეალიზებული. მრავალი საერთაშორისო ჯილდო და „ოსკარის“ ნომინაცია ადასტურებს საავტორო კინოს მოდერნისტული ცხოვრების ამ ახალ ფორმას.

ლელა ოჩიაური,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სისასტიკე და შიმშილმარტობა – ქართული კინოს „ახალი ტალღის“ ობიექტივში

ადვილი არაა ყოფნა საზოგადოებაში, რომელიც „თავისას მოითხოვს“, რომელსაც არ უყვარს ისინი, რომლებიც დანარჩენებისგან განსხვავდებიან, სხვასავით არ იქცევიან, არ ფიქრობენ, არ საუბრობენ, არ გამოიყურებიან. საყურეს

ატარებენ თუ ჩოხაში იმოსებიან. არ ესმის, არ უნდა დაინახოს და მიიღოს, როდესაც ვიღაც ჩარჩოების რღვევას იწყებს. საზოგადოება ქმნის პირობას, იცხოვრო ისე, როგორც „უნდა იცხოვრო“, შენ კი „ასე“ ცხოვრება არ შეგიძლია. საზოგადოებაში, რომელიც არაა შემწყნარებელი არა იმიტომ, რომ არ შეუძლია შემწყნარებელი და თანამდგომი იყოს, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია. სხვაგვარად არ იცის. ასე ასწავლეს, ასე გაზარდეს, ასეთ ხაფანგში მოაქციეს და შედეგად, თავადაც ასე აგრძელებს საკუთარ თუ სხვათა ცხოვრებას.

უახლესი ქართული კინო და ახალი თაობის რეჟისორები სწორედ თანამედროვე საზოგადოების, თანამედროვე ადამიანების, უმეტეს შემთხვევაში, ახალგაზრდების, ყოფისა და მათი სულიერი პრობლემების მრავალწახნაგა სპექტრს წარმოადგენენ. საერთო ჯამში, მძაფრ და, უმეტეს შემთხვევაში, სასტიკი, დაუნდობელი და შეუწყნარებელი და იშვიათად, თანამდგომი საზოგადოების პორტრეტს ქმნიან.

ლევან აკინის „და ჩვენ ვიცეკვეთ“, გიგიშა აბაშიძის „მეზობლები“, ლაშა ცქვიტინიძის „მე ვარ ბესო“, ნანა ექვთიმიშვილის „გრძელი ნათელი დღეები“ და სხვა, სოციალური პრობლემების ფონზე ახალგაზრდების არჩევანის მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას. იმ წინაპირობებსა და კონკრეტული მოვლენების საზღვრებში მოქცეული ადამიანების ისტორიებს აღწერენ, რომლებმაც პირადი გადაწყვეტილებით საკუთარი და შესაძლოა, ქვეყნის მომავალიც უნდა განსაზღვრონ.

გიორგი რაზმაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი

პოსტმოდერნისტული ინსტრუმენტები კინოში

- ტერმინი „პოსტმოდერნისტული ინსტრუმენტები“ გამოხატავს სახელოვნებო მეთოდებს (ასევე, მიდგომებსა და სტილებს), რომელთა მეშვეობითაც იქმნება პოსტმოდერნისტული ნამუშევრები;
- პოსტმოდერნისტული ხელოვნება ინტერტექსტუალურია, რაც ნიშნავს ამა თუ იმ შინაარსის აუდიტორიამდე მიტანას სხვა „ტექსტის“ მეშვეობით;
- „პოსტმოდერნისტული ინსტრუმენტებია“: ჰიპერტექსტი, ალუზიონიზმი, რემინისცენცია, პაროდია, პასტიში, ციტატა, ასევე – რიმეიჟი, რემიქსი, სიმულაკრა, პლაგიატიზმი, კალკა, იმიტაცია და სხვა;
- პოსტმოდერნიზმის კრიტიკა „გვიანდელი კაპიტალიზმის გონებაში“, რომელშიც ფრედრიკ ჯეინსონი პოსტმოდერნისტულ ხელოვნებას კაპიტალიზმის მასობრივ წარმოებას აღარებს;
- პოსტმოდერნიზმის დასასრული? ვიმყოფებით თუ არა პოსტსიმართლის ეპოქაში?

ქეთევან ტრაპაიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეთიკური პარადოქსის ნიშნები მკრანეში

თაობა, რომელმაც 1980-იანი წლების დასაწყისში თავისი სადებიუტო სიტყვა თქვა ქართულ კინოში, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, საკმაოდ მძაფრი (შეიძლება ითქვას, კრიტიკული) რეალიზმის გზით აპირებდა თურმე სიარულს. მათ გამიზნულად არ სურდათ იმჟამინდელი ყოფის, ცხოვრების შელამაზება, მისი პოეტურ-რომანტიკულ ბურუსში შეფუთვა, არ სურდათ მაყურებლისთვის სიცრუით, გამოგონილ-ხელოვნური რეალობით თვალის ახვევა. ისინი სულაც არ გაურბოდნენ საზოგადოების ცხოვრების ე. წ. „ფსკერის“ სასტიკი სურათების ჩვენებას. 80-იანელთა თაობა გვაიძულებდა ეკრანზე ჩვენთვის არასასიამოვნო რეალობის ყურებას. მაყურებლის ნაწილი მაშინ ამ პროცესს, შესაძლებელია ახალი თაობის კინორეჟისორებისაგან გამოვლენილ ერთგვარ აგრესიადაც კი აღიქვამდა. მაგრამ, ერთი რამ უდავოა – გვინდოდა ეს ჩვენ თუ არა, მისაღები იყო ჩვენთვის თუ არა, მოგვწონდა, გვსიამოვნებდა თუ არა – ეს სამყარო ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში რეალურად არსებობდა. ამდენად, დიდხანს ამაზე თვალის დახუჭვა, მისი იგნორირება განზრახ თავის მოტყუება იყო.

ნაშრომში საუბარია ქართველ კინემატოგრაფისტთა ზემოაღნიშნული თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, რეჟისორ თემურ ბაბლუანის შემოქმედებითი გზის დასაწყისში შექმნილი ორი ფილმის („ბელურების გადაფრენა“, 1980 წ. და „ძმა“, 1981 წ.) რამდენიმე ეპიზოდზე, სადაც ხელოვანის სათქმელი ეთიკური პარადოქსის სახითაა გაცხადებული. საერთოდ, თემურ ბაბლუანის გმირები არასოდეს არიან სტანდარტული მახასიათებლების მატარებელნი და არც საზოგადოების მიერ სტერეოტიპად

ქცეულ იდეალს უახლოვდებიან ოდნავ მაინც. სშირად, პირქუში, ერთი შეხედვით აპათიური, უხეში, გაურკვეველი მიზნებისა და სურვილების მქონე ადამიანი უეცრად, უჩვეულო, მოულოდნელი რაკურსით შეიძლება დავინახოთ და მასში მტკიცე პიროვნული „მე“ აღმოვაჩინოთ...

რეჟისორი არ ეძებს არარსებულ სამყაროს, არ იხიბლება კაცთმოყვარეობის პათეტიკით. ის არ ტყუის და მართალია მაყურებლისა და საკუთარი თავის წინაშე. ხედავს და იღებს იმას, რაც იცის და რაც ძალიან აწუხებს. ალბათ, ამ და სხვა ბევრი მიზეზის, გამორჩეული ხედვის გამო, ამ ორ ფილმს არც დღეს დაუკარგავს მაყურებლის ინტერესი და რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა (39-40 წელი), არც თანამედროვე ჟღერადობა.

მარიან ცუცუი,

ბუქარესტის ჰაიპიერიენის უნივერსიტეტის
კინოს მიმართულების სრული პროფესორი

რუმინელი კინემატოგრაფისტების ოთხი ადრეული ღვაწლი თანამედროვეობისათვის

ჟულ ვერნი თავის რომანში „ციხესიმაგრე კარპატებში“ (1892) მოგვითხრობს რუმინელი მემამულის შესახებ, რომელმაც შეიძინა კინოსაპროექციო აპარატი, რათა სშირად ენახა თავისი საყვარელი, გარდაცვლილი საოპერო მომღერალი. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ გლეხებზე, რომლებსაც მიეცათ საშუალება, ეყურებინათ ამ გამოსახულებებისათვის. რასაკვირველია, ჟულ ვერნს ჰქონდა შესანიშნავი ინტუიცია, რადგანაც რუმინელები იმთავითვე აღფრთოვანდნენ კინოს ჯადოქრობით და ადრევე შეიტანეს თავიანთი წვლილი მის განვითარებაში.

რუმინელმა ნევროლოგმა, ჯორჯე მარინესკუმ (1863-1938) პირველივე კინოკამერის, რომლითაც იღებდნენ ფილმებს რუმინეთში 1898 წელს, დახმარებით, ერთი წლის

შემდეგ, გადაიღო მსოფლიოში პირველი სამეცნიერო ფილმი „სიარულის სირთულეები ორგანული ჰემიპლეგიის დროს“. ოგუსტ ლუმიერმა ვერ განსაზღვრა კინოს ხელოვნების დარგად გადაქცევის პოტენციალი, თუმცა ექიმ მარინესკუს პრიორიტეტი აღიარა 1924 წლის 29 ივლისის მისადმი მიწერილ წერილში, რომელშიც წერდა: „თქვენი ნაშრომები ნერვული სნეულებების გამოკვლევის მიზნით კინოს გამოყენებაში, ნამდვილად გამომადგა, როცა მივიღე ჟურნალ „ლა სემენ მედიკალის“ სტატია, მაგრამ მერე წარმოიქმნა სხვა საწარმოო პრობლემები, რომელთა გამო არ დამცალდა ჩავრთულიყავი ბიოლოგიურ კვლევებში. ვაღიარებ, რომ დამავიწყდა ეს ნაშრომები და თქვენი მაღლიერი ვარ, რომ გამახსენეთ მათ შესახებ. სამწუხაროდ, მხოლოდ მცირეოდენი მეცნიერი გაჰყვა თქვენ მიერ აღმოჩენილ გზას“.

რუმინელმა ებრაელმა, ზიგმუნდ ვაინბერგმა (1868-1954) გახსნა პირველი კინოთეატრი თურქეთში, სტამბულის საქალაქო თეატრის კომედიის განყოფილებაში. 1914 წელს იგი დაინიშნა თურქეთის არმიის ახალი სამხედრო კინოსტუდიის ხელმძღვანელად და ფუათ უხქინაისთან (1888-1956) ერთად გადაიღო პირველი დოკუმენტური ფილმი „რუსული მონუმენტის დანგრევა სან სტეფანოში“ (1914), ისევე, როგორც პირველი თურქული მხატვრული ფილმები: „პიმეთ აღას ქორწილი“ (1914) და „წიწაკის გამყიდველი“ (1916). სამწუხაროდ, ყველა მათგანი დაკარგულია.

ფოტოგრაფები იენაკე (1878-1954) და მილტონ (1882-1964) მანაკიები 1907-1918 წლებში იღებდნენ ფილმებს ვალახეთის მწყემსებზე და თურქეთის უკანასკნელ სულთანზე, მემედ მეხუთე რეშადზე. ამის გამო ისინი ითვლებიან პირველ რეალურ კინემატოგრაფისტებად ბალკანეთში, ვინც პირველად მსოფლიოში იღებდა ეთნოგრაფიულ კინოსურათებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს რუმინელებად თვლიდნენ და მათ ფილმებში არის რუმინული და ბერძნული ეპიზოდები, სხვადასხვა მიზეზით მათზე პრეტენზიას აცხადებს ბალკანეთის ხუთი ერი (ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და თურქეთი).

გამოჩენილი უნგრელი რეჟისორი, იენიო იანოვიჩი (1872-1945) ასევე მუშაობდა რუმინეთში და 1920 წელს გადაიღო ფილმი „კოშმარი“. მასში ასახულია, თუ როგორ ანადგურებს ვენერიული დაავადება ოჯახს. რეჟისორმა მსოფლიოში პირველად გამოიყენა მიკროსკოპული გადაღება. ამაში მას ეხმარებოდა რუმინელი ბიოლოგი, კონსტანტინ ლევადიტი (1874-1953) და ამ საგანმანათლებლო ფილმმა მიიღო რუმინეთის ჯანმრთელობის სამინისტროს დაფინანსება.

გიორგი ღვალაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

„მონანიება“ – გარდაქმნა და საჯაროობა

ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების განსხვავებულ საფეხურზე ყალიბდებოდა ყოფითი ურთიერთობის სხვადასხვა ისტორიული ფორმა, რომლებსაც როგორც ეთნიკური, ასევე სოციალური საფუძვლები გააჩნიათ. მაგრამ დროის ცვლასთან ერთად, ეს ფორმებიც თანდათან იცვლიდა სახეს და ვითარდებოდა.

ჩვენი ისტორიის ტრაგიკული წლები ყველას შეეხო. არის უამრავი შეუხორცებელი ჭრილობა. ყოველი ეთნოსი თუ ეთნიკური ჯგუფი ტანჯვით, წვალებით, ოფლისა და სისხლის ღვრით ათასწლეულების განმავლობაში აგროვებს ყოველივე საუკეთესოს, რომელიც ერის თვისებების, სიქველის, ღირსების მარადიული ფასეულობების მატარებელია ავბედობის ჟამს. დასაფიქრებელი ის არის, რომ ყველაზე დიდ მსხვერპლს, სწორედ ერის საუკეთესო ნაწილი გასცემს. ყოველივე ამის შემდეგ იბადება კითხვა – ხომ არ ამოიკაფა ჩვენი ფესვები, ხომ არ შეწყდა ის ღირსეული ტრადიცია, რომელიც ერთიდან მეორეში, ბაბუიდან შვილიშვილებში, თაობიდან თაობაში გადადის? სწორედ ამ კითხვების პასუხად დასჭირდა ცნობილ ქართველ რეჟისორ თენგიზ აბულაძეს „მონანიების“ გადაღება.

ტერმინოლოგიურად მონანიება სინანულის გრძნობასა და ცოდვის, დანაშაულის ლოცვით, ან ლექსად აღიარებას ნიშნავს. იგი ქრისტიანული ტერმინია და არსშივე გამოირცხავს ძალისმიერ მოქმედებას, მონანიება სულიერი კატეგორიაა და არა ფიზიკური. თუ არ მოხდა კათარზისი, მონანიებაც არ შედეგა. 80-იანი წლების შუიდან მიმდინარე ცვლილებებს, რაც საბჭოთა საზოგადოებაში გარდაქმნით და საჯაროობით არის ცნობილი, სხვა ბევრ ფაქტორთან ერთად, „მონანიების“ ეკრანზე გამოსვლითაც ხსნიან. ბევრი უფრო შორს წავიდა და თამამად იმასაც კი გაიგონებდით, რომ გარდაქმნა საბჭოთა კავშირში მაშინდელი კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობაზე, გენერალური მდივნის, მიხეილ გორბაჩოვის 1986 წლის მოხსენებით და აბულადის ფილმით დაიწყო.

ფილმზე მუშაობას მაშინ შეუდგნენ, როდესაც ფორმალურად ცოცხალი, მაგრამ მკვდრებში ჩასაწერი ბრეჟნევი მართავდა ქვეყანას. მას მიჰყვნენ ავადმყოფი და დაუძლურებული ანდროპოვი და ჩერნენკო. მაშინდელ ამერიკის ვიცეპრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსს ყოველწლიურად უწევდა მოსკოვში ჩამოსვლა ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის სამძიმრის გამოსათქმელად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნაწარმოებმა გაუსწრო რეალობას, რომელიც შემდეგ ეპოქალური მნიშვნელობით გაუთანაბრდა ღროს, შესაბამისად, თანამედროვეობას. სწორედ ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, მით უფრო დასაფასებელია რეჟისორის და თავად კინოფილმის მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიცია. ავტორები არაფერს არ შეუშინდნენ და სწორედ მაშინ თქვეს თავიანთი სათქმელი თამამად, როდესაც ეს ყველაზე ძნელად გასაკეთებელი იყო. თუმცა მწარე ხვედრს მაინც ვერ გადურჩნენ და 2 წლის განმავლობაში ნამუშევარი თაროზე იყო შემოდებული. ამაშიც არის რაღაც სიმბოლური. ფილმმა თითქოს თავის თავზე აიღო „დანაშაული“ და სასჯელიც პირნათლად მოიხადა, ამით დაიცვა შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც აშკარა პასუხისმგებლობას გადარჩა. გორბაჩოვი და მის მიერ გამოცხადებული ახალი ცხოვრებისეული აზროვნება იმის თავდებად იქცა, რომ დღის სინათლე ენახა მჭიდროდ

დახვეულ ფირებს, რომლებიც მეტალის კოლოფში ეწყო და თავისებურ, თუნუქის კუბოს წარმოადგენდა.

თენგიზ აბულაძე თავისი პოეტიკის და კინემატოგრაფიული აზროვნების ერთგული დარჩა. იმავდროულად, მაინც ყოველთვის ინარჩუნებდა თვითმყოფალობას. თანამედროვეობის და ყოფიერების საფარქვეშ იგი პოულობდა ამადღებულ პოეტურ საწყისებს და ეპოქის გამომხატველად აქცევდა მას.

თეო ხატიაშვილი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

„სიზინდის კუნძული“ თანამედროვე კინოს „ნელ ლანდშაფტზე“

1. XXI საუკუნის პირველი ათწლეულში გამოკვეთილი ე. წ. „ნელი კინოს“ ტენდენცია უფრო ფართო სუბკულტურული მოძრაობის ნაწილია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში დაჩქარებული ტემპების, ავტომატიზმისა და მექანიკურობის წინააღმდეგ არის მიმართული. „ნელი კინოს“ – რომლის სტილური აღწერისას გამოიყენება სიტყვები: პოეტური, ჭვრეტითი, დაფიქრებული, მშვიდი, სულიერი, ასკეტური, მკაცრი, თავშეკავებული, მდუმარე, მოსაწყენი და კომატოზურიც კი – მთავარი კონცეფცია დროის ალბეჯდვის თავისებურებაა, რაც აწმყო, რეალურ დროში, ერთგვარად ონლაინ-რეჟიმში ასახვას გულისხმობს.
2. განგრძობადი დროის გადმოცემას კინოში ჟილ დელოზი უკავშირებს მოძრაობის, არა როგორც გადაადგილების, არამედ როგორც უწყვეტი პროცესის ასახვას, რომლის დროსაც მოძრაობა სივრცული კატეგორიიდან დროითში გადადის და წარმოქმნის დრო-იმიჯს. ნადინ მეი დროის, როგორც უწყვეტი დენადობის აღქმას, აღმოსავლურ კულტურასა და ფილოსოფიას უკავშირებს და „ნელი კინოს“ ცნებას დასავლურ დისკურსად მიიჩნევს.

3. ბაზენისეული თეორია კინოს, როგორც „ცხოვრების ნაკადის“ შესახებ „ნელი კინოს“ ერთ-ერთ პირველ თეორიულ წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ. ბაზენისთვის უწყვეტი კადრი რეალისტური ესთეტიკის სინონიმია, რომელშიც შემოიჭრება ცხოვრება თავისი მოუხელთებლობითა და ქაოტურობით. ახალი კინოენის ჩამოყალიბებაში ბაზენი განსაკუთრებულ როლს მიაწერს ნეორეალიზმს, რომელსაც არა მხოლოდ ფორმაში, არამედ შინაარსშიც შემოაქვს ცვლილებები. მასში ამბავი და მისი დრამატურგიული განვითარება აღარ არის დომინანტური, რადგან ყოველდღიურობის ნაკადი იკავებს კინონარატივის ვრცელ ნაწილს.
4. ქართულ კინოში გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ (2014) შეიძლება განვიხილოთ „ნელი კინოს“ ნიმუშად. რეჟისორი ენგურის ნაპირებთან ადიდებული მდინარის მიერ გამორიყული შლამით შექმნილ პატარა კუნძულზე დასახლებული ასაკოვანი კაცისა და მისი შვილიშვილის რუტინას აუჩქარებლად, ზედმიწევნით დეტალურად ასახავს. ბაბუა და შვილიშვილი თითქოს არა მარტო ცივილიზებული სამყაროსგან, არამედ დროის მიღმაც ცხოვრობენ, სადაც მხოლოდ მზის ამოსვლა და ჩასვლა გატყობინებს დროის სვლას. ფილმში სტილური ძიების პარალელურად აფხაზეთის ომის შედეგად გაჩენილი პრობლემების აქტუალიზებას ვაწყდებით. შესაძლოა, ეს იყოს „სიმინდის კუნძულის“ ყველაზე წარუმატებელი მხარე, რადგან სტილიზებული ფორმა და პოლიტიკური კონტექსტი ბოლომდე ორგანულად ვერ შეერწყა ერთმანეთს.

სელოვნებათმცოდნეობა

მიხაილ ბარაზნა,
პროფესორი,
ბელორუსის ხელოვნების სახელმწიფო
აკადემიის რექტორი

1990-2010 წლების ბელორუსის მხატვრული ფოტობრაფია

1990-2010 წლების მხატვრული ფოტოგრაფია აშკარად ასახავს ორმხრივ გავლენებს მხატვრულ ფოტოგრაფიასა და დაზღურ გრაფიკულ ხელოვნებას, მხატვრობას, გრაფიკულ დიზაინს, კინემატოგრაფიას და ტელევიზიის საეკრანო კულტურას შორის. ზოგადად, მხატვრული ფოტოგრაფიის პრაქტიკა იხრება კონცეპტუალური ხელოვნების სტილისაკენ.

ხელოვნებისა და ისტორიულ მუზეუმებს ფოტოგრაფიული კოლექციები გააჩნიათ. XX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტოგრაფიის ცნობილ ოსტატებს მ. ანანიინს, ვ. არკაშოვს, ვ. ლუპეიკოს, ვ. ბარანოვსკის, ვ. ბუტრას, იუ. ვასილიევს, ვ. გონჩარენკოს, ა. დუდკინს, ვ. მეჟევიჩს, იუ. ივანოვს, ე. კაზულიას, მ. რომანიუკს, პ. ტიშკოვსკის, ვ. ფელორენკოს, მ. ჟილინსკის და გ. ლიხტოროვიჩს უდაოდ უკავიათ დამსახურებული ადგილი ბელორუსის ხელოვნების ისტორიაში.

ახალი ამბების სააგენტოებს აქვთ 1991 წლის შემდეგომი ბელორუსის ქრონიკების უზარმაზარი კოლექცია. ეს რეპორტიორების გადაღებული რეპორტაჟებია, მაგრამ ასევე, ისინი შეიცავენ ბევრ ფოტოს, რომელიც მხატვრულობით გამორჩეულია და ფოტოგრაფის არტისტულ მიღწევას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, არც ბელორუს, არც უცხოელ მკვლევარებს არ უმუშავიათ ამ მასალაზე. ბელორუსის ხელოვნებაზე გამოცემულ ფუნდამენტალურ კვლევებში არ ყოფილა ფოტოგრაფიული ხელოვნების განვითარებისთვის მიძღვნილი არც ერთი სექცია, ხოლო ბელორუსული მხატვრული ფოტოგრაფიის მიღწევები იქცა მხოლოდ სახვითი ხელოვნების სასწავლო კურსების ნაწილად. თუმცა

ე. კენიგსბერგმა, პ. ლეჟანსკაიამ, იუ. მაჩკევიჩმა, ნ. საჟენკომ, კ. იანუშკევიჩმა და სხვებმა თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები მხატვრული ფოტოგრაფიის განვითარებას მიუძღვნეს.

განსაკუთრებული როლი ახალი ავტორების ძიებაში ითამაშა სახალხო ფოტოკლუბ „მინსკმა“. პროექტმა „ფოტო მანიფესტო: თანამედროვე ფოტოგრაფია საბჭოთა კავშირში“ (1991) უზრუნველყო სტუდიის წევრების დიდი წარმატება 1990-იან წლებში. 1994 წელს I გალერეის ორგანიზებით და მინსკის გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით, ბერლინში ჩატარდა დიდი გამოფენა – „Fotografie aus Minsk“.

1990-იან წლებში ზ. შეგელმანი, პ. ტიშკოვსკი, ვ. გონჩარენკო, მ. ჟილინსკი, ვ. ტიტოვი და გ. კარჩევსკი გახდნენ საერთაშორისო ფოტოგრაფიული ასოციაცია - ის წევრები.

1990 წელს დაარსდა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფოტოხელოვანთა საბჭო, რომელმაც 1992 წლამდე იარსება. 2003 წელს კი დაფუძნდა შემოქმედებითი საზოგადოება „ბელორუსიული ფოტოხელოვნების სახალხო ასოციაცია“. 2017 წლისთვის ბელორუსის ფოტოგრაფთა ასოციაციაში დარეგისტრირებული იყო 150 წევრზე მეტი.

ფოტოგრაფია რჩება გამოხატვის საშუალებად წიგნების დიზაინერებისა და ილუსტრატორებისთვის. ეროვნული კონკურსი „წიგნის ხელოვნება“ ყოველწლიურად ადგენს გამარჯვებულებს კატეგორიაში „საუკეთესო ფოტო არტისტი“. ასევე, პოსტერების დიზაინერებიც იყენებენ ფოტომასალას. ვ. ცესლერის და ს. ვოიჩენკოს მიერ გაკეთებული ფოტო-პოსტერი – „ლევისი. ვუდსტოკის 30 წელი“ – შეგვიძლია ვინილოთ ლუვრის კოლექციაში.

უმნიშვნელოვანესმა საერთაშორისო თემატურმა საგამოფენო პროექტებმა – „ტექსტები“ (1997), „დისტანციის ილუზია“ (2000), „დროის ილუზია“ (2004), „გაჩერება ევროპა“ (2006) წარადგინეს ბელორუსი და უცხოელი ავტორების ფოტოგრაფიული ნამუშევრები.

ბელორუსი ფოტოჟურნალისტების ნამუშევრები დიდ ადგილს იკავებს მხატვრულ ფოტოგრაფიაში. თითქმის 20

წლის განმავლობაში ა. კლეშჩუკი ასახავდა ჩერნობილის ტრაგედიის შედეგებს, რომლეთაც გავლენა მოახდინეს ბავშვების ბედზე. მისი ცნობილი სერიაა – „სევდის ზონა, ჩერნობილის ციკლი – ბავშვები“ (1986-1996).

ბელორუსული ფოტოგრაფიის განვითარება XXI საუკუნის დასაწყისში ხასიათდება სხვადასხვაგვარი უანრული ფორმით, შემოქმედებითი მეთოდებით, კონცეპტუალური მიდგომებითა და ტექნიკური მრავალფეროვნებით. ჩანს ახალი შესაძლებლობები – ფოტოგამოსახულებების უამრავი ონლაინ გამოცემა – ფართოდ გამოიყენება დღეს ხელოვნებისა და ღიზანერების მიერ.

ნატო გენგური,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების პროფესორი

თანამედროვეობა და საბჭოთა არქიტექტურული დანატოვარი საქართველოში – კინოთეატრების არქიტექტურა

ქართული ხელოვნება, განსაკუთრებით კი არქიტექტურა, რომელიც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა, საქართველოში ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუმცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, დასავლეთში დიდი ხანია ეს ეპოქა ინტერესს აღძრავს. მიუხედავად ამისა, ჩვენში ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს აზრს რომ, რადგან ის საბჭოთა ცენზურის დროს შეიქმნა – მიუღებელია. საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის და ხელოვნების ნიმუშების გაფრთხილება კი იმ ეპოქის იდეალიზებას ნიშნავს და საბჭოთა მემკვიდრეობა არ საჭიროებს ყურადღებას. ამ დამოკიდებულებამ ბევრი საინტერესო ნიმუში გაანადგურა და სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

აქაც არ გვაქვს ერთგვაროვანი შეფასება: სტალინის პერიოდის არქიტექტურა მეტ „პატივისცემას“ იწვევს. ძვირფასი მასალის გამოყენების და იმპოზანტურობის გამო, თითქოს უფრო იოლია, მათი ღირებულების დამტკიცება. ყველაზე ღიდი დარტყმის ქვეშ საბჭოთა მოდერნიზმის ნიმუშები მოექცა. არა და სწორედ ამ ეპოქაში საქართველოში შეიქმნა არაერთი არქიტექტურულად გამორჩეული ნიმუში, თანაც ფუნქციურად სხვადასხვა სახის შენობების სახით: საკონცერტო დარბაზი, კინოთეატრები, საქმიანი ოფისები, საკურორტო ზონების არქიტექტურა, რესტორნები, მეტროებისა და საბაგირო გზების სადგურები და სხვა.

ჩვენი მოხსენება შეეხება საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის კინოთეატრების არქიტექტურას და მათ თანამედროვე მდგომარეობას. წარმოვადგენთ მათი შექმნის პერიოდის მიდგომების, მათი თავისებურებების განხილვას და მათ ბედს პოსტსაბჭოთა პერიოდში.

ირმა დოლიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

უცნობი კოლექციის შესახებ

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, რომელიც სხვადასხვა სახით („ინტერნაციონალური მეგობრობის კაბინეტი“, „თეატრალური კაბინეტი“) 1970 წლიდან არსებობს, დაცულია უნიკალური ფოტო, სახვითი და ბეჭდური კოლექციები უნივერსიტეტის და, ზოგადად, თეატრისა და კინოს ისტორიის შესახებ. მათ შორისაა 1939 წლიდან დღემდე დაღმძული სპექტაკლების რეპერტუარები, აფიშები, პროგრამები, ფოტოები და სხვ. ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა პირადი არქივები. სამეცნიერო კვლევები.

მუზეუმში დაცულ მასალებს შორის აღსანიშნავია ესკიზების კოლექცია, რომელიც აქამდე შესწავლის საგანი არ გამხდარა და უცნობია როგორც სპეციალისტებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავდაპირველად როგორც „სასცენო ხელოვნების“ ინსტიტუტი, 1923 წელს, აკაკი ფაღავას მიერ შექმნილი დრამატული სტუდიის ბაზაზე, დაარსდა. აკაკი ფაღავა იყო თეატრალური ინსტიტუტის პირველი რექტორიც. 1926 წელს თეატრალურმა ინსტიტუტმა შეწყვიტა არსებობა და 1939 წლის 1 სექტემბერს აკაკი ხორავასა და აკაკი ფაღავას თაოსნობით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, კვლავ აღდგა. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, გასული საუკუნის 90-იანი წლების ჩათვლით, მუზეუმში თავმოყრილია ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლების ესკიზები.

უნივერსიტეტის თეატრისა და კინოს მუზეუმის ესკიზების კოლექცია უშუალოდ უკავშირდება თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პროცესს და წარმოადგენს სამსახიობო ფაკულტეტის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ამსახველ ესკიზებს. ასევე, სხვადასხვა თეატრში (გრიბოედოვის სახ. თეატრი, მოზარდმაყურებელთა თეატრი, ბათუმის თეატრი და სხვ.) დადგმული სპექტაკლების დეკორაციათა და კოსტიუმების ესკიზებს.

ესკიზების კოლექციაში დაცული ნიმუშების ქრონოლოგია გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იღებს სათავეს და სამასამდე ესკიზს აერთიანებს. ისინი შესრულებულია XX საუკუნის თეატრალურ-დეკორატიულ მხატვრობაში გამორჩეული ხელწერის მქონე არტისტების მიერ: ირინა შტენბერგი, დიმიტრი თავაძე, გურამ ცერაძე, ბორის ლოკტინი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ალექსანდრე თევზაძე, აჯი მამედოვი, აივენგო ჭელიძე, თინათინ ჰინე და სხვ. ეს სპექტაკლები დადგმულია აკაკი ხორავას, აკაკი ფაღავას, აკაკი ვასაძის, დიმიტრი ალექსიძის, ლილი იოსელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, გიგა ლორთქიფანიძის და სხვა ცნობილი მსახიობებისა და რეჟისორების მიერ. ესკიზების

ნაწილზე იკითხება მათი ფაქსიმილიები და სამუშაო პროცესის ამსახველი მინაწერები („ვამტიკებ“, „უნდა გადაკეთდეს“, „მისაღებია“ და სხვ.).

აღნიშნული ესკიზების კოლექციის შესწავლა გააღრმავებს ჩვენს ცოდნას არა მხოლოდ XX საუკუნის ქართული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების და ცალკეული არტისტების შემოქმედების შესახებ, არამედ, ზოგადად, სახელოვნებო განათლების და, კერძოდ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის შესახებ.

ეკატერინა კენიგსბერგი,

ბელორუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემია

**თანამედროვე ბელორუსის უამომხედვითი
სტრატეგიები – ხელოვანი იგორ
კაშუკურევიჩი: გვირისა და საკუთარი თავის
მითოლოგიზება**

იგორ კაშკურევიჩი არის ბელორუსის „ანდერგრაუნდ ხელოვნების“ მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და საშემსრულებლო პრაქტიკის ერთ-ერთი პიონერი. ის მუშაობს როგორც გრაფიკულ, ისე ფერწერულ ტექნიკებში, ქმნის სკულპტურას, ინსტალაციასა და პერფორმანსებს. იგორ კაშკურევიჩმა 1982 წელს დაამთავრა გრაფიკული ხელოვნების სპეციალობა ბელორუსის თეატრისა და ხელოვნების ინსტიტუტში (ახლანდელი ბელორუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემია). ის 1978 წლიდან იღებდა მონაწილეობას გამოფენებში; 1984 წელს გახდა ხელოვნთა არაფორმალური ასოციაცია “პლურალისის” თანადამაარსებელი, 1994 წელს კი მინსკში დააფუძნა თანამედროვე თავისუფალი ხელოვნების გალერეა “მეექვსე ხაზი”. 1998-2018 წლებში ის ცხოვრობდა ბერლინში. იქ იგორ კაშკურევიჩი ყინულის ლოდებისგან აქანდაკებდა სკულპტურებს, ასწავლიდა, მონაწილეობას იღებდა გამოფენებში და წარმოდგენებს დგამდა. 2018 წელს

იგორ კაშკურევიჩი დაბრუნდა მინსკში, სადაც საგამოფენო აქტივობებთან ერთად, ღია კარის დღეების მოწყობა დაიწყო კაშკურევიჩების ოჯახური დინასტიის შემოქმედებით სტუდიაში.

მოხსენება წარმოადგენს იგორ კაშკურევიჩის 30 წლიანი შემოქმედებითი პერიოდის კვლევას და მის მიერ შექმნილ ნამუშევარების ნაწილს. ჰეფენინგი „გაორებული ჰორიზონტი“ იგორ კაშკურევიჩისა და ნიკო ცეცხლაძის ერთობლივი აქტივობაა ფინეთის ყურის ნაპირებზე. ის ჩატარდა 1988 წელს, ნარვაში, ანდერგრაუნდ ხელოვნების საკავშირო ფესტივალ „ხელოვნების არდადეგები. ნარვა-88-ის“ ფარგლებში.

იგორ კაშკურევიჩისა და ლიუდმილა რუსოვას პერფორმანსი „კაზიმირის მკვდრეთით აღდგომა“ დაიდგა 1988 წელს ვიტბესკში პროექტის „კაზიმირ მალევიჩის 110 წელი“ ფარგლებში და შემდეგ განმეორდა მინსკში 1989 წელს და მოსკოვში – 1990 წელს. 2018 წელს, მინსკში, ბელორუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის გალერეა „აკადემიაში“ მოეწყო იგორ კაშკურევიჩის გამოფენა-მისტერია – „ასე დახატა ზარატუსტრამ“. ნამუშევარები 1999-2000 წლებშია შესრულებული (აკრილი, ფურცელი) და შთაგონებულია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური ნოველით – „ესე იტყოდა ზარატუსტრა - წიგნი ყველასთვის და არავისთვის“. ამ სერიებისთვის კრეატიული იდეა დაფუძნებული იყო არტისტის განზრახვაზე. მისი თქმით, „ასე დაწერა წარმოსახვით ზარატუსტრად შენიღბულმა ფრიდრიხ ნიცშემ“, „ამგვარად, მე, იგორ კაშკურევიჩმა, შევქმენი ნახატების სერია არტრისტი ზარატუსტრას სახით“. გამოფენის გახსნაზე ნაჩვენებმა ავტორის პერფორმანსმა „ფრიდრიხ ნიცშეს ულვაშები“ შექმნა ასოციაციური ხიდი უახლეს ისტორიულ მოვლენებსა და დღევანდელობას შორის.

ცისია კილაძე,

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

**სიმბოლისტური ტენდენციები
1920-იანი წლების ქართულ მოდერნისტულ
მხატვრობაში**

ქართული მოდერნისტული მხატვრობის განვითარება უმოკლეს დროში მოხდა, დაეწია რა ევროპული ხელოვნების თანადროულ ტენდენციებს, ის ჩამოყალიბდა როგორც უნიკალური, ძალზე ინდივიდუალური მოვლნა, რომელიც, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ძალდატანებით შეწყვიტა საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა. მიზანმიმართულად წაშლილი ჩვენი კულტურული მემკვიდრეებიდან ქართული მოდერნიზმი დღეს საკვლევი და ახლად აღმოსაჩენია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია როგორც ქართული კულტურის ისტორიის სრული სურათის შექმნისთვის, ასევე მსოფლიო ხელოვნების ისტორიისთვისაც.

1910-იანი წლებიდან ქართველი მხატვრები უშუალოდ ევროპაში ეცნობიან თანადროულ მხატვრულ პროცესებს, იქ მიემგზავრებიან სასწავლებლად. განსხვავებით ევროპულისგან, ქართულ მოდერნიზმს ახასიათებს ტრადიციის სიყვარული, ქვეყნის უძველესი კულტურისადმი დიდი ინტერესი და აქედან გამომდინარე, ეროვნული ფასეულობის ძიება. ქართველი მხატვრების მიზანი იყო შეექმნათ „თანამედროვე და ეროვნული“ ხელოვნება. ავანგარდული მხატვრობის ეროვნული ფორმები სწორედ ტრადიციიდან უნდა გაჩენილიყო.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მოდერნიზმში არ შექმნილა მიმდინარეობები და მხატვრული დაჯგუფებები. ყოველი მხატვრის შემოქმედება ინდივიდუალური გზით ვითარდებოდა. ისინი მიმართავენ კუბისტურ, ექსპრესიონისტულ, სიმბოლისტურ, მოდერნის სტილის და სხვა ტენდენციებს, თუმცა ეს მათი შემოქმედების ინდივიდუალობის ერთ-ერთი ნაწილია და არა წამყვანი მახასიათებელი. გვხვდება

სიმბოლისტური მიდგომები და მეტაფორული აზროვნების საინტერესო ნიმუშები. თუმცა ვერც ერთ ქართველ მხატვარს სიმბოლისტს მაინც ვერ ვუწოდებთ.

ჩემი მოხსენების მიზანია – ქართველ მოდერნისტ მხატვართა შემოქმედებაში ამ სიმბოლისტური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი, შედარება ევროპულ ნიმუშებთან, რის შედეგადაც გამოჩნდება, თუ რაში მდგომარეობს მათი ხედვის თავისებურება.

სიმბოლურ-ალეგორიული სახეები მეტწილად შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილის და ვალერიან სიღამონ-ერისთავის მხატვრობაში გვხვდება. საინტერესოა, რომ ეს მხატვრები სიმბოლურ შინაარსს ექსპრესიული სიმძაფრით ასახავენ. სიმბოლური არსი და ექსპრესიონისტული მხატვრული ფორმები მათ შემოქმედებაში ერთმანეთს ხვდება, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვალერიან სიღამონ-ერისთავის შემოქმედებაში საკმაოდ გამორჩეულია რამდენიმე ექსპრესიონისტული განწყობის ნამუშევარი, სადაც ის წითელი არმიის შემოსვლასთან დაკავშირებულ მისთვის ძალზე მტკივნეულ თემას ალეგორიულად წარმოაჩენს.

შალვა ქიქოძის შემოქმედებისთვის ზოგადად დამხასიათებელია მძაფრი ირონია, გროტესკი და ამავე დროს ღრმა ფილოსოფიური ხედვა, რაც განსაკუთრებით პარიზული პერიოდის ნამუშევრებში ჩნდება.

ხოლო ლადო გუდიაშვილის მხატვრობა ყველაზე ახლოსაა თანადროულ ქართულ ლიტერატურულ სიმბოლიზმთან, მისი შემოქმედებითი მეთოდი მეტაფორულობასა და ალეგორიულობას ეფუძნება და განსაკუთრებით ახლოა სიმბოლიზმის მსოფლმხედველობასთან

ანი კლდიაშვილი,
აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო
აკადემიის პროფესორი

წარსული აწმყოს კონტემპტში

(ლია ბაგრატიონის ერთი გამოფენის ინტერპრეტაციის ცდა)

ლია ბაგრატიონის ბოლო გამოფენა „შეშლილი ჩაის სმა“, რომელიც 2019 წლის გაზაფხულზე თბილისში გაიმართა, მხატვრის საეტაპო გამოფენაა და მასზე არტისტის ბოლო წლებში შესრულებული ნამუშევრები და ასევე სრულიად ახალი ინსტალაციები იყო წარმოდგენილი.

სამ დარბაზში გაშლილი ექსპოზიცია ერთიანი კონცეფციით იყო დაკავშირებული, თუმცა, მას მრავალი საზრისობრივი შრე გააჩნდა და მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა.

ამ მოხსენებაში ჩვენ ექსპოზიციის მხოლოდ ერთ შრეს შევეხებით. ეს განსაკუთრებით წარსული, რომელიც, როგორც ცნობილია, პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიასა თუ ხელოვნებაში, წინამორბედ ისტორიულ ტრადიციასთან ეპისტემოლოგიური კავშირის წყვეტას ემყარება. ლია ბაგრატიონი ოდნავ სხვაგვარად უდგება წარსულს. იგი საკუთარი არტისტული კვლევის შედეგად, წარსულზე გავლით აწმყოს იდენტიფიკაციას ახდენს; არტისტი თანამედროვე სახელოვნებო სტრატეგიების, ფორმებისა და მასალების გამოყენებით ამეტყველებს წარსულს, აწმყოს პრობლემების კონტექსტში. ეს კი უაღრეს აქტუალობას ანიჭებს გამოფენას და სოციალურად აქტიურ და კრიტიკულ ფენომენად აქცევს მას.

სოფიო პაპინაშვილი,
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი:

**გიორგი სესიაშვილის ევროპული სამხატვრო
გამოცდილება და თბილისის სამხატვრო
აკადემიაში სწავლის კვირიანი**

XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სახელოვნებო სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა მოქანდაკე გიორგი სესიაშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებამდე, ჟენევის ერთ-ერთ სამხატვრო სკოლაში სწავლობდა. 1913 წელს კი პარიზში გამგზავრებულა და იქ ჩამოუსხამს კიდევ თავისი პირველი მცირე პლასტიკის ნიმუში. სამწუხაროდ, პროფესიული წვრთნის მიზნით, მოქანდაკის ევროპაში მოგზაურობასთან დაკავშირებით, მეტად მწირი ინფორმაცია შემოგვრჩა. აღნიშნულის გამო, ხელოვანის შემოქმედებით ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების დაზუსტებისას, გარკვეულ სირთულეებს წაავწყდა. თუმცა, იმდენად დიდი იყო ინტერესი – დამედგინა ამ მეტად საინტერესო, ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილი მოქანდაკის ცხოვრების გზა, რომ გიორგი სესიაშვილის პირადი არქივის ნაწილს კერძო კოლექციაში მივაკვლიე. მათი მეშვეობით ირკვევა, რომ მოქანდაკე აწარმოებდა ჩანაწერებს, რომელშიც გადმოსცემდა თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას, როგორც სხვათა, ისე საკუთარი შემოქმედების მიმართ. თავდაპირველად, მოქანდაკემ, პროფესიული დაოსტატების მიზნით, ევროპულ ქვეყნებს (შვეიცარია, საფრანგეთი) მიაშურა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა თბილისის ახალგაზსნილ სამხატვრო აკადემიაში, იაკობ ნიკოლაძესთან სრულყო პროფესიის ათვისება. თავად ხელოვანის მიერ გაკეთებული ჩანაწერები ადასტურებს ამ მოგზაურობასთან დაკავშირებულ მოვლენებს. მოქანდაკე საკმაოდ თვითკრიტიკული იყო საკუთარი შემოქმედების

მიმართ, რის გამოც, ქანდაკებებისთვის შესრულებულ მოსამზადებელ ყოველ მომდევნო ესკიზში დეტალებს ცვლიდა. ამიტომ, მის შემოქმედებით ლაბორატორიაში, მხატვრული ფორმის სრულყოფის მიზნით, ერთი და იგივე ნამუშევარი რამდენიმე ვარიანტად აქვს დახატული. ხელოვანის მხრიდან, მსგავსი მიდგომა ხაზს უსვამს ანატომიის საფუძვლიანად შესწავლის სურვილს, დეტალების პროფესიულად მაღალ დონეზე შესრულებისკენ სწრაფვას, რაც ნათლად ჩანს წინამდებარე სტატიაში განხილული მოქანდაკის გრაფიკული ესკიზების მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში, გიორგი სესიაშვილის შემოქმედების მხლოდ ერთი ნაწილია ცნობილი. ეს არის მოქანდაკის მიერ შესრულებული მაღალი დონის რელიეფური პლასტიკა და სოციალისტურ თემაზე შესრულებული სკულპტურული სიუჟეტები, თუმცა სრულიად უცნობია Nu-ს ჟანრი, რომელიც მისი შემოქმედების ადრეული პერიოდის გრაფიკული ჩანახატების სახითაა შემორჩენილი.

ამრიგად, სტატიაში ყურადღება გამახვილდება გიორგი სესიაშვილის პროფესიული ჩამოყალიბების პერიოდზე და ამ მხრივ, მის მიერ ევროპაში მიღებულ გამოცდილებაზე. ის თბილისის სამხატვრო აკადემიაში იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო დახვეწავს თავის პროფესიულ უნარ-ჩვევებს და, ოსტატის მსგავსად, შეგირდიც ევროპული პლასტიკის განვითარების გზას გაჰყვება. თუმცა, 1930-იანი წლებიდან იგი, ისევე როგორც იმ დროს მოღვაწე თითქმის ყველა ხელოვანი, იძულებული გახდა შეესრულებინა იდეურ-პროპაგანდისტული ხასიათის ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არსებული იდეოლოგიური მოთხოვნებისა, მისი ქმნილებები არასდროს ყოფილა ზედმეტი სოციალისტური პათეტიკით განმსჭვალული და ოჯახის კოლექციაშიც კი, თითქმის, არ მოიძებნება გამოსახულებები, რომლებიც ბელადებისადმი ყოფილიყოს მიძღვნილი.

ვიქტორია სუკოვატაია,
კარაზინის სახ. ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის კათედრის
პროფესორი

ვილჰელმ კოტარბინსკი – უკრაინული მოდერნის დაზიფიზებული გენიოსი

მოხსენება ეძღვნება ვილჰელმ კოტარბინსკის შემოქმედებას, რომელიც მხატვრობაში უკრაინული მოდერნის ერთ-ერთი ფუნდებელი იყო და მოღვაწეობდა XIX საუკუნის ბოლოდან 1920-იანი წლების დასწყისამდე პერიოდში.

წარმოშობით პოლონელი კოტარბინსკი, რუსეთის მოქალაქე იყო. ოცი წელი ის იტალიაში ცხოვრობდა, სიცოცხლის ბოლო ათი წელი კი უკრაინაში, კიევში გაატარა. მან კიევში ვლადიმირის საკათედრო ტაძარი მოხატა. ის ახლო ურთიერთობაში იყო მ. ვრუბელსა და მის გარემოცვასთან. ამჟამად მისი ფერწერა განთავსებულია ვარშავის ეროვნულ მუზეუმში, კიევში, სანქტპეტერბურგში, სუძისა და ღონეცკში.

ვილჰელმ კოტარბინსკი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებს. მან თავის ფერწერაში გააერთიანა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის მხატვრული და ფილოსოფიური ტრადიციები.

ვილჰელმ კოტარბინსკი ცხოვრებაში საკმაოდ პოპულარული იყო, თუმცა სიკვდილის შემდეგ ის უცებ დაივიწყეს. ეს იმის გამო მოხდა, რომ კოტარბინსკი დიდი პოლიტიკური ცვლილებების დროს გარდაიცვალა, 1922 წელს. მისი ფერწერა არ ჯდებოდა ახალ, საბჭოთა იდეოლოგიაში და ოფიციალური მხატვრული მიმართულების „სოციალისტური რეალიზმის“ მოთხოვნებში. 2000-იანი წლების დასაწყისში კოტარბინსკი თავიდან აღმოაჩინეს.

კოტარბინსკის ნამუშევრების უმეტესობა ეხება ბიბლიურ, მითოლოგიურ და ისტორიულ თემებს. მათში, ასევე, შეინიშნება ნეო-რომანტიზმის, სიმბოლიზმის და

ექსპრესიონიზმის ესთეტიკის გავლენები. მის შედარებით გვიან კომპოზიცებში იგრძნობა უკრაინული კულტურის გავლენა. კოტარბინსკის ფერწერის მშვენიერება იკითხება გადაწყვეტის დეკორატიულობაში და ფანტასტიკური ამბების გადმოცემაში, რომელიც ახლოსაა არა მხოლოდ სიმბოლიზმსა და ექსპრესიონიზმთან, არამედ ატყვია იუგენდსტილისა და არტ დეკოს კვალი. არტ დეკო და იუგენდსტილი ნაკლებად იყო ცნობილი უკრაინაში, მაგრამ კოტარბინსკის ფერწერაში აშკარად შეინიშნება. ეს მხარე განსაკუთრებით იკითხება სიუჟეტური სცენების არჩევაში, ქალის თემისა და ორიენტალისტური თემების ინტერპრეტაციებში.

ამგვარად, მოხსენება ეძღვნება ვილჰელმ კოტარბინსკის შემოქმედებაში კულტურათაშორისი დიალოგის წარმოჩენას, მისი ფერწერის გავლენას უკრაინულ მოდერნიზმზე და მის ნამუშევრებში ეროვნულ-რელიგიური ტრადიციების რეცეფციას.

ქრისტინა ფრაიგანგი,

არქიტექტურის ისტორიის პროფესორი
ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი/ბიბლიოთეკა
ჰერციაანა, რომი

შემოქმედებითი და არქიტექტურული პასუხი კლიმატურ ცვლილებაზე

უახლეს წარსულში გაიზარდა იმის გაცნობიერება, რომ ადამიანი და ცივილიზაცია სულაც არაა ბუნებისა და გეოგრაფიული გარემოს საპირისპირო კონცეფცია, არამედ მისი ღრმა და განუყოფელი ნაწილია. ინდუსტრიალიზაციითა და დაბინძურებით ბუნების მასიური განადგურება ადამიანთა დამოკიდებულებაში ამ ფუნდამენტალური ცვლილების მთავარი გამომწვევი მიზეზია. დაახლოებით ბოლო 200 წლის განმავლობაში მიმდინარე ეს მასიური ინტერვენცია, ამართლებს მოდერნიზმის, როგორც „ანთროპოცენული“

მოვლენის კვალიფიცირებას. მზარდი კლიმატური ცვლილებები გიგანტურ საშიშროებას უქმნის ინდივიდუალურ ცხოვრებას, თანაარსებობასა და ეკოლოგიურ კეთილდღეობას. ეს ინდუსტრიალიზაციის მენეჯმენტში დაშვებული მასშტაბური ცდომილების შედეგია.

თუმცა დღეს კაცობრიობა და ცივილიზაცია სულ უფრო მეტად განიხილება ბუნებისა და მისი რთული მეტაბოლიზმის პროცესებზე პასუხისმგებლად. ადამიანთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებელ საყოველთაო მცდელობებსა და ბუნებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების პარალელი შეგვიძლია ვიპოვოთ ბუნებასა და ხელოვნებას შორის არსებულ დუალიზმთან: ხელოვნება, როგორც იდეალური, კონცეპტუალური წესრიგის ნიმუში, უპირისპირდებოდა ინერტულ და ველურ ბუნებას.

მოხსენება გვთავაზობს რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს იმისა, თუ როგორ განიხილება და აისახება ეს ეკოლოგიური პასუხისმგებლობა ხელოვნებასა და არქიტექტურაში. თუმცა ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ თანამედროვე ნიმუშებით, როგორცაა, მაგალითად, ოლაფურ ელიასონი, რომელიც თავის შემოქმედებაში ბუნებასა და კლიმატურ ციკლებს ასახავს. ჩვენ ასევე შევცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ ეხმიანება ძველი აპოკალიპტური პეიზაჟები ეკოლოგიური კოლაფსის ტოპოსს (მაგალითად, წყალდიდობის ან ეიფელის კოშკის სურათები ქალაქის დაბინძურების თავიდან აცილების მცდელობის მიზნით).

კაცობრიობის ეკოლოგიური მდგომარეობის პრობლემის მხატვრული და არქიტექტურული დამუშავება-გადამუშავება, ამჟამურებს ჩვენში იმის გაცნობიერებას, თუ რამდენად ღრმა და დამანგრეველ გავლენას ახდენს კლიმატური ცვლილებები ჩვენს ყოფაზე.

ნათია წულუკიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პედაგოგი

მორალური ვალდებულება და ეთიკური ღირებულება

თანამედროვე სამყარო რადიკალურად განსხვავებულ სამყაროებად, სოციალურ, პოლიტიკურ ფენებად დაიყო. ამ განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების ამსახველი ფოტოდოკუმენტები კი უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება, თანამედროვეობის სწრაფი რიტმი სამყაროს ფოტოცენტრულს ხდის.

თანამედროვე სამყარომ ამ მრავალფეროვნების სამართავად მორალური ვალდებულებები და ეთიკური ღირებულებებიც მკაფიოდ გაწერა საყოველთაოდ აღიარებული დეკლარაციების და პროფესიული ეთიკის კოდექსების მიხედვით. თუმცა, ფოტოგრაფიაში ხშირად ისინი ურთიერთსაპირისპირო ცნებებადაც კი განიხილება და, ზოგჯერ, პირველის დაცვა მეორის არსებობას გამორიცხავს. განსაკუთრებით კი ფოტოჟურნალისტიკაში, რამდენადაც სწორედ ის გვაწვდის ინფორმაციას აქტუალური მოვლენების – ცხელი წერტილების, გასაიდუმლოებული ან უცნობი ფაქტების, ძალიან ნაცნობი სელებრიტების, პროტოკოლით გათვალისწინებული და „აწყობილი“ პოლიტიკური შეხვედრების... შესახებ. სრულიად ნათელია, რომ ამგვარ გარემოში მოხვედრილი ფოტოგრაფის პროფესიული ვალდებულებაა – მიუკერძოებლად გააშუქოს ფაქტი, მოვლენა და ვიზუალურად ასახოს მისი არსი, პროფესიული ინტერესი კი, ამ ყველაფერთან ერთად, არაორდინარული, მაღალმხატვრული, ესთეტიკურად დახვეწილი ფოტოს შექმნა.

ყველა ვთანხმდებით, რომ შიშველი ბავშვის გადაღება და გავრცელება დანაშაულია. თუმცა, თუ ამ ბავშვის სამოსი აკრძალული ნაპალმის ბომბებს შეეწირა და ნაკვალევად

დამწვარი სხეული და არაადამიანური კვილი დატოვა, მაშინ ეთიკის კოდექსის დაცვით მცირეწლოვანის „ზედმეტი სიშიშველე“ უნდა აკრძალოთ, თუ ავტორის მორალური ვალდებულება დავიცვათ და მივცეთ უფლება – დაგვანახოს დაფარული და სასტიკი სიმართლე?¹

იმაზეც ყველა ვთანხმდებით, რომ დასახინჩრებულ მიცვალებულთა სხეულების ასახვაც ეთიკური დანაშაულია გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, თუ ამ ადამიანთა გვამები, მათ შორის უამრავი არასრულწლოვანი, ტანსაცმლის ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიული ბრენდის ავარიული შენობის ნგრევას შეეწირა, მაშინ ამ გვამებისათვის თვალის არიდება თუ მოჩვენებითი „დემოკრატიულობის“ ასახვა უნდა მოვთხოვოთ ფოტოგრაფს?²

თანამედროვე სამყარო, თავისი ორმაგი მორალითა და პრინციპებით, განსაკუთრებით ართულებს სიმართლის პოვნასა და თქმას. დოკუმენტური ფოტოგრაფია კი სიმართლისა და სამართალის, სწორი საავტორო პოზიციის გარეშე უბრალოდ არ და ვერ არსებობს. ამდენად, ფოტოგრაფების მიერ დარღვეული ეთიკური პრინციპები ხშირად მხოლოდ მორალური ვალდებულებებით გამოწვეული აუცილებლობაა.

¹ იგულისხმება ნიკ უტის ფოტო „ნაპალმის გოგო“

² იგულისხმება ელბასტერების ბილბორდები ბანგლადეშში 2013 წ.-ს ტანსაცმლის მწარმოებელი ქარხნის ავარიული შენობის ნანგრევებში ჩარჩენილი გვამების ფოტოებით, რომლებსაც H&M-ის ლოგო და ტექსტი – არ ინაღვლო, გამოიყენე – ახლავს.

მედიის კვლევები

ნინო გელოვანი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. სანდრო ვახტანგოვი

სატელევიზიო სერიალი – ბართოზის წყარო თუ...?

ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით შესაძლებელია გავარკვიოთ, კონკრეტული სოციალური მიერ ტელევიზორის ყურებისთვის განკუთვნილი დროის რა ნაწილი ეთმობა სატელევიზიო სერიალებს.

ტელევიზიის თავდაპირველი ფუნქცია ინფორმაციის მიწოდება იყო. ანალიზმა აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც რეგულარულად უყურებენ საპნის ოპერებს, გამოირჩევიან ბედნიერების უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ის ქალები, რომლებიც ნაკლებად უყურებენ სერიალებს.

ტელევიზორის ყურებისას ადამიანი თავისუფალი დროის ყველაზე მეტ წილს უთმობდა და უთმობს „საპნის ოპერას“. სერიალი მაყურებელს სთავაზობს კინოსთან მიახლოებულ დრამატურგიულად გამართულ აუდიოვიზუალურ ნაწარმს.

ნაშრომში, კვლევებზე დაყრდნობით, განხილული მაქვს სერიალების მაყურებელთა ჩვევები, მათი თავისუფალი დროისა და ბედნიერების ხარისხის დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტორებზე.

ნანა დოლიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი

ხელოვნება და ციფრული ტექნოლოგიები, როგორც აუდიტორიასთან ურთიერთობის ინსტრუმენტი პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში

არაფერია სიახლე, კულტურის დაანონსებული კრიზისის ქრონიკაში. თუმცა, არის თუ არა ეს კრიზისი, ან გამოწვევა, ან ახალი შესაძლებლობა, როდესაც ციფრული ტექნოლოგიები და სოციალური მედია სოციალური თერაპიის ფუნქციის ერთადერთ შემსრულებლებად გამოდიან. სოციალური მედიის ვირტუალური სცენებით ჩანაცვლდა ფიზიკური სახელოვნებო სცენები, ციფრულ სამყაროში შექმნილმა კულტურის პროდუქტმა ტრადიციული პროდუქტი არააქტუალური და უსარგებლო გახადა, მომხმარებელმა ასევე ვირტუალურ სივრცეში გადმოინაცვლა და თვითიზოლაციის პირობებში ერთმანეთში გააერთიანა მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი და ავტორი.

თავდაპირველად ჩვენ ვქმნით ტექნოლოგიებს, ხოლო შემდეგ ისინი გვქმნიან ჩვენ! – არსდროს ისე აქტუალური არ ყოფილა მარშალ მაკლუენის წინასწარმეტყველება ელექტრონული რეკლუციის შესახებ, როგორც დღეს, როდესაც უჩვეულო კანონზომიერებად ყალიბდება ადამიანთშორის ურთიერთობებში, ერთი მხრივ, ფიზიკური დისტანცირების ზრდისა და თვითიზოლაციის და, მეორე მხრივ სოციალური კავშირების, ციფრულ, ვირტუალურ სამყაროში სრული გადანაცვლება და საზოგადოების სოციალური შემჭიდროვება.

ციფრული ინფრასტრუქტურა, ინტელექტუალური ტექნოლოგიები – როგორი იქნება პოსტპანდემიური კულტურა და ხელოვნება? შესაძლებელია თუ არა ახალ პირობებზე მისი მოდელირება? შესაძლებელია თუ არა ონლაინ სერვისების

ინდუსტრიაში ტრადიციული ხელოვნებების ადგილის განსაზღვრა, რომელიც, თუ ერთი მხრივ, არსობრივად მოდის მასთან წინააღმდეგობაში, მეორე მხრივ, მისი ტრანსფორმაციის და გადარჩენის ერთადერთი გზაა.

ყველაზე „საშიში“ ადამიანისთვის ადამიანი აღმოჩნდა. პანდემიამ შეცვალა ურთიერთობების ფორმები და ახალი სოციალური უნარ-ჩვევების გამოქუთავებისკენ მოგვიწოდა, სადაც ხელახლა ვსწავლობთ არა მხოლოდ ერთმანეთთან საუბარს, არამედ ერთმანეთის მოსმენასაც. სოციალური მედია დღეს არა მარტო ადამიანური არსებობის გარემოს ელემენტია, არამედ თავად არის გარემო, რომელშიც ადამიანი მუდმივად და ავტომატურად ურთიერთქმედებს.

XX საუკუნეში თუ ტელევიზიის წარმატების საბაზისო ინსტინქტად იქცა – აირჩიო ის, რაც ყველაზე ხელმისაწვდომია; თუ მანამდე ტელევიზია იყო საშუალება, რომელიც სხვა სფეროებში არსებულ ფასეულობათა მხოლოდ ტრანსლირებას ახდენდა და შემდგომში თავად დაიწყო ახალი და ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა, განდება თუ არა ახალი მედიური კომუნიკაცია კულტურული თვითგამოხატვის ახალი საშუალება, კულტურის ტრანსფორმირებისა თუ ახალი კულტურის ფორმირების მაპროვოცირებელი იმპულსი. ყველაფერი კი კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიით და სამყაროში მაცხოვრებელი შეიდმილიარდიანი აუდიტორიის თვითიზოლაციის ეტაპზე გადასვლამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.

თეა სხიერელი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფ. გიორგი ჩართოლანი

ბრენდული კონტენტის ტიპოლოგია და მსატრულ-გამომსახველობითი საშუალებები

- ბრენდული კონტენტი, როგორც უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო ინსტრუმენტი: უნიკალური საფირმო კონტენტის მნიშვნელობა ბრენდის ფასეულობების გადაცემისათვის;
- ბრენდული კონტენტი vs კონტენტ-მარკეტინგი, ტრადიციული რეკლამა და PR; ფუნქციები, მახასიათებლები, უპირატესობები და პერსპექტივა;
- ბრენდული კონტენტის გავრცელების საკომუნიკაციო არხები: ტრადიციული მას-მედია, ახალი მედია, კორპორაციული მედია;
- ბრენდული კონტენტის ფორმატები: ტექსტური, აუდიოვიზუალური (ვიდეო, ფილმი, პოდკასტი, ინფოგრაფიკა), ინტერაქციული (ვიდეოთამაშები, ფლეშმობი);
- ბრენდული კონტენტი და კრეატივი: ცნობილი ხელოვანების შექმნილი საფირმო კონტენტი;
- ბრენდული კონტენტის ყველაზე წარმატებული მაგალითები;
- Redbull Media (Print, Tv) ბრენდს განუზომელ შესაძლებლობებს აძლევს – ენერჯეტიკული სასმელის სტანდარტული მარკეტინგის საზღვრებს გასცდეს მაღალი ხარისხის სატელევიზიო, კინო და ბეჭდური პროდუქციის შექმნით.
- The Lego Movie – როგორ აქცია ბრენდულმა ფილმმა 2014 წელს ლეგო ტრადიციული საყვარელი გასართობიდან მსოფლიოს ყველაზე გაყიდვად სათამაშოდ.

ლადო ტატიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საბჭოთა იდეოლოგია და ბადასახლებული ჯაზი

- ეს „მსუქნების მუსიკა“ და „ღორების ხმაური“ – ასე აფასებდა მაქსიმ გორკი მუსიკალურ ჟანრს, რომელსაც ჯაზი ერქვა.
- რამხელა ძალას უნდა წარმოადგენდეს მუსიკალური ჟანრი, როცა ის შიშის გრძნობას ჰგვრის ამხელა მონსტრის ხელმძღვანელობას.
- თუ გავიხსენებთ ლეონიდ უტიოსოვის ორკესტრს, რომელსაც დღეს ჯაზს უწოდებენ, ცოტა არიყოს სასაცილოა, რადგან საყვირის სოლო პარტია არ ნიშნავს ჯაზის არსებობას შემოქმედებაში.
- გავიხსენებ შახნაზაროვის მხატვრულ ფილმს „ჩვენ ვართ ჯაზიდან“, სადაც ახალგაზრდა მუსიკოსის მიერ შეკრულ ჯგუფს ისმენენ კომისის წევრები, როცა ასრულებენ ჯაზურ კომპოზიციას, ერთ-ერთი კომისის წევრი ეკითხება მათ, თუ როდის მოხდა სპარტაკის აჯანყება და მხოლოდ სწორი პასუხის შემდეგ ის თანხმობას იძლევა, რომ ჯაზ კოლექტივს შეუძლია საესტრადო სცენაზე გამოსვლა.
- 1936 წლის 26 იანვრის გაზეთი «Правда» – სტატია სათაურით «Сумбур вместо музыки», სადაც ანინიძური ავტორი აკრიტიკებს დიმიტრი შოსტაკოვიჩს, თითქოსდა მან ისედაც რაღაც გაუგებარ მუსიკაში ბევრი რამ ისესხა ჯაზისგან.
- მსგავსი ქმედება არ ხორციელდებოდა მხოლოდ მუსიკოსებზე, კიდევ უფრო მკაცრად კონტროლდებოდა მსმენელი, რომელიც მაღავდა ჩანაწერებს და ჯაზის მოსმენა მხოლოდ დარაბებს მიღმა ხერხდებოდა.
- სამწუხაროდ, ბევრი მუსიკოსის შესახებ იმფორმაცია არ

არსებობს, ან უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ვინ იცის, რამდენი მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსი ააოროტქლა ჰაერში რეჟიმში.

- 21 საუკუნე, დღევანდელი დღე, ვითომდა დემოკრატიული სივრცე, თუმცა ფესვები კვლავ წითელი, სიტყვა თავისუფალი, მაგრამ აზროვნება ხარისხს მოკლებული და ხელოვნება ხელოვნურ სუთქვაზე შეერთებული.

გიორგი ჩართოლანი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ტელესაქტაკლიდან ტელესერიალამდე

1. ტელევიზია წარმოშობისთანავე აერთიანებდა ორ უმთავრეს საზოგადოებრივ ინსტიტუციას – მედიას და კულტურას. საბჭოთა ტელევიზია მრავალი ათეული წლის განმავლობაში პრიორიტეტს მხოლოდ კულტურას ანიჭებდა და ამიტომ დიდ ადგილს უთმობდა ისეთ სატელევიზიო ჟანრს, როგორცაა სატელევიზიო სპექტაკლი.
2. პირველი ქართული სატელევიზიო სპექტაკლი („ბებრები“) შეიქმნა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, სადაც მთავარ როლებს ასრულებდნენ მეოცე საუკუნის ქართული თეატრის ვარსკვლავები: სესილია თაყაიშვილი და ალექსანდრე ჟორჟოლიანი.
3. სატელევიზიო თეატრის საშუალებით მაყურებელს სათეატრო ხელოვნება სახლში ეწვია და მას საყვარელი მსახიობების სანახავად არ სჭირდებოდა სპეციალურად თეატრში წასვლა. ტელევიზიის სიმულტანური ბუნება სათეატრო ნაწარმოების სპეციფიკასთან სრულ თანხვედრაში აღმოჩნდა. ტელემაყურებელი დარწმუნდა, რომ შეუძლია ადვენოს თვალი ყველაფერს და, მათ შორის დრამატულ წარმოდგენას, რეალურ დროში.

4. სატელევიზიო თეატრის ქართულ მედიასივრცეში გაჩენა ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ქართველი ხელოვანების მიერ შემოქმედების სხვადასხვა ასპარეზზე დაწყებულია სოციალისტური სისტემის კრიტიკა. ქართული სატელევიზიო სპექტაკლების უმეტესობაც მძაფრად აკრიტიკებდა არსებულ რეჟიმს („ხიდი“).
5. საქართველოს ტელევიზიის ისტორიაში პირველი პრეცედენტი, როდესაც სატელევიზიო პროდუქტს მოჰყვა მაყურებლის მყისიერი რეაქცია და მან პირველი და მძაფრი განაცხადი გააკეთა იმის თაობაზე, რომ იგი ვერ იქნებოდა გულგრილი ეთერში გასული ტელეპროდუქტის მიმართ, იყო არა პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან საინფორმაციო ფორმატის პროექტი, არამედ – ტელესპექტაკლი („ჯაყოს ხიზნები“).
6. ტელეთეატრმა, რომლმაც ათობით საინტერესო სატელევიზიო სპექტაკლი შექმნა, იარსება გასული საუკუნის ბოლომდე და შემდეგ ასპარეზი დაუთმო საქართველოს ტელევიზიისთვის ახალ ჟანრს – ტელესერიალს, რომელსაც თავდაპირველად საბჭოთა სატელევიზიო სივრცეში ეწოდებოდა მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი.
7. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ტელემაუწყებლობისთვის ტელესერიალი თავიდანვე გამოყენებული იყო როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის პროპაგანდის იარაღი („გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“), პირველი ქართული მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების ინტერესს წარმოადგენდა ან თანამედროვე, უბრალო ადამიანების ყველდღიური ყოფა („თუში მეცხვარე“), ან კლასიკური ლიტერატურული ნიმუშები („დათა თუთაშხია“).
8. თანამედროვე ქართული ტელეკომპანიების ძირითადი დაკვეთა არის ორი ტიპის სერიალზე: ერთი, რომელიც გამოიყენება მაყურებლის პოლიტიკური განწყობის შესაქმნელად (ტელეკომპანია „რუსთავი 2“, სოციალურ-ყოფითი დრამა „ჩემი ცოლის დაქალები“) და მეორე –

საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილების გასაფანტად, ყურადღების მთავარიდან უმნიშვნელოზე გადასატანად, უფრო კონკრეტულად კი გასართობად (ტელეკომპანია „იმედი“, სიტუაციური კომედია „შუა ქალაქში“). ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს პროპაგანდასთან და, შესაბამისად, თანამედროვე ქართული ტელესერიალები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პროპაგანდისტული ტელეპროდუქცია.

9. გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკულ ტელემედიაში სატელევიზიო შოუების და ტელესერიალების უმეტესი ნაწილი მოიცავა ფემინისტურმა განწყობებმა, ეკრანზე იმატა სოციალურ გარემოში სრულფასოვანი ადგილის დამკვიდრებისთვის მებრძოლი ქალების ტიპაჟებმა, რაც თითქმის ნახევარი საუკუნის დაგვიანებით გამოჩნდა ქართულ ტელეეკრანზე (საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, სერიალი „იდეალური დედა“)
10. მხატვრული სერიალის (დრამის) გარდა, ტელემედია აქტიურად იყენებს დოკუმენტურ სერიალებსაც განსაკუთრებით პოლიტიკურ სერიალებს. აუდიოვიზუალური თხრობის ფორმატი, რომელსაც ხშირად ემატება პუბლიცისტური ტექსტის დინამიკური რიგი, განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის დოკუმენტურ პოლიტსერიალებს მაყურებელში.
11. ქართული სატელევიზო დოკუმენტალისტიკა ბევრ საინტერესო ფილმს მოიცავს. საგულისხმოა, რომ 1981 წელს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა, იქმნება სატელევიზიო დოკუმენტური ტელესერიალი „გზა“ 1981წ. (რეჟისორები: მ. კოკჩიაშვილი, ჯ. გაბუნია, დ. გუგუნავა), რომელიც იწყება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს წარმოშობით და სრულდება მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით.
12. პოლიტიკური დოკუმენტური ტელესერიალებისადმი ინტერესი დღეს განსაკუთრებით იმ მედიასაშუალებებს აქვთ, რომლებსაც არ მოსწონთ არსებული პოლიტიკური ველი

და ემსახურებიან იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც რეალობის გადაწყობის სურვილი აქვთ. შესაბამისად, თანამედროვე ქართული პოლიტიკური დოკუმენტური ტელესერიალები ფაქტობრივად წარმოადგენს საავტოციო პროპაგანდისტულ პროდუქციას, რომელთა მიზანია მოსახლეობის (ამომრჩევლის) პოლიტიკურ გემოვნებაზე ზემოქმედება.

რევაზ ჭიჭინაძე,

სოციალურ მეცნიერებათ დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

ხელოვნება კოსტუმდისუ მარქაში

- ახალი მედიის წარმოშობა სოციალური კომუნიკაციის სივრცის ცვლილების ერთგვარი გამოძახილია. მედიაპროდუქტის მომხმარებლის მოთხოვნამ ბუნებრივად გამოიწვია მასალის მიწოდების პლატფორმების მრავალფეროვნება. მიმდინარეობს მედიის ევოლუციის პროცესი, რასაც თან ახლავს ჟურნალისტური პროფესიის სახეცვლილებაც, მაგრამ ევოლუციის, ციფრული ტექნოლოგიების, ჟურნალისტური პროდუქტის შეცვლილი ფორმის მიუხედავად, პროფესიის არსი – გადაიცეს, გავრცელდეს სწორი ინფორმაცია, უცვლელია. როგორც კი პერსონალური კომპიუტერი გახდა ხელმისაწვდომი, ფაქტობრივად, მაშინვე შეიქმნა ახალი, ციფრული კომუნიკაციის გარემო, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესშია.
- ახალი მედია მნიშვნელოვნად ცვლის არა მხოლოდ ჟურნალისტისტიკას, არამედ გვევლინება როგორც ხელოვნების ახალი ჟანრების წარმოშობი. ხელოვნების ევოლუციის გზაზე, მხატვრული ექსპრესიის გამოხატვის ახალი ფორმების ძიება ბუნებრივი, შეუქცევადი პროცესია.

შესაბამისად, ახალმა მედიამ, ახალი ხელოვნება – მედიახელოვნება წარმოქმნა. ეს არის ხელოვნების ფორმა, რომლის ნამუშევრებიც შექმნილია ახალი ტექნოლოგიებით, ან იყენებენ მათ.

- ცალკეული თანამედროვე მკვლევარები, ხელოვნებას განიხილავენ, როგორც მედიას. რამდენადაც ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში მოიაზრებს აუდიტორიას (ვისთვისაც ის იქმნება), თავის თავში მოიცავს საკომუნიკაციო პროცესსაც, რაც ხელოვნების შემთხვევაში ესთეტიკური კომუნიკაციის საზღვრებშია მოქცეული. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკური კომუნიკაცია სხვადასხვა ეპოქაში განსვავებული ტექნოლოგიით ხორციელდებოდა. ახალი მედიის დროს კი, ეს ტექნოლოგიები უფრო და უფრო დაუახლოვდა მედიატექნოლოგიებს, ანუ ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემის, მათ შორის ესთეტიკური კომუნიკაციის ძირითად საშუალებას დღეს უკვე ციფრული ტექნოლოგიები წარმოადგენს.
- ახალი მედიახელოვნება ხშირად განიხილება პოსტმოდერნისტული კულტურის შემადგენლად, თუმცა მკვლევარების ნაწილი, ახალი მედიახელოვნების ისტორიის გაანალიზებისას მიდის დასკვნამდე, რომ ეს პროცესი საზოგადოების ე.წ. პოსტმედური მდგომარეობის გამოძახილია. ისტორია გვიჩვენებს, რომ ტექნოლოგიებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს ხელოვნებაში. დღევანდელი პროცესები კი ცხადყოფს, რომ ახალი მედიახელოვნება იღებს ძველი, ტრადიციული მედიის არქეტიპს და, შესაბამისად, მიმდინარეობს რემედიალიზაცია, სადაც მედიუმი არის საშუალება, მასალა და არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება საღებავი, ბუნებრივი ქვა თუ თანამედროვე ტექნოლოგია.
- სხვადასხვა არტისტისა და არტკურატორების მოსაზრებებზე დაყრდნობით, იკვეთება რამდენიმე ტენდენცია, რომელიც, სავარაუდოდ, 20 წლის შემდეგ იქნება სახელოვნებო სივრცეში აქტუალური. პროგნოზის მიხედვით: 2040 წლისთვის, მასმედიის

გავლენით, ხელოვნება გახდება მეტად ინკლუზიური და ხელმისაწვდომი. მომავალში ხელოვნება შესაძლოა არ ჰკავდეს ხელოვნებას თანამედროვე გაგებით, მაგრამ ის მაინც იქნება ეპოქის სულის ამსახველი.

ქორეოლოგია

ლუბა ნაცყებია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ქორეოგრაფია/ქორეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. ქორეოგრაფიის სინთეზურობა მოიცავს მის არამარტო სახელოვნებო დარგებთან, არამედ, ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან კავშირს. ხელოვნებისა და მეცნიერების თანაარსებობის ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ქორეოგრაფია/ქორეოლოგიის კავშირი ისეთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, როგორებიც არის მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა და ბიოლოგია.
2. ცეკვა და მათემატიკა. მათემატიკა, როგორც ყველა მეცნიერების სათავე, სრულიად ბუნებრივად იჩენს თავს ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. ელემენტარულ ალგებრას ეფუძნება ქორეოგრაფიული სათვალავების სისტემა. მუსიკალური ნოტი-ბგერის გრძლიობა (წილადები), მუსიკალური ტაქტის ზომა, მუსიკალური ფრაზა და წინადადება არის ის თვლადი მონაკვეთები, რომლებიც ქმნიან ცეკვის მეტრო-რიტმულ სტრუქტურას. ელემენტარული გეომეტრიის ნიშნებს ვპოულობთ როგორც მოცეკვავის კიდურების მოხაზულობაში, ასევე, საცეკვაო მოძრაობებსა და ცეკვის ნახაზებში.
3. ცეკვა და ფიზიკა. ნიუტონის თითქმის ყველა კანონი მოძრაობის შესახებ შეიძლება ჩავთვალოთ „ცეკვადი ფიზიკის“ კანონებად. ფიზიკა და ცეკვა, სივრცისა და დროის ფაქტორების გათვალისწინებით, ურთიერთთანხვედრას პოულობს ისეთ ფიზიკურ მოვლენებში, როგორებიცაა მექანიკა, სტატიკა, დინამიკა, მიზიდულობა და სხვ.
4. ცეკვა და მედიცინა. მედიცინის ორი მიმართულება – ტრადიციული და ხალხური მედიცინა, ქორეოგრაფიასთან

მიმართებაში, მოცეკვავის პროფესიული ცხოვრების თანმდევი (ტრავმატოლოგია) ფაქტორია. ამასთანავე, უძველესი დროიდან ხალხურ ყოფაში არსებობს სამკურნალო საცეკვაო, ყვავილ-ბატონების სადიდებელი რიტუალების შესრულების უწყვეტი ტრადიცია. არტ-თერაპია დღესდღეობით ერთ-ერთი აპრობირებული სამკურნალო მეთოდია, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი „ცეკვის თერაპიას“ ეკუთვნის.

5. ცეკვა და ბიოლოგია. ბიოლოგია, როგორც მედიცინის მომიჯნავე დარგი, ცეკვასთან კავშირს ორი ძირითადი მიმართულებით ავლენს: ანატომია იკვლევს მოცეკვავის სხეულის ფიზიოლოგიურ აგებულებას; ხოლო, ნეირობიოლოგიის სფეროს მიეკუთვნება ცეკვის გავლენის შესწავლა ადამიანის ნერვულ სისტემაზე. ცეკვისა და ზოოლოგიის კვების მაგალითს ცხოველთა ქორწინების ცეკვა წარმოადგენს.

ანანო სამსონაძე,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქორეოგრაფ-ქორეოლოგი

თანამედროვეობა და ხალხური ქორეოგრაფია

(ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მაგალითებზე)

ხალხურ ქორეოგრაფიას სხვაგვარად საცეკვაო ფოლკლორი ეწოდება. თუმცა, ტერმინ „ქორეოგრაფიის“ ფუძე-მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხალხური ქორეოგრაფიის აზრობრივი შრე, მეტწილად, სასცენო ანუ მეორეულ საცეკვაო ფოლკლორს უკავშირდება. თანამედროვეობის კონტექსტში საცეკვაო ფოლკლორის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ავთენტური და სასცენო ფოლკლორის დიფერენცირების გზით.

ფოლკლორი, როგორც ხალხის შემოქმედებითი უნარების გამოვლენის საუკეთესო საშუალება, არა მხოლოდ მხატვრული ღირებულების მატარებელია, რომელიც სახელოვნებო კვლევების ობიექტს წარმოადგენს, არამედ, ისეთი სოციო-კულტურული მოვლენაა, რომელიც ეთნოსის ისტორიული განვითარების ფაქტებს ირეკლავს. ისტორიულ-რელიგიური ვითარების გათვალისწინებით, ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის ხალხური ავთენტური ცეკვები, ფუნქციურ-შინაარსობრივ და სტრუქტურულ ცვალებადობას განიცდიან. შესაბამისად, მართებულია საუბარი თანამედროვე ფოლკლორის განსხვავებულ ბუნებაზე და მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე.

საცეკვაო ფოლკლორის არქაული ფორმებიდან მის თანამედროვე ინტერპრეტაციამდე განვილილ გზას ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისი ასახავს. ეთნოქორეოლოგია სწავლობს ფოლკლორული ცეკვის განვითარების პროცესებს, მათ ეთნიკურ ნიშნების და ამ ნიშნების გავლენას ცეკვის სხვა სახეობაზე (ისტორიულ-ყოფითზე, სამეჯლისოზე, კლასიკურსა და თანამედროვე ცეკვაზე).

ხალხურ საცეკვაო ტრადიციებთან მიმართებაში თანამედროვე ტენდენციების გამოვლენას რამდენიმე მიმართულება აქვს:

- ავთენტური, პირველადი საცეკვაო ფოლკლორის დღევანდლობა. ხალხურ რიტუალებში შემონახული ქორეოგრაფიული ელემენტები და მათი შესრულების უწყვეტი ტრადიცია.

- სასცენო-ხალხური ქორეოგრაფიის განვითარება დასაბამიდან დღემდე. უახლესი პერიოდის ქორეოგრაფიული ტენდენციები, ცეკვების მუსიკალურ-მხატვრული გაფორმების თანამედროვე ტრადიციები და მათი ასახვა სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში.

- ფოლკლორული ცეკვის ელემენტების, პლასტიკურ-გრაფიკული ფორმების გამოყენება ცეკვის სხვა სახეობებში.

ქართული ხალხური ქორეოგრაფია სამივე მიმართულებით

საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. როგორც ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, ქართული ქორეოგრაფია, ერთი მხრივ, ინარჩუნებს არქაულ ნიშნებს (მაგ., სვანური, ფშაური, თუშური და სხვ. საცეკვაო რიტუალები). მეორე მხრივ, ქართული ავთენტური ცეკვები ტრანსფორმირდება თანამედროვე ხელოვნებაში სასცენო-ხალხური („ზეკარი“, „ჯუთა“, „ცდო“, „ოტობაია“ და სხვ.) და კლასიკური („მზეჭაბუკი“, „გორდა“, „მედეა“, „საგალობელი“, „დოვინ დოვენ დოვლი“ და სხვ.) ქორეოგრაფიული ნიმუშების სახით.

ივორ სტეფანიუკი,

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ვოლნის რეგიონალური საბჭოს „ლუცკის პედაგოგიური კოლეჯის“ მუსიკალური განათლებისა და ინსტრუმენტებზე დაკვრის კათედრის უფროსი მასწავლებელი

ვოლნის ცეკვების ლოკალური თაზისმზობრა

ვოლნი – უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ეთნოკულტურული რეგიონია. დღეს კი იქ, ადგილობრივი ყოფის საუკუნოვანი, მრავალი სპეციფიკური მახასიათებელია შემორჩენილი, კერძოდ, მუსიკალური, მხატვრული, საცეკვაო ტრადიციების სრული პლასტები იკვეთება რეგიონალური ფორმით. როგორც გამოკვლევა აჩვენებს, ვოლნის ცეკვას აქვს მრავალსახეობრივი გარკვეული ტრადიციული ჟანრები და ფორმები, რაც უკრაინულ კულტურას თან სდევს. ამასთან, ვოლნის ქორეოგრაფიული მასალა საშუალებას გვაძლევს, დავაფიქსიროთ ადგილობრივი ვარიაციები და შესრულების სპეციფიკური მეთოდი, ეროვნულ მახასიათებლებთან ერთად. მაგალითად, პოლკას ცეკვებთან და ფერხულთან ერთად, ვოლნი იკვეთება კადრილი და ისეთი ვოკალურ-ქორეოგრაფიული ფორმა, როგორცაა „ტრინდჩკი“. ვოლნის რეგიონის საცეკვაო ფორმების კალიედოსკოპში ჭარბობს წყვილთა ცეკვები, მასობრივი ცეკვები, რომლებშიც სოლო ეპიზოდებიცაა

ჩართული,თუმცა,ცალკეარ არსებობს მამაკაცის ან ქალის ცეკვა. ტრადიციულად ვოლნის ცეკვებია „კრუტიანი“, „ვერეტენჩიკი“, „სკაკუხა“, „გუპალი“, „ოი-რა“. ხალხურ ცეკვებში ცალკეული მოძრაობები 2/4-ზე სრულდება 3/4 ზომის მუსიკალური თანხლებით. ვოლნის ხალხურ ცეკვებს ასევე აქვს საცეკვაო ლექსიკის საკუთარი სპეციფიკა: მათი სტრუქტურა ხასიათდება თავისებური ქმედებებითა და მოძრაობებით, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა გამოსვლას, ჩაბუქვნასა და ხტუნვას, ერთ ადგილზე მოძრაობასა და ნახტომს წინსვლებით, ტანისა და ბარძაყების თანხვედრ ტრიალს, ყველა სახეობის მოხვევებს, მონაცვლეობას და მრავალი სახის ბუქნს. ეს რეგიონალური „პა“ მდიდრდება ხალხური ქორეოგრაფიული ლექსიკით და იწვევს უკრაინული ქორეოგრაფიული ხელოვნების ახალი ნამუშევრების გაჩენას. ამრიგად, ვოლნის საცეკვაო ხელოვნების რეგიონალური მახასიათებლები უკრაინის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

მუსიკისმცოდნეობა

მარინა ქავთარაძე,
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის პროფესორი

**„არ გამოხვიდე ინტერნეტიდან,
არ დაუშვა შეცდომა“
ანუ კრიზისი როგორც შესაძლებლობა**

პანდემიის გამო ვირტუალურ სივრცეში საყოველთაო გადასახლება ძველი მოდელების მსხვერველს იწვევს და როდესაც არ უნდა დასრულდეს ბრძოლა გამოუცხადებელ ომში კორონა ვირუსთან, სამყარო ისეთი ველარ იქნება როგორც მანამდე. კორონავირუსმა მდგრადობაზე დატესტა და მტკივნეულად აისახა ქვეყანაში არსებულ ყველა სფეროზე, მათ შორის მუსიკალურ ინდუსტრიაზე. ვერ გადაურჩა მას ვერც განათლების სფერო და ექსპერიმენტების მორევეში გადაადგო მთელი საგანმანათლებლო სისტემა, განსაკუთრებით სახელოვნებო.

პანდემიამ მთელ სამყაროს დაანახა, რომ ვირუსის წინაშე ყველა თანაბარია, განურჩევლად შთამომავლობისა და ეროვნული კუთვნილებისა. აქტუალობა დაკარგა გლობალიზაციის პრობლემამაც მისი ტრადიციული გაგებით. ტოტალური დისტანცირების ჟამს მუსიკა, ისე როგორც არასდროს, აახლოებს ადამიანებს. კარანტინის დროს სახლებში გამოკეტილი ადამიანების თვითგამოხატვის ფორმაც მუსიკაა და ერთმანეთთან ურთიერთობაშიც მათ მუსიკა ეხმარებათ. ეს ინტერნეტში განთავსებული ჰოუმვიდეო კადრებითაც უხვად დასტურდება, განურჩევლად იმისა, იტალიაა ეს, ამერიკა, ჩინეთი თუ საქართველო.

რა დაგკარგეთ და რა შევიძინეთ ამ პროცესში და რა გვასწავლა კორონამ?

კოვიდ-19-ის გამოწვევები უკვე გახდა მრავალი ცვლილების დასაბამი და არა მარტო ნეგატიურ კონტექსტში, არამედ ახალი მიმართულებების, შემოქმედებითი პროცესების, სწავლების მეთოდოლოგიის და სხვა მრავალი სიახლის

დანერგვის კუთხით. გაჩნდა მუსიკალური შემოქმედების ახალი ფორმები:

1. აკადემიური მუსიკის ახალი ჟანრები შექმნილი ახალი ტექნოლოგიებით სპეციალურად ვირტუალურ სივრცეში პორტირებული მუსიკოსებისათვის;

2. ახალი ფოლკლორული ნიმუშები მიძღვნილი კორონა ვირუსისადმი;

3. შემსრულებლობის ახალი ფორმები დიდი შემადგენლობისათვის ადაპტირებული ვირტუალურ, ონლაინ სივრცეში შესასრულებლად;

4. კონცერტი მსმენელის გარეშე;

5. კონკურსები და ფესტივალები ონლაინ რეჟიმში;

6. საოპერო სპექტაკლები და კონცერტები თავისუფალ წვდომაში ინტერნეტ მაყურებლისათვის;

მოსხენება წარმოადგენს დღევანდელ მუსიკალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ანალიზის მცდელობას, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია იმ შემოქმედებით ძიებებზე, რომლებიც ეპიდემიის დროს გამოიკვეთა.

კვლევის მიზანია – გამოკვეთოს ის სიახლეები, რომლებიც არსებულმა კრიზისმა დაბადა და „კრიზისის, როგორც შესაძლებლობების“ პრიზმაში გაატაროს ეს მოვლენები. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ახალი მუსიკის ნიმუშები და მუზიციურების ფორმები, რომლებიც არსებულ რეალობაში დაიბადა.

გვანცა ლვინჯილია,

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კომპოზიტორის შემოქმედებითი ნება და სამეცნიერო ტექნიკური პროგრამა

(საკითხის დასმის წესით)

COVID-19 პანდემიის შედეგად მსოფლიოს უდიდესი ნაწილი დისტანციური მუშაობის და სწავლების რეჟიმზე გადავიდა; უმძიმესი სოციალური შედეგების თავიდან აცილების გარდა, რაში დასჭირდა მსოფლიოს პანდემიის წინააღმდეგ 3 ფუნდამენტური პრინციპის გამოყენება (სოციალური დისტანცირება, კარანტირი, იზოლაცია), ამას „ახალი მსოფლიოს“ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების სტრატეგია დაგვანახებს; შესაძლოა, ეს შორს გამიზნული ქმედება მიზნად ისახავს კაცობრიობის ცნობიერების ტექნოლოგიურ პროგრესზე კონცენტრირებას და მის გონებაში საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროგრესის გენერირებას.

პანდემიის ფსიქოლოგიურ-ეკონომიკური შედეგების ანალიზის მიზნით ინტენსიფიცირებულია სოციოლოგიური გამოკითხვები; იტესტება მსგავს განსაცდელზე კაცობრიობის რეაგირების ადეკვატურობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მსოფლიო ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ხანაში აქტიური „ინტერვენციისთვის“ ემზადება. ადამიანის ცნობიერება და მასთან დაკავშირებული სახელოვნებო პროცესები მუდამ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და საზოგადოებრივ-ფორმაციული ცვლილებების კვალდაკვალ ვითარდებოდა ხოლმე, თუმცა მეოცე საუკუნემდე ეს კავშირი ბევრად შენიღბული იყო. კითხვაზე, ხომ არ გამოიწვევდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი, განსაკუთრებით მის ინტენსიურ ფაზაში შესვლის შემდეგ (კოსმოსის ეპოქის ათვისების ხანაში), მუსიკალური ხელოვნების ფუნდამენტური ღირებულებების უკუგდებას, პასუხი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნემ

გაგვცა. უპრეცედენტო ტექნოლოგიურმა პროგრესმა მუსიკაზე ყველაზე მეტად ხომ სწორედ ამ საუკუნეში მოახდინა გავლენა (რაც დღემდე აქტუალურია); მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რამდენიმე საუკუნის წინათ სეკულარიზაციის გზაზე დამდგარი მუსიკალური ხელოვნება მისტიკისკენ, მითოლოგიური და რელიგიური თემატიკისკენ აქტიურად სწორედ ამ საუკუნეში შემობრუნდა. თეორიულთან ერთად კოსმოსის პრაქტიკულმა ათვისებამ კიდევ უფრო გამოკვეთა სამყაროს უკიდევანობის იდეალება, რამაც გაზარდა ნაწარმოებების ონთოლოგიური სიღრმე, გამოავლინა მათში ჩადებული იდეების ქარიზმატული შინაარსი, გააძლიერა „მისტიკურის“ გამოვლენის არეალი და ინტენსივობა. მუსიკას ხომ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ხელეწიფება მისტიკურის არსის გადმოცემა (ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, მუსიკის ამ უნარს განიხილავს ფილოსოფიაც, ესთეტიკური ნააზრევი, წმინდა მამების წერილები, ფსიქოლოგიური და თვით სოციოლოგიური ლიტერატურაც). ამიტომაც არ მოდის წინააღმდეგობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ინტუიტიურ შემოქმედებით პროცესთან. ტექნოლოგიურმა საუკუნემ კვლავ მოქმედებაში მოიყვანა განჯადოების პროცესი (ვებერი) და „მუსიკის კოსმოსიც“, ნაწარმოებებში ჩადებული პლანეტარული ცნობიერებაც გაფართოვდა; და მაინც, ტექნოლოგიური ინოვაციების კასკადის ფონზე ვიზიონერის ცნობისმოყვარეობითაა გამსჭვალული მუსიკის მომავალთან დაკავშირებული მრავალი კითხვა: როგორი იქნება საკუთრივ მუსიკალური მელოსფერო (ზემცოვსკი), მოხდება თუ არა მუსიკალური აუდიტორიის, მსმენელის ფენომენის გადააზრება, რა შესაძლებლობები იხსნება საკომპოზიტორო ექსპერიმენტირებისთვის იდეურ, სტილურ-სააზროვნო დონეზე, როგორ შეიცვლება მუსიკის ტრანსცენდენტური თუ ეთიკური ფუნქცია, მიზანი, საკომპოზიტორო მსოფლალქმა, როგორი იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებით ნებასთან მიმართება და ა. შ.

თამარ ჩხეიძე,

ასოციირებული პროფესორი
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

მნიშვნელოვანი აზროვნება, როგორც ქართული ტრადიციული სამგალობლო ხელოვნების იგანმენტური თვისება

ქართული საეკლესიო გალობის საწყისები ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებს უკავშირდება. ქრისტიანული სამგალობლო ხელოვნების წიაღში შემუშავებული ზოგადი ნორმები, დროთა განმავლობაში, განვითარების პროცესში მდიდრდებიან, განიცდიან გარდაქმნას და აყალიბებენ ადგილობრივ სამგალობლო ტრადიციებს. განსხვავებული განვითარების გზებისა და ტენდენციების გამო, ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნად დაშორდა საფუძვლებს, ზოგიერთი კი - პირველსაწყისთან მტკიცე კავშირის შენარჩუნებასთან ერთად ჩამოყალიბდა ქრისტიანული სამგალობლო ხელოვნების მეტად ორიგინალურ ნაირსახეობად. მნიშვნელოვანი აზროვნება, რომელიც პროფესიულ ხელოვნებად ჩამოყალიბებისთანავე ქრისტიანული გალობის განმსაზღვრელ თვისებად იქცა, და რიგ ტრადიციებში განვითარების გარკვეულ ეტაპამდე შენარჩუნდა, ქართულ ტრადიციაში განვითარების ყველა, მათ შორის გვიან ეტაპზეც ფიქსირდება. ამ თვისებურების გათვალისწინება ქმნის წინაპირობებს ქართული საეკლესიო გალობის მუსიკალური კანონზომიერებების მართებული ანალიზისათვის და შეფასებისთვის. მნიშვნელოვანი-ფორმულური აზროვნებისადმი ერთგულება და მრავალხმიანი ფორმებში ამ ფორმულების იმპროვიზაციული გარდასახვა ბადებს სწორედ ქართული საეკლესიო გალობის ინდივიდუალურ იერსახეს, რაც ქრისტიანულ სამგალობლო ტრადიციებს შორის მას განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს.

თავისუფალი თემების სექცია

თმატრამტოლნეობა

მაია დობორჯვინიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის
ასისტენტი, საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების
მიმართულების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: მთ. მეცნიერ-თანამშრომელი თ.
ქუთათელაძე

ესპანელი სიურეალისტი და „ტრერო“

ნაშრომში გაანალიზებულია XX საუკუნის 20–იანი წლების სურეალიზმი და ესპანური სახელოვნებო რეფორმები: მიგელ დე უნამუნოს ეგზისტენციალისტური კონცეფციები და იდეების დრამა, გასეტის „ხელოვნების დეკუმანიზაცია“ (1925), „მასების ამბოხი“ (1930). ორი მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი ნაჩვენებია ესპანეთის ორი მოაზროვნის - გასეტისა და მაჩადოს დაპირისპირებით. ნაშრომში წარმოდგენილია აგრეთვე ა. ბრეტონის მანიფესტები, მისი სიურეალისტური ჯგუფის მიზნები და კონფლიქტური სალვადორ დალის ურთიერთობა ჯგუფის ლიდერთან (1929 „სიურეალიზმი – ეს მე ვარ“). აქვე ვმსჯელობთ ესპანეთის სიამაყისა და სამი მეგობრის: სალვადორ დალის, ლუის ბუნუელისა და გარსია ლორკას სიურეალისტური მოღვაწეობის ძირითად მახასიათებლებზე. მათ მიერ ესპანური ლიტერატურისა და მსოფლმხედველობის რეფორმირების პროცესზე.

ნაშრომის ძირითადი მონაკვეთი ეძღვნება ახალი ტენდენციების შემოქმედის, ესპანელი პოეტის, დრამატურგის, მუსიკოსისა და გრაფიკოსის, გარსია ლორკას მიერ (1898 - 1936), განხორციელებულ რეფორმებს. მის მიერ ესპანეთში დავიწყებული ოქროს ხანის ლიტერატურისა და ფოლკლორის მოდერნიზებას. ამ და სხვა მრავალი რეფორმისა და დამსახურების გამო, თანამედროვეებმა ლორკას „ტრებადური“ და „ტრერო“ უწოდეს. ამით განადიდეს ესპანური ფოლკლორის უკვდავებისთვის თავდადებული მოღვაწე.

ლორკას მიერ 1928 წელს გამოქვეყნებულ ლექსების კრებულში “ბოშური რომანსერო”, ბოშების ტრაგიკული მითოლოგიის თანადროულ რუტინულ ყოფასთან ადაპტირებით, წარმოდგენილ იქნა ანდალუსიის ტრაგიკული ბედის ეპიკური სურათი. ძველი ანდალუსიური ზღაპრებისა და შუასაუკუნეების რელიგიური პიესების გადამუშავების საფუძველზე, ლორკამ მორიგი რეფორმა განახორციელა. 1923 წელს შეიმუშავა თოჯინური თეატრის დრამატურგია და დააფუძნა ანდალუსიის ხალხური თოჯინების თეატრი, სადაც თავადვე დგამდა მარიონეტულ შოუებს. 1936 წელს, თეატრი ფრანკოს რეჟიმმა გაანადგურა მისი უსაზღვროდ პოპულარული, კარნავალური სიჭრელისა და პოლიტიკური სიმძაფრის გამო.

1927 წელს, ლორკამ განახორციელა მივიწყებული ესპანელი კლასიკოსი პოეტის, ლუის დე გონგოროს რეაბილიტაცია. 1929 წელს დააფუძნა ბალაგანური თეატრი (“ლა ბარაკა”, 1931), რომელიც მიზნად ისახავდა ფართო საზოგადოებისათვის ესპანეთის კლასიკური დრამის გაცნობას. პოლიტიკური გარემოებების მწვავე მინიშნებებით შეიქმნა მისი ტრაგედიები: „მარიანა პინედა“ (1927), „სისხლიანი ქორწილი“ (1933), „იერმის ტრაგედია“ (1934), „ბერნარდა ალბას სახლი“ (1936). სამივე პიესის ცენტალური თემა - სუსტი სქესის ტრაგიკული ბედი.

ესპანეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების პანორამა განხილულია მსოფლიოში XX საუკუნის 20–იანი წლებიდან მომძლავრებული ფაშიზმის უნისონში. ნაშრომის ბოლო მონაკვეთი ეძღვნება XX საუკუნის 70, 90–იანი წლების ქართული თეატრის ძირითადი ტენდენციებისა და სოციალ-პოლიტიკური პროცესების მოკლე მიმოხილვას. აქვე გთავაზობთ თემურ ჩხეიძისა და გოჩა კაპანაძის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული გარსია ლორკას სახელოვანი პიესის - „ბერნარდა ალბას სახლი“ (1973, 1990), მასთან ერთად კი ჩემი სპექტაკლის ზოგად კონცეფციებს.

თინათინ კორძაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის
ასისტენტი,
საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების
მიმართულების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: მთ. მეცნიერ-თანამშრომელი
თ. ქუთათელაძე

„გუშინდელი“ დღეს

შალვა დადიანის „გუშინდელი“ სამართლიანადაა აღიარებული ქართული დრამატურგიის კლასიკურ ნიმუშად. გარკვეულ პერიოდებში პიესა აქტიურად იდგმება ხოლმე ქართულ სცენაზე. ნაშრომში ასახულია პიესის შექმნის მოტივაცია, კერძოდ, XX საუკუნის 10-20-იან წლებში არსებული სოციალ-პოლიტიკური და კულტურული გარემო და პარალელურად მიმდინარე ძირითადი თეატრალური პროცესები.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის 10-20-იანი წლები, რომელთაც უკავშირდება ამ პიესის შექმნა და მისი პირველადი განხორციელება, მსოფლიოში მიმდინარე მოდერნიზაციის ახალი ეტაპის დასაწყისით აღინიშნა. ამ მხრივ, არც საქართველო იყო გამონაკლისი. ჩვენშიც განხორციელდა დიდი გარდაქმნები, ხოლო განვითარებული პროცესები უჩვეულოდ ტრაგიკული აღმოჩნდა. საქართველოში ეს პერიოდი გასაბჭოების ხანით აღინიშნა. შესაბამისად, მიმოვიხილავ XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკას, სადაც ერთმანეთს ენაცვლება საქართველოს ორი დიდი თეატრალური ქალაქის – თბილისისა და ქუთაისის თეატრებში წარმართული რეფორმირები. ამ პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა შალვა დადიანის „გუშინდელის“ შექმნისა და დადგმის ფაქტი. იგი მრავალმხრივ შეეხმიანა აღნიშნულ პერიოდში განვითარებულ ზოგად პროცესებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პიესა შეიცავს

არა მხოლოდ იმ დროისათვის დამახასიათებელ თამამ პასაჟებს, რაც მოტივირებულია თავად დადიანთა სახელოვან ოჯახში აღზრდილი მწერლის პასუხისმგებლობით,

ნაშრომის მეორე მონაკვეთი ეძღვნება თავად პიესის სასცენო ინტერპრეტაციების ძირითად კონცეფციათა შედარებით ანალიზს, ქართულ სცენაზე „გუმინდელის“ მნიშვნელოვანი დადგმების დროს არსებულ სარეპერტუარო პოლიტიკას, გარკვეულ წლებში მისი განსაკუთრებული აქტუალობის მოტივაციის განხილვას. აქვე შემოგთავაზებთ ჩემ მიერ დასადგმელად განზრახული სპექტაკლის სარეჟისორო კონცეფციას. ეს პიესა კვლავ აქტუალური რჩება XXI საუკუნის სინამდვილეშიც. ამ ფაქტის ახსნასაც ვცდილობ ჩემს ნაშრომში.

თინათინ ქათამაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი.

სამემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების
მიმართულების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: მთ. მეცნიერ-თანამშრომელი თ.
ქუთათელაძე

წარმოსახვის განვითარება მსახიობის ოსტატობის სწავლების პროცესში

პროფესიული სამსახიობო სკოლის არსებობის მანძილზე, არაერთი გამოკვლევა თუ ნაშრომი მიეძღვნა სამსახიობო პედაგოგიკის ეფექტური მეთოდოლოგიის ფორმირებას, მისი განვითარებისათვის მზაობას. უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს მსოფლიო ოსტატების მიერ შემუშავებული და დღემდე დაგროვილი გამოცდილების შეჯერება, მათი ანალიზი. მიუხედავად ამისა, მსახიობთა ოსტატობის სწავლების პროცესში, ხშირად გვხვდება ისეთი პრობლემები, რომელთა დაძლევა მხოლოდ ცნობილი ოსტატებისა თუ პედაგოგების

მიერ ფორმირებული თეორიების, პრაქტიკული მიგნებებისა თუ მეთოდოლოგიების კოპირებით შეუძლებელია. მსახიობის ოსტატობა განსაკუთრებული მნიშვნელობის დარგია სათეატრო ხელოვნებაში, სადაც ძირითად სამუშაო ინსტრუმენტებად გვევლინება არა მხოლოდ მეტყველება ან პლასტიკა, არამედ მისი ყურადღება, წარმოსახვა და სულიერი სამყარო. ამჯერად ჩემი მიზანია ყურადღების კონცენტრაცია მის ერთ-ერთ ასპექტზე – წარმოსახვაზე.

წარმოსახვა დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება შემოქმედებით ფსიქოლოგიაში. მიუხედავად მისდამი დიდი ინტერესისა, იგი კვლავაც თეთრ ლაქად მოიაზრება მეცნიერებაში, რადგან თავად მექანიზმი, წარმოსახვის დაბადებისა და განვითარებისა, ბოლომდე კვლავ შეუსწავლელია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ადამიანის ქვეცნობიერს, მის ინდივიდუალიზმს. ამიტომაც კონკრეტული, ან ერთიანი პოზიცია მასთან დაკავშირებით არ არსებობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი კლასიკოსის, რევაზ ნათაძის მიერ შემუშავებული ექსპერიმენტებით დადასტურდა წარმოსახვის უშუალო კავშირი მსახიობისათვის აუცილებელ ისეთ უნართან, როგორიცაა გარდასახვა. ექპერიმენტული შედეგების მიხედვით, რ. ნათაძემ სასცენო გარდასახვის საფუძვლად აღიარა მსახიობის მიერ წარმოსახვით, ფანტაზიით შემუშავებული განწყობის ფაქტი. როგორც გაირკვა, სასცენო გარდასახვისა და სცენურ სახეთა შექმნის ფუნდამენტს, სწორედ წარმოსახვით შემუშავებული განწყობები ქმნიან, ხოლო მსახიობის ნიჭიერებას წარმოსახვითი განწყობის შემუშავების უნარი უკავშირდება. აქედან გამომდინარე, წარმოსახვის უნარის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას სტუდენტის შემოქმედად ჩამოყალიბებისთვის.

მსახიობის ოსტატობაში სტუდენტის სწავლების საწყისი პერიოდის ტრენაჟების სისტემატიზირებისთვის, მსოფლიო და ქართული თეატრალური სკოლების გამოცდილების გათვალისწინებით (კ. სტანილაფსკი, მ. ჩეხოვი, ვ. მეიერჰოლდი, ე. გროტოვსკი, პ. ბრუკი, მ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, შ.

გაწერელია), ჩვენ შევიმუშავეთ ტრენაჟების კომბინირებული სისტემა, რომლითაც მიმდინარეობს წარმოსახვის ეფექტური განვითარების პროცესი. იგი მოიცავს იოგას ელემენტებს, მართვად მედიტაციას, ფიზიკურ თვითშეგრძნებებს, არავერბალურ კომუნიკაციას (მენტალაიზინგს) და ა. შ. ეს პროცესი მოითხოვს ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაციის გამოძეგნების უნარს. შესაბამისად, იბადება ყურადღების განვითარების უპირობო აუცილებლობა (რაც უკლებლივ ყველა სამსახიობო სკოლის ფუნდამენტურ ქვაკუთხედს წარმოადგენს).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეიქმნა საჭიროება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური კვლევისა. კვლევის შინაარსი გულისხმობს, თუ რამდენად იზრდება წარმოსახვისა და ყურადღების უნარები ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში (ექსპერიმენტული ჯგუფის პარალელურად არსებობს საკონტროლო ჯგუფი, რომელიც გადის მსახიობის ოსტატობის კურსს კომბინირებული ტრენაჟების გარეშე).

ექსპერიმენტის მიზანია დადგინდეს, თუ როგორ ვითარდება წარმოსახვა და ყურადღება ტრენაჟების ერთწლიანი სისტემატური ციკლის ჩატარების შემდეგ. პირველი ეტაპი დასრულებულია (სადაც გაიზომა წარმოსახვისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარები კომბინირებული ტრენაჟების დაწყებამდე). პირველი ეტაპი მოიცავდა (ტორენსის, მედნიკის, გილფორდის, ტუნიკის) ტესტებს, რომელიც უშუალოდ ფსიქოლოგიის დოქტორის მეთვალყურეობით ჩატარდა.

ამჯერად, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება პირველ ეტაპზე განვითარებული კვლევა, რამდენიმე სავარჯიშო და სავარაუდო დასკვნა, თუმცა მომდევნო ტესტირება, რომელიც ჩატარდება წლის ბოლოს, მოგვცემს საბოლოო შედეგს, თუ რამდენად განვითარდა წარმოსახვა და ყურადღების კონცენტრაციის უნარი სტუდენტებში. აღსანიშნავია, რომ ქართულ თეატრალურ პრაქტიკაში ეს გახლავთ პირველი მცდელობა როგორც ჩვენში, ისე ევროპისა თუ ამერიკის (ჩვენთვის ნაცნობ) წამყვან თეატრალურ სკოლებში მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარების, სისტემის მართებულობის მეცნიერული კვლევისა.

კინოგოლნეობა

შზია მაჯნავეძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფ. ელისო ერისთავი

უხმო კინოს ხმოვანება და ხმოვანი კინოს საწყისები

თანამედროვე კინომკვლევრებმა დაადგინეს, რომ უხმო კინოს აკომპანიმენტიანობის კინოთეატრები ექვსამდე, სხვადასხვა ურთიერთკონკურირებადი ხმოვანების სტრატეგიას მიმართავდნენ, სადაც მუსიკალურ აკომპანიმენტთან ერთად, ასევე გამოიყენებოდა სინქრონული ხმები.

1910 წელს, როდესაც უხმო კინოს ხმოვანებამ კომერციული კინოინდუსტრიის ფორმის მიღება დაიწყო, ხმისა და გამოსახულების თანხვედრის ექსპერიმენტი უკვე სერიოზულ ტექნიკურ მიღწევებს ემყარებოდა.

მენეჯმენტი

დილაგარდისა დაეითულიანი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის პედაგოგი,
ლილი კოჭლამაზაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მსტრემალური ტურიზმი საქართველოში

- ტურიზმი საქართველოში ეკონომიკის შედარებით ახალი დარგია, ადამიანის აქტიური დასვენების ერთ-ერთი ფორმაა, დასვენება კი – ადამიანის აუცილებელი მოთხოვნილება.
- ტურიზმი არის ადამიანთა ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან საკუთარ ან უცხო ქვეყანაში დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დათვალიერების, პროფესიულ – საქმიანი, სპორტული, რელიგიური ან სხვა მიზნით ანაზღაურებადი საქმიანობის გარეშე.
- ტურიზმი განსაკუთრებული დარგია იმით, რომ ყველა ეძებს მასში და პოულობს იმას, რაც მას ძალიან მოსწონს და სურს. ზოგს მთები და მარად ყინულიანი მწვერვალები მოსწონს, ზოგს – ზღვა და მდინარეები, ზოგს – მიწისქვეშა მღვიმეები და გამოქვაბულები, ზოგს – ჩაძირული გემებისა და თვითმფრინავების დათვალიერება და სხვა.
- შესაბამისად, არსებობს ტურიზმის მრავალი სახეობა, კერძოდ: საკურორტო-გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, ეკოლოგიური, სამთო-სათხილამურო, სპელეო, სპორტული, საქმიანი (ბიზნეს), სასწავლო, სათავგადასავლო (ექსტრემალური), სამკურნალო, ეზოთერიკული, რელიგიური, ეთნოგრაფიული, კულინარიული (გასტრონომიული), ფერმერული ტურიზმი და სხვა.
- ბოლო პერიოდში აქტიურად ვითარდება ექსტრემალური ტურიზმი, როგორც სათავგადასავლო ტურიზმის

მიმდევრობა, სახეობა. იგი ტურიზმის ის სახეობაა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებაში გადაადგილების და დასვენების აქტიურ ფორმასთან და აქვს ახალი შთაბეჭდილებების – ექსტრემის მიღების უნარი. იგი მსოფლიოში ტურიზმის ერთ-ერთი მოთხოვნადი სახეა, დღითი დღე იზრდება ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ტურიზმის ამ სახით არიან დაინტერესებულნი და, შესაბამისად, ტურიზმის ეს სექტორი ყველაზე მზარდია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩაბმული ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციაში და სისტემატურად ახორციელებს კვლევით სამუშაოებს ამ მიმართულებით, თანაც ჩვენი ტერიტორია საშუალებას იძლევა ექსტრემალური ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისათვის. სამთო (ალპინისტური) ტურიზმის კუთხით – კავკასიის მთიანეთი, საწყალოსნო ტურიზმის კუთხით – წყალუხვი და სწრაფი მდინარეები, სპელეოტურიზმისათვის კი შესანიშნავ პირობებს ქმნის დასავლეთ საქართველო (რაჭა, იმერეთი, სამეგრელო).

- ექსტრემალური ტურიზმი პირობითად შეიძლება დაიყოს სახმელეთო, საწყალოსნო და საჰაერო სახეებად. ექსტრემალური ტურიზმის სახმელეთო სახეებია: ალპინიზმი, მთამსვლელობა, მეკლდეურობა, სამთო-სათხილამურო ტურიზმი, სპელეოტურიზმი, ჯიპტური, ველოტურები, ლაშქრობა კარვებით, ცხენებზე ჯირითი, მოტოტურები და სხვა. საწყალოსნო ტურიზმის სახეობებია: რაფტინგი (ჯომარლობა), დაივინგი, წყლის თხილამურები, კაიკინგი, კანიონინგი. საჰაერო სახეებიდან განვითარებულია: პარაპლანი, საჰაერო ბურთით გასეირნება, პარაშუტით გადმოხტომა, სიმაღლიდან ხტომა.
- გვინდა გამოვყოთ, რომ ექსტრემალური ტურიზმის ეგზოტიკური სახეები არსებობს რამდენიმე ქვეყანაში. ყველაზე ეგზოტიკური და ძვირი სახეობა არის კოსმოსური ტურიზმი, რომლითაც მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა ისარგებლა. პირველი იყო ამერიკელი მილიონერი – დენის ტიტო, რომელსაც ეს გასეირნება დაუჯდა 12

მილიონი ამერიკული დოლარი. კოსმოსური ზომადების რამდენიმე ავარიის შემდეგ კოსმოსური ტურები დროებით შეწყდა, თუმცა, სიძვირის მიუხედავად, მსურველი საკმაოდ ბევრია.

- ახალი დაწყებულია კრუიზები და ტურები არქტიკასა და ანტარქტიდაში, სადაც ტურისტებს ეძლევათ საშუალება იხილონ ეგზოტიკური ცხოველები და დედამიწის მთელ ზედაპირზე ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ადგილები. ქვეყნები, რომელთაც აქვთ უფლება ამ ტერიტორიაზე განახორციელონ ტურები, ტურისტებს მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობით უშვებენ.
- არსებობს აგრეთვე ტური ჩერნობილში, რომლის მსურველები არც თუ ისე ბევრია, მაგრამ ადამიანთა გარკვეული კატეგორია, სარგებლობს ამ ტურით. მათ დაახლოებით 100-150 დოლარად შეუძლიათ იხილონ მხოლოდ გარეული ცხოველებით დასახლებული „მკვდარი ქალაქი“. ეს ტური დააფიქრებს ადამიანებს იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დროს უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფას და გაუთვალისწინებლობას.

ნიკო კვარაცხელია,

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ხის საკულტო ნაგებობები დასავლეთ საქართველოში, როგორც საჩვენებელი ობიექტი ტურიზმში

კვლევის საგანი და რელევანტურობა: კვლევა ეხება დასავლეთ საქართველოში მრავლად არსებულ ხის საკულტო ნაგებობებს, რომლებიც XIX-XX საუკუნეებს განეკუთვნება და გავრცელებულია როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმანურ თემებში. სტატიაში დაყენებულია საკითხი მათი ექსკურსიებში,

როგორც საჩვენებელ ობიექტებად გამოყენების შესახებ.

ლიტერატურის მიმოხილვა: თემის შესახებ არსებული ლიტერატურა დაჯგუფებულია სამი მიმართულებით: 1. ხის მეჩეთები აჭარაში, რომლებიც კარგადაა შესწავლილი კულტურის ისტორიკოსების მიერ (ზაქარია ჭიჭინაძე, 1913; მიხეილ გარაყანიძე, 1959; ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე, 2001; Gülru Necipoğlu, 2005; რუსლან ბარამიძე, 2009; გვანცა საბაშვილი, 2017; Suzanne Harris-Brandts, Angela Wheeler, and Vladimer Shioshvili, 2018); 2. გაცილებით მწირია ლიტერატურა იმერეთის რეგიონში არსებული ქრისტიანული ხის ეკლესიის შესახებ (მხოლოდ საგაზეთო სტატიები და პერიოდულ ლიტერატურაში გაშუქებული მოვლენები); 3. უკეთესადაა შესწავლილი ტურიზმში საჩვენებელი ობიექტების შერჩევის პრობლემა (ნიკო კვარაცხელია; მანანა ალადაშვილი).

ანალიზი და დასკვნა: დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხის საკულტო ნაგებობები მიჩნეულია ხალხური ხუროთმოძღვრების საინტერესო მიმართულებად, რომელშიც შერწყმულია ტრადიციული ხალხური საცხოვრებლის ელემენტები. კულტურული ტურიზმის ამოცანაა – მაქსიმალურად სრულყოფილად წარმოაჩინოს დესტინაციაში დავანებული მატერიალური და არამატერიალური კულტურა. ეს პროცესი ხანგრძლივია და გარკვეულწილად სტერეოტიპებზე დამოკიდებული. სტერეოტიპების შექმნას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ხელოვნებათმცოდნეების, ხუროთმოძღვრების, სპეციალისტთა შეფასებები და დასკვნები, ხოლო მეორე მხრივ, ტუროპერატორების გემოვნება და ტურიზმში დამკვიდრებული ტენდენციები. ხის ეკლესიები იმერეთში და ხის მეჩეთები აჭარაში არის ქართველი ხალხის შთაგონების, ფანტაზიის და საამშენებლო კულტურის შესანიშნავი ნიმუშები. მათი პოპულარიზაცია და ქართველ თუ უცხოელ ტურისტებამდე მიტანა კულტურული ტურიზმის ამოცანაა.

ხის არქიტექტურა ოდითგანვე პოპულარული იყო დასავლეთ საქართველოს მთაში და ბარშიც, რასაც განაპირობებდა შავი ზღვის კლიმატი. რასაკვირველია, ხალხური არქიტექტურის

თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში მარტო ბუნებრივი გარემო არ წარმოადგენს ერთადერთ განმსაზღვრელ პირობას და აქ ფაქტორთა მთელი კომპლექსი მოქმედებს: ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა. შ., მაგრამ ხის საკულტო ნაგებობების ორი განსხვავებული სტილის დამკვიდრება ორ ახლომდებარე რეგიონში, ორი განსხვავებული რელიგიის მიერ, მათი ხუროთმოძღვრული თავისებურებები, სივრცე, ლანდშაფტი უდავოდ საინტერესო საჩვენებელი მასალა და ობიექტია. სტატიის გამოთქმულია მოსაზრება მათი საექსკურსიო ტურებში გამოყენების შესახებ.

მაგდალენა კატანა მენდესი,

ოპოლეს უნივერსიტეტი (პოლონეთი),
პოლიტიკურ მეცნიერებათა და ადმინისტრირების
ინსტიტუტის დოქტორანტი,
პროფესორ ნატალია ანტონიუკის ხელმძღვანელობით

დიდი ბრიტანეთის კრეატიული ძალაქები – იღმა და პრეატიკული განზომილება

ბოლო პერიოდში შევამჩნიეთ, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი სახლდება ქალაქებში. ეს ტრენდი უცვლელად გრძელდება. დღესდღეობით მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი შეიძლება დახასიათდეს როგორც ქალაქის მოსახლე და, გამოთვლების თანახმად, 21-ე საუკუნის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 90%-მდე შეიძლება გაიზარდოს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის, ამავე მოსახლეობის მხოლოდ 15% სახლობდა ქალაქში, ცხადია, რომ ურბანული ცხოვრების სტილი მომავლის წამყვანი ტრენდია.

აღრე ქალაქებს ძველი ურბანული პარადიგმის პრიზმით ვუყურებდით, როგორც ადამიანური აქტივობის დანაშაულით მოძრავ, მანქანებისგან დაბინძურებულ, არაჯანსაღ და ზედმეტად ხალხმრავალ ცენტრებს. ბოლო დროს, ეს შეიცვალა. ამ

ფრიად ნეგატიური ხედვიდან გადავედით ქალაქების როლის აღიარებაზე მდგრადი განვითარების, (მათ შორის) ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების, კონტექსტში. ისინი აღარ მოიაზრებიან ერთგანზომილებიან საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებად, არამედ ითვლებიან უფრო და უფრო დახვეწილ სტრუქტურებად – თავისი უნიკალური იდენტობით; წარმოადგენენ ერთი მხრივ, ადამიანური აქტივობის პროდუქტს და მეორე მხრივ, თავადაც აწარმოებენ, ამრავლებენ და ავრცელებენ ამ აქტივობის შედეგებს. ამგვარად, ისინი ქმნიან თავისებურ თემს, კულტურულ ერთობას, რომელიც აერთიანებს მის მატერიალურ და არამატერიალურ ასპექტებს.

კაცობრიობის ისტორიაც სწორედ ქალაქებში ჰპოვებს დასაბამს. ქალაქებმა დიდი გავლენა იქონიეს კულტურის განვითარებაზე – რეგიონალურ, ნაციონალურსა და საერთაშორისოზეც. განცალკევებულობასა და უნიკალურობასთან ერთად, მათ წვლილი შეაქვთ გლობალურ კულტურაში. უდავოა, რომ სწორედ კულტურა აერთიანებს ადამიანური აქტივობის ყველა სფეროს და, შეიძლება აღიქვას, კრეატიულობის მამოძრავებელი ძალად, რომელიც ყველა დონეზე მომავალი განვითარების საყრდენია.

გლობალიზაციის ერაში, როდესაც საწინააღმდეგო ტენდენციები ეჯახება ერთმანეთს, შეინიშნება კულტურული არეალის გაფართოება. თუმცადა, მეორე მხრივ არსებობს მისი სპეციფიკურობის შენარჩუნების სურვილიც (ფოკუსი ადგილობრივ, მაგრამ, ამავე დროს, საერთაშორისო საკითხებზე). როგორც ორგანიზაციული სტრუქტურები, ქალაქები არ არიან სრულად იზოლირებული, არამედ ასევე არსებობენ უფრო ფართო გარემოში და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან. მათ აქტივობებს ესაჭიროება გამიზნული მენეჯმენტი. კულტურა მათი იდენტიფიკაციის მთავარი ფაქტორია. შესაბამისად, მას უნდა მიენიჭოს მაღალი ღირებულება ქალაქების, როგორც კულტურის გამავრცელებლების მენეჯმენტში.

კულტურული მენეჯმენტი არც ისე მარტივია. ის დიდწილად განპირობებულია ადგილობრივი ფაქტორებით, ასევე გავლენას ახდენს და საგანია გარე გავლენებისთვის.

ტერმინი „განვითარება“ – აღარაა მხოლოდ ისტორია, მემკვიდრეობა და მისი მატერიალური ფორმები. კულტურის მენეჯმენტი არ ნიშნავს მხოლოდ წარსულის შენარჩუნებას. გამოწვევაა მიიღო წარსული, აწმყო და მომავალი მუდმივად ცვალებად გარემოში. დღესდღეობით კულტურის პროდუქტები გახდა ეკონომიკური, სოციალური და ხანდახან პოლიტიკურიც. ჩნდება სულ უფრო მეტი ფორმა ადამიანის შემოქმედებითობის გამოსახატავად, ხოლო არსებული ფორმები განიცდიან ტრანსფორმაციას. და ისევ, სირთულეს წარმოადგენს ადგილობრივი კულტურის შენარჩუნება და განსხვავებული კულტურების ელემენტების ასიმილაცია (მიგრაცია, გლობალური კულტურის გავლენა).

ამგვარად, როგორ ვმართოთ კულტურა ქალაქში და ქალაქი კულტურის მეშვეობით? ადამიანების, ადგილებისა და სივრცეების კომბინირება მოითხოვს ინფრასტრუქტურას, მმართველობასა და ურთიერთობებს. ჩვენ ველით განხილვას, რომელიც მოიცავს უფლებამოსილ პირებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, ცალკეულ მოსახლეებს და მათ ჯგუფებს, ბიზნესის მეპატრონეებს და შემოქმედებით ადამიანებს ახალი იდეებითა და ამ სფეროში კარგი პრაქტიკით.

სფეროები:

- მმართველობა კულტურულ სფეროში
- კულტურა ქალაქში
- კრეატიული ქალაქი

პანელები:

- კულტურის ფასეულობა ქალაქის მმართველობაში
- კულტურა ურბანული განვითარების სტრატეგიებში
- თანამშრომლობის უფლებამოსილება – ბიზნესი (და განათლება) – სამოქალაქო საზოგადოება
- ტურიზმი და ტურისტული გამოცდილება ქალაქში
- ქალაქის მემკვიდრეობა – შენარჩუნება და ხელშეწყობა
- ხელოვნება – როლი, ფორმა, ძველი და ახალი
- შეკრული კულტურული თანაცხოვრება

- შეკრული ქალაქი – ანტიკური და თანამედროვე არქიტექტურის ნაზავი
- ინოვაციები კულტურის მენეჯმენტში
- კულტურული ინვესტიციები – გარე და შიდა
- კულტურული მარკეტი – კულტურა როგორც პროდუქტი
- დაგეგმვა კულტურისთვის და კულტურასთან ერთად
- კრეატიული კულტურის მენეჯმენტი – დაგეგმვა, ორგანიზება, განხორციელება და მართვა
- კულტურა ქალაქის მარკეტინგში
- ინდუსტრია და კულტურა ქალაქში (სამუშაო ადგილი, ტრანსპორტი, დასახლება)
- კულტურული ადგილები და სივრცეები
- განათლება კულტურაში და კულტურული პოლიტიკა
- კულტურული მრავალფეროვნების მენეჯმენტი, თანამეგობრობის შექმნა, თანამეგობრობები და კულტურული ცვლილებები
- კულტურა და დემოკრატია – ინკლუზია, ინტეგრაცია, პოლიტიკა
- ქალაქი – კულტურული რეგიონი, სტრატეგიული კომუნიკაცია
- ეკოლოგიური კულტურა ქალაქში

ვიორგი ფსაკაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და
მენეჯმენტის ფაკულტეტი,
ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულების
დოქტორანტი,

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნაირა გალახვარიძე
ირინა ტყეშელაშვილი,

ოპოლეს უნივერსიტეტის,
პოლიტიკური მეცნიერებების და ადმინისტრაციის
ინსტიტუტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: პროფ. მიკოლაი ივანუკ

პრეპარატიული და უფროძველბთი ქალაქები – იღმა თუ „ბამჭვირვალე“ მმართველობა?

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, პირველად გამოჩნდა „შემოქმედებითი ქალაქის“ ცნება ურბანულ მეცნიერებაში სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის კვეთაში. მისი „წარმოშობის“ მთავარი მიზანი იყო გლობარული ტრანსფორმაციის პროცესებით გამოწვეული კრიზისის გადალახვა, რომელიც ახალი ეკონომიკური და სოციალური კრიტერიუმების ცვლილების შედეგად წარმოიშვა. ამ პერიოდიდან დაწყებული, დღემდე სამყაროში შეიცვალა ინდუსტრიული ეკონომიკის ხედვები, რამაც იმ პერიოდში (XX საუკუნის ბოლო) გამოიწვია საწარმოებისა და ქარხნების შექმნა. ამით ძალიან დაზარალდა ის ქალაქები, რომლებიც ათწლეულები, ინდუსტრიის შესაბამისად ვითარდებოდნენ. მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩნდნენ კრეატიული აზროვნების მქონე პიროვნებები, რომლებსაც ხელთ ეპყრათ სხვადასხვა დონის მართვის სადავეები და შეძლეს შეემუშაებინათ ინოვაციური სტრატეგიული გეგმა, რომელმაც კონკრეტულ ქალაქში ახალი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ხარისხი შემოიტანა, რაც ურბანული

კრიზისიდან გამოსვლის ყველაზე პერსპექტიული ვარიანტი გახდა. წლების განმავლობაში დაგროვდა სხვადასხვა სტრატეგიული მიდგომა და მეთოდები, რომლებმაც წარმოშვა „კრეატიული და შემოქმედებითი ქალაქების“ სხვადასხვა მოდელი. ამგვარი კონცეფცია ყოველთვის ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომებს და ემყარება უამრავ ცნებას, რომლებიც მასში ერთდროულად ჩნდება და ერთი „იდეის“ განსახიერებაა სხვადასხვა დისციპლინის კვეთაში. თემის დასაწყისში მოყვანილი იქნება „კრეატიული და შემოქმედებითი ქალაქების“ „დამფუძნებლების“ შეხედულებები (ჯ. ჰოუკინსი, რ. ფლორიდა, ჩ.ლენდრი, ტ. ამაბილი და სხვა) და ასევე მიმოხილული იქნება კონკრეტული მაგალითები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური წყობის პირობებში განხორციელდა.

წარმოგიდგენთ პოლონეთის ქალაქ ვროცლავს, რომელიც შეირჩა არა მხოლოდ თავისი მდიდარი ისტორიული წარსულისა და გამოწვევების, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ინოვაციური ხედვისა და მოსახლეობის აქტიურობის სტრატეგიული როლის გამო.

2016 წელს ქ. ვროცლავმა გაიმარჯვა მასშტაბიან კონკურსში და მოიპოვა ევროპული კულტურის დელაქალაქის წოდება. გამარჯვებამ, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, არა მხოლოდ თვით ქალაქი, არამედ მთელი ქვეყანა დაუყოვნებლივ განათავსა მსოფლიოს კულტურის ქალაქების საერთაშორისო რუკაზე.

ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობას უდიდესი როლი უკავია, რადგან შემდეგი პრიორიტეტები იქნა გათვალისწინებული:

- ინოვაციების მოზიდვა და ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა;
- უმაღლესი განათლებისა და კვლევითი ცენტრების პრიორიტეტიზაცია;
- კულტურისა და ხელოვნების დარგების განვითარება;
- მოსახლეობის აქტიური ჩართვა ყველა სტრატეგიულ პროცესში.

ქ. ეროცლავის წარმატება და გამარჯვება განპირობებული იყო სასწრაფო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აქტიური მოსახლეობის ერთობლივი დაულალავი შრომით დამოუკიდებლობის თავიდან მოპოვების შემდეგ. განვითარების სისწრაფე, პირველ რიგში, ეყრდნობოდა სტრატეგიული კომუნიკაციის კომპონენტების გამოყენებას, რათა პროცესის ყველა მონაწილე დაწესებულებამ მიაღწიოს სასურველ შედეგს უახლოეს შესაძლო დროში.

შესაბამისად, კულტურის სფეროს განვითარება დაეყრდნო ქალაქისა და რეგიონის შიდა ინსტიტუციონალური რესურსებისა და ევროპული კავშირის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას ინოვაციური მიდგომა გულისხმობდა ისეთი კვლევითი პროგრამების შემუშავებას, რომლებიც მომავალში მოიზიდავდა სტრატეგიულ უცხოელ პარტნიორებს და მათი მეშვეობით გაიზრდებოდა ქალაქის ცნობადობა და ტურისტების ნაკადი იმატებდა. იგივე მიდგომა გათვალისწინებული იყო საგანამანათლებლო სფეროში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა უცხოელი ტურისტების ჩამოსვლას არა ერთი კვირით, არამედ სასწავლებლად ერთი ან რამდენიმე სემესტრით. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტები და მათი ოჯახები უნდა გაეცნონ ქალაქის კულტურულ მემკვიდრეობასა და ხელოვნების პროდუქტებს და გაუჩნდეთ სურვილი თანამშრომლობის ინიციატივებისა ქალაქის კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან.

ქალაქის კულტურა წარმოადგენდა და წარმოადგენს მრავალი ეთნო ჯგუფის გაერთიანებას, რაც განპირობებული იყო ისტორიით და გარკვეული შთავგონების წყაროდ იქნა მოხსენიებული რამდენიმე სტრატეგიული პარტნიორული მემორანდუმის გაფორმებისას.

ეროცლავის, როგორც ევროპული კულტურის დედაქალაქის, გრძელვადიანი მიზნები იყო – კულტურასთან წვდომა და მონაწილეობა:

- მაცხოვრებლებმა თავად შექმნან კულტურა და შეეძლოთ მისი გამრავალფეროვნება შეზღუდვების გარეშე;
- ჰქონდეთ იოლი წვდომა კულტურული და საგანამანათლებლო

პროგრამებისადმი;

- შეიქმნას საჯარო შემოქმედებითი სივრცე, რომლის მიზანი და ფუნქცია, კულტურასთან შეხების საშუალებით, ახალი სამოქალაქო საზოგადოების დაბადება იქნება.

კულტურის განვითარება:

- ქალაქი ვითარდებოდეს კულტურითა და კულტურასთან ერთად;
- ეროცლავაში კულტურის შემქმნელებს შეეძლოთ ურთიერთ-თანამშრომლობა და გამოცდილების გაცვლა;
- კულტურის სექტორი იზიდავს სრულყოფილად გამოცდილ პროფესიონალებს, მზადაა ადგილობრივი და საერთაშორისო, კულტურული პროექტების სერვისებისა ჩასატარებლად, აქტიურად უჭერს მხარს კადრის შემოქმედებას.

ბრენდინგი

- პოლონეთსა და ევროპაში გაიზარდოს ცნობიერება და ცნობადობა ქ. ეროცლავისა და ქვემო სილეზიის რეგიონის შესახებ;
- მოსახლეობა ბავშვობიდანვე ეცნობოდეს ადგილობრივ კულტურას და ამაცოდეს ქვემო სილეზიის კულტურული მემკვიდრეობით.

ეკონომიკა

- ეროცლავი ორჯერ მეტმა ტურისტმა მონახულოს წინა წლებთან შედარებით;
- კერძო სექტორ უფრო მეტად ჩაერთოს კულტურულ საქმიანობაში;

კულტურის ევროპული კაპიტალის Wroclaw 2016 პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხები ეფექტურად დაინარჯა და იყო რეალური, ეფექტური და დაკავშირებული ინვესტიცია.

მალხაზ ლვინჯილია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**არამატერიალური მემკვიდრეობის „ახალი
ნიცონცლუ“ თანამედროვე ქართულ
ტურიზში**

(პოსტპანდემიური ტურიზმი საქართველოში)

საქართველო არამატერიალური მემკვიდრეობის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა – დაწყებული მითებითა და ლეგენდებით, დამთავრებული ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული საინტერესო ფაქტებითა და წყაროებით. ნებისმიერი უცხოელი ტურისტისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქართული ისტორიული და თანამედროვე ეთნოგრაფიული ყოფის თავისებურებებთან ზიარება.

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა პოსტპანდემიურ პერიოდში, პირველად მსოფლიოში, უცხოელ ტურისტთა მიღებისთვის მზადება საქართველოში. პანდემიასთან გამკლავებისა და „უსაფრთხო ქვეყნად აღიარების“ პირობებში, საქართველო უცხოელ ტურისტებს სწორედ ეთნოგრაფიულ და ქრისტიანულ ფასეულობებზე დაყრდნობით შესთავაზებს საინტერესო პრიორიტეტებს. არსებული რეალიები კი მსოფლიო ცივილიზაციაში ჩვენი ქვეყნის ეროვნული იდენტობის უნიკალურობას კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს და უსაფრთხო და საინტერესო ტურისტული ქვეყნის იმიჯს დაუმკვიდრებს.

ნინო წითლანაძე,
ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის
(GIPA) მოწვეული ლექტორი

შემოქმედებითი ინდუსტრიების ცნება და მისი კლასიფიკაციის მეთოდოლოგია საქართველოში

ნაშრომში განხილულია, რა წარმოადგენს შემოქმედებითი ინდუსტრიების ცნებას, და როგორ ხდება მისი ჩამოყალიბება საქართველოში სოციო-კულტურულ ჭრილში.

